

Ճիւղաբերական
Նժարակերպութիւն

Guiorgui Zagachvili, Malkhaz Tsibadzé

LES PRINCIPES FONDAMENTAUX DE L'HÉRALDIQUE

Guiorgui Zagachvili, Malkhaz Tsibadze

Les Principes Fondamentaux de l'héraldique - Tbilissi, 2006.

ISBN 99940-0-974-5

Cette édition présente un bref aperçu de l'histoire de l'héraldique, les principes et les particularités de règles de l'héraldique.

Dans deuxième unité sont démontrées les armoiries de la familles de princes géorgiens, en nouveau réalisations graphique.

Nous remercions vivement
Madame Méri Djaparidzé,
Madame Iamzé Assanichvili,
Madame Militsa Djaparidzé,
Monsieur Mikheïl Makachvili,
les responsables du Musée d'Etat de la Littérature géorgienne
pour leur collaboration,
et Monsieur Chalva Andrazachvili
pour son précieux soutien à cette édition.

ISBN 99940-0-974-5

© **Guiorgui Zagachvili, Malkhaz Tsibadzé**

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს მკითხველს გააცნოს მეცნიერების ეზოთი თვალსაჩინო დარგის, კერძოდ, ჰერალდიკის ზოგადი საფუძვლები.

ნაშრომი არ წარმოადგენს მეცნიერულავლევა-ძიებას ან ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ანალიზს. მასში თავმოყრილია სხვადასხვა წყაროებიდან მოძიებული ინფორმაცია.

წიგნი შედგება სატექსტო ნაწილისა და გრაფიკული დანართისაგან. სატექსტო ნაწილში მოკლედ მოთხრობილია ჰერალდიკის ჩასახვასა და განვითარებაზე, გერბის შემადგენელ ელემენტებზე, სოლო გრაფიკულ დანართში წარმოდგენილია ქართველ თავად-აზნაურთა საგვარეულო გერბების როგორც საარქივო მასალები, ასევე მათი ახალი გრაფიკული, ასევე მათი ახალი გრაფიკული რედაქცია თანდართული აღწერა-ბლანონირებით.

დიდ მადლობას ვუხდით ყველა პირსა და ორგანიზაციას წიგნის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის. აღსანიშნავია ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლების დახმარება საარქივო მასალების მოძიება მოწოდებაში.

უღრმეს მადლობას მოვასხენებთ ქალბატონ მეზი ვაფარძეს ჰერალდიკის ფრანგული მასალების მოძიება-რედაქტირებისათვის, ქალბატონ იამზე ასანიშვილს სატექსტო ნაწილის თარგმანისათვის, ბატონ მიხეილ მაყაშვილს მხარდაჭერისათვის.

განსაკუთრებულ მადლიერების გრძობას გამოვხატავთ ბატონ შალვა ანდრეაშვილისადმი, წიგნის მომზადებასა და გამოცემაში ფასდაუდებელი თანადგომისათვის.


იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე გამოცემა ხელს შეუწყობს ჰერალდიკური ხელოვნების შესწავლასა და ქართული ჰერალდიკური ტრადიციების გაღრმავებას.

ჰერალდიკის წარმოშობა



ერალდია არის მეცნიერება გერბების შესახებ. ამ მეცნიერების წესების, მეთოდებისა და კანონების ერთობლიობას გერბმცოდნეობა ეწოდება. ჰერალდიკის წარმოშობა შუა საუკუნეებს, კერძოდ, ჯვაროსნულ ლაშქრობებს უკავშირდება.

ჯვაროსნული ლაშქრობები, რომლებიც მუსლიმანების მიერ იყო პროვოცირებული, ისტორიის მთელ ეპოქას მოიცავს. აზიისა და ევროპის მრავალსაუკუნოვანმა დაპირისპირებამ ევროპაში ისლამის დროის ქვეშ გაერთიანებულ მუსლიმანთა ექსპანსია გამოიწვია. 711 წელს შვიდიათასიანმა არაბთა ლაშქარმა ტარე იბნ ზიადის ხელმძღვანელობით გიბრალტარის სრუტე გადმოლახა და ევროპაში შემოიჭრა. ასე დაიწყო პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობა. იმ პერიოდში ესპანეთის სანაპიროზე მდებარე კლდე ტარეის მთა, ანუ არაბულად – ჯაბალ ტარეი, ესპანურად კი გიბრალტარი ეწოდება. 715 წლისათვის თითქმის მთელი პირენეის ნახევარკუნძული მუსლიმანთა ხელში აღმოჩნდა. 721 წელს ოპიდეების ჯარმა გადმოლახა პირენეის მთები, დაიპყრო ესპანეთი და სამხრეთ საფრანგეთს შეუტია. ოპიდეებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქები ნარბონი და კარუსონი. ასე შეიქმნა საყრდენი პუნქტები აქვიტანისა და ბურგუნდიის თავდასნმისათვის. ფრანგთა მეთაურმა კარლოსმა (689-741 წწ.) თითქმის ლუარამდე მოსული არაბები შეაჩერა, რისთვისაც მას მეტსახელი „მარტელი“ (ურბ) შეარქვეს. მუსლიმანთა შემოსევას გრძელწლიად ბიზანტიის იმპერატორი ლეო III-ც ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად დამარცხებებისა, არაბები პროვანსში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პონტიციებს მაინც ინარჩუნებდნენ. ევროპაში ისლამის შემდგომ გავრცელებას თვით მუსლიმანურ სამყაროში წარმოშობილმა განსეთქილებამ შეუშალა ხელი. ერთ დროს ერთიანი და ძლიერი ხალიფატი ნაწილებად დაიშალა, რომლებიც ერთმანეთს მუდმივად ექიშებოდნენ. სელჩუკებმა XI ს. შეტევა განაახლეს და კონსტანტინოპოლის საზღვრებამდე მიღწევაც მოახერხეს.



1095 წელს საფრანგეთის ქალაქ კლერმონში შედგა საეკლესიო და საერო წარმომადგენელთა შეკრება, სადაც მგზნებარე სიტყვით გამოვიდა რომის პაპი ურბან II. მან კრების დამსწრეთ მუსლიმანებისაგან ქრისტეს საფლავის განთავისუფლებისაგან მოუწოდა.

I ჯვაროსნული ლაშქრობა (1096-1099 წწ.), რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ გრაფი რაიმონდ ტულუზელი, ჰერცოგი ბოემუნგ ტარენტელი და მისი ნათესავი ტანკრედი, ჰერცოგი რობერტ ნორმანდიელი და გრაფი ფლანდრიელი, ყველაზე წარმატებული იყო. ჯვაროსნებმა დაიპყრეს პალესტინა და განდევნეს მუსლიმანები იერუსალიმიდან. დაპყრობილ მიწებზე ჯვაროსნული სახელმწიფოები შეიქმნა.


II ჯვაროსნული ლაშქრობის (1147-1149 წწ.) ორგანიზატორები იყვნენ ფრანგთა მეფე ლუი VII და გერმანელთა იმპერატორი კონრად III. ამ ლაშქრობაში ჯვაროსნებმა დიდი მარცხი განიცადეს, დაუარეს ათეულ ათასობით მეომარი, რომელთაგან ნაწილი ბძძოლაში დაიღუპა, ნაწილი კი ავადმყოფობამ და შიმშილმა შეიწირა.



III ჯვაროსნული ლაშქრობა (1189-1192 წწ.) მას შემდეგ დაიწყო, რაც ეგვიპტის სულთანმა სალაჰ ალ-დინმა (სალადინმა) იერუსალიმი დაიბრუნა. ლაშქრობას სათავეში ჩაუდგნენ გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ I ბარბაროსა, ფრანგთა მეფე ფილიპ II და ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომგული. 1190 წლის ივნისში ხანშიშესული ფრიდრიხ ბარბაროსა მცირე აზიაში მდინარეზე გადასვლის დროს ცხენიდან გადმოვარდა და დაიხზნო. მისმა სიკვდილმა ჯვაროსანთა რიგებში განხეთქილება შეიტანა. რიჩარდ ლომგულის გამარჯვებებმა გარუვეულწილად გაახანგრძლივა ჯვაროსნული სახელმწიფოების არსებობა პალესტინაში, თუმცა იერუსალიმის განთავისუფლება ვერ მოხერხდა.

IV ჯვაროსნული ლაშქრობა (1199-1204 წწ.) დაიგეგმა ეგვიპტის დასაპყრობად, მაგრამ ვენეციელებმა შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს და ჯვაროსანთა ლაშქრის ეგვიპტეში გადასაცვანად ასტრონომიული თანხა მოითხოვეს. ეს ექსპედიცია შესაძლოა წარმატებულაც ყოფილიყო, მაგრამ ვენეციის მმართველს ენრიკო დანდოლოს სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა – მას სურდა ვაჭრობაში ვენეციის მთავარი კონკურენტის, ბიზანტიის დაუძღვრება. მან ჯვაროსნები აიძულა შეტევა ბიზანტიისაკენ მიემართათ. ბრძოლას 96 წლის დანდოლო თვითონ ჩაუდგა სათავეში. 1204 წელს ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და სასტყაოდ გამარჯვეს, ბიზანტიის ევროპული მიწები კი ევროპელ ფეოდალთა შორის გადანაწილდა. ბიზანტიის ტერიტორიაზე შეიქმნა მარიონეტული ლათინთა იმპერია, რომელმაც 1261 წლამდე იარსება, სანამ ბერძნებმა კონსტანტინოპოლი ისევ არ დაიბრუნეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ე.წ. „ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა“ (1212 წ.), როდესაც ათასობით ფრანგმა და გერმანელმა ბავშვმა გადაწყვიტა თავისი ძალებით გაერთავისუფლებინათ ქრისტეს საფლავი. ეს ლაშქრობაც დამარჯვდა, ბავშვთა ნაწილი დაიხოცა, ნაწილიც მონად გაიყიდა.



V ჯვაროსნული ლაშქრობის (1217-1221 წწ.) მიზანს ისევ ეგვიპტის დაპყრობა წარმოადგენდა. ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ავსტრიის შერცოგი ლეოპოლდ VI და უნგრეთის მეფე ანდრაშ II. ბარბაროსას შვილიშვილმა ფრიდრიხ II-მ ვერ შესძლო ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება, რამაც სავარაუდოდ ჯვაროსანთა მარცხი განაპირობა. ჯვაროსანთა ლაშქრობისათვის მზადებამ შეაშფოთა მუსლიმანები. მათ მოლაპარაკებები დაიწყეს იერუსალიმის დათმობაზე, თუმცა მათი წინადადება უარყოფილი იქნა. ამას დაემატა ჯვაროსნების ბანაკში მეთაურთა ამბიციებიდან გამომდინარე განხეთქილება. დაბოლოს, კალაპოტიდან გადმოსულმა ადიღებულმა ნილოსმა დატბორა ჯვაროსანთა ბანაკი. ყოველივე ამან ლაშქრობის სრული კრახი განაპირობა.

VI ჯვაროსნულ ლაშქრობას (1228-1229 წწ.) სათავეში ჩაუდგა ბარბაროსას შვილიშვილი, გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ II ჰოფენშტაუფენი. იგი კრიტიკულად იყო განწყობილი საერთოდ რელიგიის მიმართ. ფრიდრიხსმა დაბლობატიური მეთოდებით მოახერხა მუსლიმანთა დაყოლიება – დაეთმოთ იერუსალიმი. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ დროისათვის მუსლიმანები მონღოლთა ურდოსაგან მუქარას განიცდიდნენ. მათ ერთდროულად ორ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა

გაუჭირდებოდათ. ასე რომ, იერუსალიმი დროებით ვკაროსანთა ხელში გადავიდა, თუმცა 1244 წ. მუსლიმანებმა იგი უკანვე დაიბრუნეს.

VII ვკაროსნულ ლაშქრობას (1248-1254 წწ.) სათავეში საფრანგეთის მეფე ლუი IX (1215-1270 წწ.) ჩაუდგა. წმინდა მიწაზე კრიტიკული სიტუაცია იყო. ვკაროსნული სახელმწიფოები მუსლიმანთა მხრიდან ყოველგვარ შევიწროებას განიცდიდნენ. 1248 წ. აგვისტოში ლუი IX ასი ზომადლითა და 35000 მებრძოლით ეგვიპტის სანაპიროს მიაღწა. მიზანი მარტივი იყო – მას სურდა ხელში ჩაეგდო ეგვიპტის მთავარი ქალაქები და შემდგომ ისინი წმინდა მიწაზე მუსლიმანთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე გადაეცვალა. კამპანია დასაწყისში წარმატებულად მიმდინარეობდა. ვკაროსნებმა დაიპყრეს კარგად გამაგრებული საპორტო ქალაქი დამიეტა და შეტევა ქაიროს მიმართულებით გააგრძელეს, მაგრამ ნილოსის ადიდებამ წინსვლა შეაფერხა. ამას დაემატა ქაიროსაკენ მიმავალ გზაზე, ვიწრო ნახევარკუნძულზე მდგარი ციხე-სიმაგრე ალ-მანსურას წინააღმდეგობა, რომლის მრავალფეროვანი ალყაც ვკაროსანთა მარცხით დასრულდა. მუსლიმანებმა გაანადგურეს ფლოტი, რომელიც ვკაროსნებს სანოვაგით ამარაგებდა, მდგომარეობა გაართულა ვკაროსანთა ბანაკში დაწყებულმა შავი ჭირის ეპიდემიამაც. თვით ლუიც დაავადდა, იგი იძულებული გახდა დამიეტაში დაბრუნებულიყო, მაგრამ თავისი სუკმაოდ შეთხელებული არმიით ტყვედ ჩავარდა. ვკაროსნებს მის გამოსასხსნელად უზარმაზარი გამოსასყიდის გადახდა მოუხდათ.

VIII ვკაროსნულ ლაშქრობას (1270 წ.) სათავეში ისევ ლუი IX ჩაუდგა. ივლისის დასაწყისში ვკაროსნები კუნძულ სარდინიაზე გადასდნენ, სადაც მეფის ძმის კარლოსის ზეგავლენით გადაწყდა ტუნისზე გლაშქრება. 18 ივლისს ვკაროსნები აფრიკის კონტინენტზე გადასდნენ და ბრძოლებით კართაგენამდეც მიაღწიეს. შეტევის გაჭიანურებამ გამარჯვების შანსის დაკარგვა გამოიწვია. სიტუაცია ვკაროსანთა ბანაკში გადამეტებული სიმჭიდროვის გამო აფეთქებულმა შავი ჭირის ეპიდემიამაც დაამძიმა. თვით ლუიც დაავადდა და 25 აგვისტოს გარდაიცვალა. მეთაურის გარეშე დარჩენილი ვკაროსნები ეგროპაში დაბრუნდნენ და ამით ვკაროსნულ ლაშქრობათა 200 წლიანი ეპოქა დასრულდა.

ვკაროსნული ლაშქრობებისას სხვადასხვა ქვეყნის მრავალ ფეოდალთა ერთ ადგილას თავმოყრამ და არმიის ინტერნაციონალურმა ხასიათმა განაპირობა განმასხვავებელი ნიშნების შექმნის აუცილებლობა, რამაც სათავე დაუდო ჰერალდიკის წარმოშობასა და განვითარებას.

ჰერალდიკისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია რაინდთა ტურნირები, რომლებიც ვკაროსნულ ლაშქრობებამდე წარმოიშვა. არსებობს მონაცემები კარლოს მელოტისა და ლუდოვიკო გერმანიელის სტრასბურგში 842 წ. მოლაპარაკების დროს ჩატარებულ სამხედრო თამაშობების შესახებ. საგარაუდოა, რომ საფრანგეთში ტურნირების მოწყობა XII ს. შუა წლებიდან დაიწყო, შემდეგ კი გავრცელდა ინგლისსა და გერმანიაში. ზოგიერთ ქრონიკებში რაინდთა ტურნირის ფუძემდებლად ფრანგი ბარონი დე პრელი მოიხსენიება, თუმცა, იგი მხოლოდ ტურნირების ჩატარების პირველი წესების შემქმნელად უნდა მივიჩნიოთ.

რაინდთა ტურნირები დასავლეთევროპული ყოფა-ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა, რომელზეც მხოლოდ უმწვევლო რეპუტაციის რაინდები დაიშვებოდნენ. რაინდთა კოდექსის დარღვევა უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა. დაახლოებით 1292 წლიდან შემოდებული იქნა ახალი, რაინდთა ტურნირების ჩატარების უფრო უსაფრთხო წესები ე.წ. „Statum Armorum“, რომლის მიხედვით ნებადართული იყო მხოლოდ ბლაგვი იარაღის გამოყენება. ყოველ რაინდს შეეძლო მხოლოდ სამი საჭურველმტვირთველის თანხლება. მებრძოლებების დროს დასაშვები იყო მხოლოდ ხის შუბების გამოყენება. აუბალური იყო მოწინააღმდეგის ცხენის დაჭრა. დარტყმების განხორციელება დასაშვები იყო მხოლოდ მოწინააღმდეგის სახისა და მკერდის არეში. გამოჩნდა განსაკუთრებულად მასიური სატურნირო აღჭურვილობა, რომლის ზიდვა რაინდსაც და ცხენსაც უჭირდა. XIII ს.-ში. იწყება ცხენების აბჯრით შემოსვაც. როგორც რაინდთა ფარები, ისევე ცხენების ასაღებაც ჰერალდიკურ შეფერვლობას იძენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაინდი მაღალი ტრიბუნდინაც კარგად უნდა გამოჩენილიყო, რამაც განაპირობა მუწარადის ქიმის სხვადასხვა დეკორატიული ელემენტებით მორთვის აუცილებლობა, რომლებიც მსუბუქი ხისაგან, პაპიემაშესაგან, უფრო მოგვიანებით, ძვირფასი ლითონებისაგან მზადდებოდა. ცნობილია, რომ XIV ს. ცნობილმა მოხეტიალემ რაინდმა ულრიჰ ფონ ლისტენშტეინმა მუწარადების რთული დაბოლოების მოდის ჩაუყარა საფუძველი. მან არაერთ ტურნირში მიიღო მონაწილეობა, იგი ლეგენდარული მეფე არტურის სამოსელში იყო

გამოწობილი და მის მუხარადს ვენერას ფიგურა ამშვენებდა, რომელსაც ცალ ხელში ჩირადდანი, ხოლო მეორეში ისარი ეკავა. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს კარვებს, რომლებშიც რაინდები თავიანთ საჭურველს ინახავდნენ, ისვენებდნენ და ტურნირებისათვის ემზადებოდნენ (ასეთივე კარვებს იყენებდნენ ჯვაროსნები თავიანთ ლაშქრობებშიც). ამ უკანასკნელმა, ჰერალდიკოსთა ვარაუდით, გერბის ერთ-ერთი შექმადგენელი ელემენტის, კერძოდ, მანტიის წარმოქმნა განაპირობა.

ტურნირები ველური სისხლიანი ხოცვა-ყლეტვიდან ნელ-ნელა თეატრალიზებულ წარმოდგენებად გარდაიქმნა, სადაც ფორმალურობას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო თვით ბრძოლის მნიშვნელობამ გარკვეული პირობითობა შეიძინა. მაგ. 1278 წ. უინძორის პარკში ჩატარებული ტურნირის დროს იყენებდნენ ხმლებს, რომლებზედაც პერგამენტი იყო დახვეული და ვეშაპის უღვაშით დამაგრებული. მუხარადები მოვერცხლილი, მონარშული ტყავისაგან, ხოლო ფარები ხისგან მზადდებოდა. პაექრობაში მიღწეული წარმატებებისათვის რაინდები ქულებს ღებულობდნენ. გამარჯვებულს გვირგვინოსანი პირი, ვეტერანი რაინდი (ჰეროლდი) ავლენდა, ზოგჯერ კი ის ქალბატონები ვის საპატივცემლოდაც იმართებოდა ტურნირი, რომლის შემდეგ ქალბატონებს გამარჯვებულები სასახლეში მიჰყავდათ და მათ პატივსაცემად ნადიმი იმართებოდა. გამარჯვებული ყველაზე საპატიო ადგილზე იჯდა. გამარჯვებულთა სახელები სპეციალურ ნუსხაში შეჰქონდათ, მათი საგმირო საქმეები მენესტრელთა სიმღერებში აისახებოდა და შემდგომ თაობებს გადაეცემოდა.

აზსებობდა ტურნირების ნაიზსახეობა, მაგ. ცხენოსანთა პაექრობა, რომლის დროსაც რაინდს მოწინააღმდეგე შუბით უნაგირიდან უნდა ჩამოეგდო, ბრძოლა ხმლებით, შეჯიბრი შუბისა და ისრის სროლაში, ტურნირისათვის სპეციალურად აგებული ხის ციხესიმაგრის აღება. ცნობილია შემთხვევა – 1434 წელს ათმა რაინდმა განაცხადა, რომ ესპანეთში ორბიგოსთან მდებარე ხიდს ერთი თვის განმავლობაში დაიცავდნენ, თავიანთი ქალბატონების საპატივცემლოდ. მათ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს – ერთი თვის განმავლობაში სამოცამდე მეომარი მოიგერიეს და შვიდასამდე ბრძოლა მოიგეს. რაინდთა ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ წარჩინებული წარმოშობის რაინდები დაიშვებოდნენ, თუმცა ამ მხრივ ტურნირში მონაწილეობის პირობები გერმანიაში შედარებით ლიბერალური იყო. ზოგჯერ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად სახელოვანი წინაპრის არსებობაც საკმარისი იყო.


შეიძლება ითქვას, რომ ტურნირში მონაწილის საშვს წარმოადგენდა გერბი, რომელიც ტურნირში მონაწილე რაინდის შესახებ საჭირო ინფორმაციის მატარებელი იყო. სწორედ ამიტომ, გერბი ტურნირის ეტიკეტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. გერბების სიმრავლემ შექმნა მათი მოწესრიგების აუცილებლობა, რამაც ჰეროლდების წარმოქმნა განაპირობა.

საინტერესოა ჰეროლდების ინსტიტუტის წარმოშობის პროცესისადმი თვალის გადავლება. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ თვით ტერმინი „ჰეროლდი“ სავარაუდოდ გერმანული წარმოშობისაა. ზოგიერთი ძველევარის, მაგ. ბერნდის (Bernd) აზრით ჰეროლდი გამოთქმა „dem Heere Holde“-დან (არმიის დამხმარე მოსამსახურე) წარმოიშვა. სხვები თვლიან, რომ ეს ტერმინი ომი (Heer) და ძველი (alt) ვეტერანისაგან წარმოდგება, უფრო ზუსტი განმარტება მოყვანილი აქვს სეილერს (Seyler) თავის ნაშრომში „ჰერალდიკის ისტორია“, სადაც ასაბუთებს, რომ იგი წარმოიქმნა სიტყვებიდან შეპახილი (haren) და alt – განკარგულების გაცემა (walten).

ტურნირის ჩასატარებელი მოედნის შემომსწავლველ ბარიერთან რაინდის გამოჩენას ჰეროლდი საყვირით ამცნობდა მაყურებლებს, შემდეგ ხმამაღლა აღწერდა მის გერბს, რითაც ტურნირში მონაწილეობის უფლებას ადასტურებდა. სწორედ აქედან წარმოდგება ჰერალდიკური ტერმინი ბლასონირება (ფრ. Blasonner). ჰეროლდებმა გერბთა აღწერის სპეციალური ტერმინოლოგია შეიმუშავეს, რომელთაც დღესაც იყენებენ ჰერალდიკოსები.

ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი პირველი გერბი წარმოდგენილია გრაფ ყოფრუა პლანტაგენეტის (გარდ. 1151 წ.) საფლავის ეპალის გამოსახულებაზე, სადაც ნაჩვენებია თვით ყოფრუა საგერბე ფარით, რომელზედაც ოთხი ატოტებული (ყალყზე შემდგარი) ლომია ლურჯ ფონზე გამოსახული. ცნობილია, რომ გრაფი ყოფრუა პლანტაგენეტი ინგლისის მეფე ჰენრი I-ის სიძე იყო. ქრონიკების მიხედვით, სწორედ ჰენრი I-მა (მეფობდა 1100-1135 წწ.) უბოძა ყოფრუას ეს გერბი.

ზოგიერთი ჰერალდიკოსის აზრით ჰერალდია, როგორც მეცნიერება, საფრანგეთში წარმოიქმნა, საიდანაც იგი ინგლისში, გერმანიაში და პოლონეთში გავრცელდა, პოლონეთიდან კი – რუსეთში, დაბოლოს, საქართველოშიც. ჰერალდიკის სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებამ გამოიწვია გერბებზე ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სიმბოლიკის გამოყენება და ჰერალდიური მეცნიერების გრძელვადიანად განვითარება.



გერბი



გერბი განსაკუთრებულ ფიგურათა და სიმბოლოთა ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრული წესების საფუძველზე გამოსახული და ცალკეული პიროვნების, გვარის, ჯგუფის ან დაწესებულების, ქალაქის, რაიონის ან სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშნის მატარებელია.

თავდაპირველად საგერბე გამოსახულებანი დაიტანებოდა აღჭურვილობაზე, ძირითადად ფაშზე და მუნარაღზე, რამაც განაპირობა ტერმინი გერბის წარმოშობა, რომელიც თითქმის ყველა ევროპულ ენაზე იარაღს აღნიშნავს, კერძოდ, გერმანულად – *Wappen*, სიტყვისაგან *Waffen*, ფრანგულად – *armoiries*, (*armes*), ინგლისურად – *arms*, იტალიურად – *arma*, შვედურად – *vapen* (ლათინურად გერბი ითარგმნება *arma* და *armorum insignia*, ანუ შეიარაღების მატარებელი).

გერბები იყოფა შემდეგ სახეობებად:

1. სახელმწიფო გერბები (*Les armoiries d'un État*), ასახავენ სახელმწიფოში შემავალი მიწების ჰერალდიურ გამოსახულებებს. მონარქიული სახელმწიფოს შემთხვევაში შესაძლოა ეს გერბები მონარქის გერბის შესატყვისი იყოს.

2. ადგილობრივი გერბები (*Les armoiries d'une ville*) – ენიჭებათ ქალაქებს, რაიონებს, საეპისკოპოსოებს და ა.შ.

3. გაერთიანების გერბები (*Les armoiries d'une communauté*) – ენიჭებათ კორპორაციებს, სასულიერო და საერო გაერთიანებებს, პროფესიულ გაერთიანებებს (ამქრებს), სამეცნიერო დაწესებულებებს და ა.შ.

4. საგვარეულო გერბები (*Les armoiries d'une famille*) – შემვიდრებით გადაეცემათ ერთი გვარის წარმომადგენლებს. ამასთანავე, დასავლეთ ევროპაში არსებობს პირადი გერბებიც, რომლებსაც განეკუთვნება ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო პირთა გერბები.

დასავლეთ ევროპაში გერბების წარმოშობისა და დანიშნულების ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშნის საფუძველზე მიღებულია მათი დაყოფა შემდეგნაირად:

სამოუავშირეო ანუ საქორწილო გერბები, რომლებიც დაქორწინებულ პიროვნებათა საგვარეულო გერბების შერწყმით ყალიბდება. ასეთი გერბები უფრო ხშირად იტალიასა და ავსტრიაში გვხვდება. ასე მაგ. თავად *Piccolomini*-ს გერბი შეიცავს არაგონის სამეფო გერბს, ამ სამეფოს პრინცესასთან ქორწინების აღსანიშნავად.

სამეკვიდრეო-მფლობელობითი გერბები (*Armes de succession*), რითაც მეკვიდრეობით გადაიცემა ესა თუ ის ქონება. მაგალითად, ავსტრიელ თავად *Lamberg*-ის გერბი შედგება სამი ცაუეული ფარისაგან, რომელთაგანაც ერთი წარმოადგენს მეკვიდრეობით მიღებულ წარჩინებულ გვარის *Scala*-ს გერბს. ზოგჯერ სამეკვიდრეო-მფლობელობით გერბებზე დაიტანება მეკვიდრეობით მიღებული გერბი მთლიანად, ან მისი ზოგიერთი გამოსახულება.

უფლების განმაცხადებელი გერბები (*Armes de prétention*) ასახავს ამა თუ იმ, სადაო ან აღრე მფლობელობაში მყოფ ტერიტორიას. მაგ. 1520 წ. დანიის მეფე ქრისტიან II გახდა ერთდროულად შვედეთის მეფეც და აქედან გამომდინარე მის გერბთან შერწყმული იყო შვედეთის გერბი – ლაჟვარდის ველზე სამი ოქროს გვირგვინით. როდესაც შვედეთი გამოეყო დანიას, ამ უკანასკნელის გერბზე შვედეთის გერბი დარჩა, როგორც უფლების განმცხადებელი. ასევე ინგლისის მეფეებს 1800 წლამდე თავის გერბზე დატანილი ჰქონდათ ფრანგული გერბის ელემენტები, ლაჟვარდის ველზე სამი ოქროს შროშანი, თუმცა მათ უკვე დიდი ხნის დაკარგული ჰქონდათ მიწები საფრანგეთის ტერიტორიაზე.

მფარველობითი ანუ ნაწყალობევი გერბი, ენიჭებოდათ ქალაქებსა და კონპოზიციებს ამა თუ იმ ხელმწიფის მიერ, განსაუთრებელი დამსახურებისათვის ან მფარველობის აღმნიშვნელად. ასე მაგ. ფრანგული გვარის *d'Estaing* გერბის თავში გამოსახულია საფრანგეთის მეფის მიერ ნაბოძები შროშანი, იმის აღსანიშნავად, რომ ამ გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა 1214 წ. ბუვინთან ბრძოლისას სიკვდილს გადააჩინა საფრანგეთის მეფე ფილიპ-აუგუსტი. არაგონიის გერბი თავდაპირველად შედგებოდა მხოლოდ ოქროს ფარისაგან, მაგრამ პრინც გოტფრიდ არაგონელის მიერ ნორმანებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის აღსანიშნავად იმპერატორმა კარლოს მელოტმა¹, თავისი ოთხი თითი პრინცის სისხლში ამოსვარა და ფარზე ვერტიკალურად დაუსვა. ამის შემდეგ არაგონიის მეფეთა გერბზე გამოსახავენ ოთხ მეწამულ სვეტს (*pals*) ოქროს ველზე. ამ გერბიდან კი ეს გამოსახულება ბასსელონისა და პროვანსის გერბებზე ინაცვლებს.

საინტერესოა გერბი, რომელიც მეფე ფერდინანდმა და დედოფალმა ინაბელა ესპანელმა ქრისტოფორე კოლუმბს ესპანეთისათვის გაწეული დამსახურების აღსანიშნავად, ახლად აღმოჩენილი ქვეყნების ვიცე-მეფის ტიტულთან ერთად უბოძეს. ოთხნაწილიანი გერბის ზედა ნახევარი შეიცავს კასტილიისა (ციხესიმაგრე) და ლეონის (ლომი) სამეფო ემბლემებს, ქვედა მარჯვენა ნაწილში ზღვის აღმნიშვნელ მწვანე ველზე დატანილია ხუთი ვერცხლის კუნძული, მარცხენა ნაწილში – ლაჟვარდის ველზე ხუთი ოქროს ღუზა. გერბზე მოთავსებულია მუზარადი, რომლის მოთოულობას (ქიმს) წარმოადგენს დედაძინის სფერო თავზე ჯვრით; ლავონური დევიზი გვამცნობს: „*Por Castilla, y por Leon, nuevo mundo hallo Colon*“ („კასტილიისა და ლეონის სამეფოთათვის კოლუმბმა ახალი სამყარო აღმოაჩინა“).

უნდა აღინიშნოს, ერთი გერბის წარმომადგენლის ისტორიაც, რომელიც XIV ს. ებოძა შოტლანდიელი წარჩინებული გვარის, *Douglas*-ის წარმომადგენელს. შოტლანდიის მეფე რობერტ ბრიუსმა 1329 წ. სიკვდილის წინ მამაც რაინდს - დუგლას შავს დაავალა, წმინდა მიწზე წაეღო მისი სხეულის ნაწილი, კერძოდ გული. მეფის სიკვდილის შემდეგ მას გადაეცა ვერცხლის ზარდანში მოთავსებული მეფის გული. დუგლასი პალესტინისაკენ გაემართა, თუმცა დანიშნულ ადგილამდე მიღწევა მას არ ეწერა. ანდალუზიაში იგი თავისი ზანძით ესპანელებს შეუერთდა და ერთ-ერთი მძიმე ბრძოლის დროს გარდაიცვალა თავისი მეფის გულით ხელში. ასეთი თავგანწირვის აღსანიშნავად დუგლასების გერბზე გამოსახულია მეწამული გული სამეფო გვირგვინით, ხოლო დევიზი გვამცნობს „*Do or die*“ („შესრულება ან სიკვდილი“).

რუსეთში აღნიშნული გერბები გვხვდება როგორც ტიტულის ბოძებისას, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეფე ცალკეულ გვარებს თავადანაწარმოებას უწყალობებდა. აქედან გამომდინარე, რუსულ გერბებზე აისახება ორთავიანი არწივი, იმპერატორის გვირგვინი, ხელმწიფის გვინჯელი და ა.შ. რუსულ ჰერალდიკაში არსებობს ნაწყალობევი გერბთა განსაუთრებელი ჯგუფი, ე.წ. ლეიბ-კამპანის გერბები, რომლებიც ელიზაბეტა პეტრეს ასულის მიერ ეწყალობა ლეიბ-კამპანიაში მონაწილე წარჩინებულ ქვეშევრდომებს მათი განსაუთრებელი

¹ კარლოს II მელოტი (823-877) - ფრანკთა დასავლეთ სახელმწიფოს ხელმწიფე 840 წლიდან, ფრანკთა იმპერატორი 875 წლიდან.

ერთგულების აღსანიშნავად. ეს გერბები გამოიჩინეს მათზე გამოსახული ლეიბ-კამხანის (გზენადერთა) ქუდი და სირაქლემის ბუმბულებით, რომელთა გვერდებზე ორი შავი არწივის ფრთაა მოთავსებული სამ-სამი ვერცხლის ვარსკვლავით. თვით ფარზე კი მოთავსებულია სამი ცვეცლმყოფი ყუმბარა ოქროს ნივინგზე სამი ვერცხლის ვარსკვლავითურთ.

დასავლეთში მფარველობითი გერბები დღესაც გვხვდება. რომელი კარდინალები თავიანთ გერბებზე სწორად ათავსებენ რომის პაპის გერბის ელემენტებს, პაპისაგან ბოძებული სასულიერო თანამდებობის აღსანიშნავად. შუა საუკუნეებში გვხვდებოდა, აგრეთვე, ე.წ. ღვთისმოსაობის გერბები (*Armes de dévotion*), რომლებიც რაინდებს ეკლესიისა და რელიგიისათვის გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის ებოძებოდათ. მაგ. *Maupoix-Baudran*-ის გვარის ერთმა რაინდმა, რომელიც მეფე ლუდოვიკ-წმინდას ახლდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მეფისაგან დავალება მიიღო, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ჩაეტანა ქრისტეს ეკლიანი გვირგვინი. ამ რელიგიურ გვირგვინსათვის აღნიშნულ გვარს ებოძა გერბი (ვერცხლის ველზე გამოსახული ხუთი შავი ეკლიანი გვირგვინით).

ინგლისში მფარველობითი გერბები სხვა დანიშნულების მატარებელია. აქ წარჩინებული პირები, რომლებიც ნაბოძებ მიწებს, მამულებსა და ცინესიმაგრებს ფლობდნენ, თავის საგვარეულო გერბზე თავისი უპირატესობის, უფლებისა და ღირსების აღსანიშნავად სხვადასხვა გამოსახულებებს ამატებდნენ.

თანამდებობრივი გერბები (*Armes de dignité*) ზემოაღნიშნულ გერბთა განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს. ისინი წარჩინებულ პიროვნებებს ენიჭებოდათ საპატიო თანამდებობის ან წოდების აღსანიშნავად და სწორად ამ პიროვნებათა შთამომავლებს მეტყვიდრობით გადაეცემოდათ. გერმანიაში რომის იმპერიისაგან მეტყვიდრობით მიღებული საპატიო თანამდებობები აღნიშნულია ცალკეულ სახელმწიფოთა გერბებზე: ბავარიის პფალცსაგრაფოს გერბზე დატანილია სამეფო თვითმპყრობელობის სფერო საიმპერატორო ასეულის მეთაურის აღსანიშნავად; ვიურტემბერგის გერბზე – სახელმწიფო ალაში, საიმპერატორო მედროშის მეტყვიდრობითი თანამდებობის აღსანიშნავად; საქსონიის გერბზე – გადაჯვარდინებული ხმლები, საიმპერატორო მარშლის მეტყვიდრობითი თანამდებობის აღსანიშნავად.

საფრანგეთში, რევოლუციამდე, ყველა სახელმწიფო მოხელეს განსაკუთრებული ჰერალდიური ნიშნები ენიჭებოდათ, რომლებიც ან თვით ფარზე თავსდებოდა, ან ფარის გარე შესამოხლებში აისახებოდა. მაგ. ორი გადაჯვარდინებული კვერთხი – მარშალის გერბზე, ორი გაშიშვლებული ხმალი – საფრანგეთის სარდლის გერბზე, ორი ღუნა – ადმირალის გერბზე და სხვ.

თავისი წარმოშობის მიხედვით გერბები შეიძლება დაიყოს უძველესი დროის გერბებად, რომლებიც წარმოიშვნენ გერბთა შექმნის აუცილებლობის პერიოდთან და მოგვიანებით დაყარდნენ სიგელით ბოძებულ გერბებად, რომლებსაც სახელმწიფოს მეთაური, ან გერმანიაში სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირი ე.წ. *Comes Palatinus* უწყალობებდა ქვემეგრდომებს შესაბამისი დოკუმენტით.

სიგელით ბოძებული გერბები XIV საუკუნიდან გვხვდება. ეს რწმუნებულები გაერთიანებულნი იყვნენ ორ ე.წ. დიდ და მცირე კომიტივებში. პირველთა რწმუნებულობას წარმოადგენდა ყოველწლიურად მიენიჭებინათ სამეტყვიდრო თავადმზნაურობა რამდენიმე პირისათვის და დაემტკიცებინათ მათი გერბები, ხოლო მეორეთა რწმუნებულობას კი წარმოადგენდა მხოლოდ სამეტყვიდრო გაერთიანებათა გერბების მინიჭება თავადმზნაურული წოდების გარეშე მყოფ პირთათვის. ასეთ გაერთიანებათა გერბების მქონე მოქალაქენი გერმანიაში ცნობილია, როგორც პიროვნებები ან გვარები, რომელთაც გერბის ქონის უფლება აქვთ, მაგრამ თავადმზნაურთა წრეს არ მიეკუთვნებიან.

თუ საგერბე გამოსახულება, პირდაპირ მიუთითებს მფლობელის გვარზე, ქალაქის ან ადგილის დასახელებზე და სხვ., მაშინ ასეთ გერბებს მეტყველი ანუ სახელობითი (*Armes parlantes*) გერბები ეწოდება. ამ გერბთა ნიმუშებს წარმოადგენს: თავად ორლოვების საგვარეულო გერბი, რომელზედაც არწივია გამოსახული; დოლგორუკებისასზე – ღრუბლებიდან გამოშვებული ისრისანი მულავი; ტოპოლსკებისასზე – ნახაჩი; ესპანურ გვარზე *Torres* – კოშკი; გერმანულ გვარზე *Eichmann* – ადამიანი, რომელსაც მუნა უჭირავს და ა.შ.

სშირად საჭიროა ძველი მივიწყებული გამოთქმებისა და სიტყვების მოძიება მეტყველი გერბების აღსაქმელად. ასე მაგ. მაგდებურგელი გვარის *Von Olvenstedl* გერბზე XIII საუკუნიდან გამოსახულია აქლემი, რომელსაც შუა საუკუნეებში „*Olbent*“-ს უწოდებდნენ, თანამედროვე გერმანულად კი „*Kamel*“. ასევე გამჭრალი სიტყვები ბუ (*Auf*) და ძემა (*Sprinz*) განმარტავს უძველესი გვარების *von Aufenstein* და *von Sprinzenstein* მეტყველ გერბებს.

გარდა ამისა აზსებობს ნახევრადმეტყველი გერბები, რომლებიც მხოლოდ მფლობელის გვარზე მიანიშნებენ, მაგ. გერმანიაში გვარის *Taxis* გერბზე დატანილია ძაწი (*Dachs*); გვარის *Spiller* (*Spiel* – თამაში) გერბზე – ჭადრაკის დაფა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, ე.წ. გერბი გამოცანები, რომლებშიც შეგნებულადაა დარღვეული ესა თუ ის ჰერალდიური წესი. მაგ. მეტალის გვერდზე მეტალი, ან ფერის გვერდზე ფერია მოთაფსებული². ასეთი გერბი გამოცანის მაგალითია გოტფრიდ ბულონელის გერბი, რომლის ვერცხლის ველზე ოქროს სალაშქრო ჯვარია (*la croix potencée*) გამოსახული ოთხი ისეთივე ჯვრით კუთხეებში, იერუსალიმის აღებისას ჩადენილი გმირობის აღსანიშნავად. ასეთი ტიპის ჯვარს დღესაც იერუსალიმის ჯვარი ეწოდება. ანალოგიური მაგალითია ფრანგ ჰერცოგთა უძველესი გვარის *Monmorency* გერბი. გადმოცემით ამ გვარის წარჩინებულმა წინაპარმა წარმართულ გალიაში, ერთ-ერთმა პირველმა აღიარა ქრისტიანობა. ამის აღსანიშნავად გერბის ოქროს ველზე დატანილია ვერცხლის ჯვარი, რაზეც დევნი „*Dieu aide au premier baron chrétien*“ („დამერთი ესმარება პირველ ქრისტიან ბარონს“) მეტყველებს.

სახეობისაგან დამოუკიდებლად გერბი შესაძლოა იყოს სრული (*Armoiries pleines*) და სახეცვლილი (*Brisées*). გერბზე აისახებოდა, როგორც საგმირო საქმეები, ასევე უდიდესი საქციელიც (*Armes diffamées*). სერბიონული დანაშაულისათვის რაინდს რაინდობის წოდება ჩამოერთმეოდა, უფრო ნაკლები დანაშაულისათვის კი საგერბე ელემენტები არასრულად გამოისახებოდა. ასე მაგ. ლუდოვიკო წმინდამ ბრძანა ყან დ'ავენის გერბზე ლომი გამოყოფილი ენისა და ბზყალეების გარეშე გამოესახათ, რადგანაც მან საუთარი დედა შეურაცხყო.

ჰერალდია წარმოადგენს გერბების გამოსახვის წესების შეცნობასა და მათ გამოყენებაში. ჰერალდიის იმ ნაწილს, რომელიც განიხილავს გერბის შედგენასა და აღწერას გერბმცოდნეობა, ანუ თეორიული ჰერალდია ეწოდება, ხოლო იმ ნაწილს, რომელიც განიხილავს ჰერალდიური წესების კონკრეტულ გერბზე მისადაგებას – ჰერალდიური სელონება, ანუ პრაქტიკული ჰერალდია.

ფარი



გერბის ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ფარი. იგი მუხარბდთან ერთად ქმნის დასრულებულ საგერბე გამოსახულებას. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, სხვადასხვა ხალხებში გვხვდება განსხვავებული ფორმის ფარები.

ძველად ფარის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა მრგვალი და ოთხკუთხედი, რომელთაგანაც წარმოიშვა ყველა სხვა ფორმის ფარი.

ბერძნებთან გვხვდება ფარის რამდენიმე სახე: მრგვალი, ოვალური, წაგრძელებულ-მომრგვალებული, გვერდებზე ამოღებული ნაჭდეგებით (ე.წ. ბეოტიური), ასევე ანიური, ნახევარმთავრის ფორმის, რომელსაც ამპონელებს მიაკუთვნებენ. ეტრუსკები მრგვალი ფორმის ბერძნულ ფარს იყენებდნენ, რომელმაც შემდგომ რომაელებთან გადაინაცვლა, მაგრამ მალე იგი შეცვალა ე.წ. საბინურმა ფარმა (ლათინურად *Scutum*).

² ზოგიერთი გერმანელი ჰერალდიკოსი - Seyler, Gritzner და სხვ. სრულებით უარყოფენ გამოცანა-გერბებს, განმარტავენ მათ აზსებობას, დროთა განმავლობაში ფარის შეფერილობის შეცვლას, მაგ. ვერცხლისფერს - ცისფრად, ოქროსფერს - წითლად და ა.შ.

საბინური ფარი წარმოადგენდა გამოხერხილ, ოთხეუთხა ფორმის (სიმაღლით 1,2 მ-მდე და სიგანით – 0,8 მ-მდე) ფარს. იგი კეთდებოდა ხისაგან, იფარებოდა ტყავით და მაგრდებოდა სალტეებით. რომაელთა მსუბუქ ქვეითებს (გელიტებს) უფრო მცირე ზომის მრგვალი ფარი ჰქონდათ, რომელიც ტირიფისაგან კეთდებოდა და ხარის ტყავით (ე.წ. *Parma*) იფარებოდა. გარდა ამისა, რომაელები იყენებდნენ ე.წ. სამნიტურ ფარს, რომელიც ოთხეუთხა ფორმისა იყო ქვედა მომრგვალებული ბოლოთი. ფარი რომაელი მეომრის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და განსაკუთრებულ პატივისცემასაც იმსახურებდა. ასეთია ე.წ. წმინდა ფარები (*Ancilia*), რომელნიც ბრძოლაში არ გამოიყენებოდა, ისინი მანძის ტაძარში ინახებოდა და რომაელები მას თაყვანს სცემდნენ.

სამარტოა და ჰუნთა ტომები, რომლებიც IV საუკუნეში ევროპას შეესივნენ, ფარებს საერთოდ არ იყენებდნენ. შემდგომში ტომებმა, რომლებიც გერმანიაში დამკვიდრდნენ, თანდათანობით აითვისეს რომაელთა საბრძოლო ჩვეულებანი, თუმცა უპირატესობას რომაულ მსუბუქ ფარებს ანიჭებდნენ. იგივე ტიპის ფარებს სმარობდნენ გერმანელებიც, ისინი ფარებზე სხვადასხვა ცხოველების ტყავებს ჭიმავდნენ, ეს ტრადიცია დასავლეთ ევროპაში XIII საუკუნემდე შენარჩუნდა და, სავარაუდოა, რომ სწორედ ამან განაპირობა ჰერალდიური ბეწვეულის წარმოშობა.

კარლოს დიდის დროს ფარების უმეტესობა მზადდებოდა ხისაგან, რომელსაც ეკვრებოდა ტყავი და ბოლოს კოტებით მაგრდებოდა რუინის ზოლები. იმ დროის მხედარი მსუბუქ ფარს სმარობდა, რომელიც ზემოთ მომრგვალებული და ქვემოთ წაწვეტებული იყო. ფარი ისეთი ზომისა იყო, რომ მას აუცილებელი თავდაცვის პირობა შეექმნა და ცხენის მართვაში ხელი არ უნდა შეეშალა. მრგვალ ფარებს შუაგულში ჰქონდათ ამონეტილი მორთულობა, ანუ კოტა, გრძელი და მოკლე ქამარი, რომელთაგან პირველი ფარის მხარზე გადასაყიდებელი იყო, ხოლო მეორე ხელში დასაჭერი. ქვეითი მებრძოლი დიდი ზომის ნუშისებური ფორმის ფარს ატარებდა, რომელსაც ბრძოლის დროს მიწზე აყრდნობდა.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ XI საუკუნეში ჰერალდ III ნორვეგიელის დროს პირველად ჩნდება შემწარავი და ლეგენდარული გამოსახულებებით მოხატული ფარები. ნორმანდიული – ცარციო დაგრუნტული, ზემოთ მომრგვალებული და ქვემოთ წაწვეტებული ხის ფარი შეიძლება შუა საუკუნეებში გამოყენებული ფარის ნიმუშად ჩაითვალოს. ჰერალდიკისათვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მასზე პირველად ჩნდება საგერბე გამოსახულებები.

შეიარაღების განვითარებამ გავლენა ფარზეც იქონია. უკვე 1300 წლისათვის რაინდის ფარი იცვლება და სამკუთხა ფარის, ე.წ. ტარჩის, თითქმის ტოლგვარად სამკუთხედის ფორმას ღებულობს, რომელსაც გვერდები ოდნავ ამონეტილი აქვს, ხოლო თავისი ზომით მარცხენა მხარს და მკერდის ნახევარზე მეტს ფარავს. ფარის დასახელება (*tartsche*) წარმოდგება არაბულიდან (*dàrake*), აქედანვე იღებს დასაბამს იტალიური *targa*. თავდაპირველად ამ ტერმინით მრგვალი ფორმის ფარი აღინიშნებოდა.

ამავე ეპოქაში (XIV ს.) ქვეითი მეომრისთვის თავდაცვის უფრო ეფექტური საშუალების უზრუნველსაყოფად გაჩნდა ე.წ. მდგომარე ფარი. მას დიდი ზომის პარალელოგრამის სახე ჰქონდა, მომრგვალებული ფორმის სათვალთვალ ნახევრებით და ქვემოთ მიწაში ჩასარჭობი რუინის წაწვეტებული შეერილით. ამ ფარზე, რომელსაც იტალიურად მიიხნევენ (*pavois, paveuse* – ქ. პავიიდან) ჩვეულებრივ დატანილ იყო სხვადასხვაგვარი გამოსახულებები, რელიგიური წარწერები, იშვიათად, კაბალისტური ხასიათის ნიშნები.

XIII ს. ბოლოდან ფრანგ და ბურგუნდიელ რაინდთა შეიარაღებაში გამოიყენებოდა კისრის დასაცავი, მცირე ზომის რუინის მართუთხა ფორმის სამხრე ფარები, რომლებსაც მხარზე დახრილ მდგომარეობაში ატარებდნენ. აღნიშნულ სამხრე ფარებზე, ისევე როგორც ძირითად ფარზე, გამოისახებოდა საგერბე ელემენტები.

XVI ს. რაინდის ჯავშანი ისე ვითარდება, რომ ფარი თავის ფუნქციას კარგავს, იშვიათად გამოიყენება და ჰერალდიკის სფეროში ინაცვლებს.

ჰერალდიკური ფარის ფორმათა საფუძველს მარტივი გეომეტრიული ფიგურები – სამკუთხედი, კვადრატა, წრე, ელიფსი და ზომბი წარმოადგენს.

ნორმანული ანუ ვარიაგების ფარი (1) – უძველესი ფარია.

ადრეულგოთური ფარი (2) – წაგრძელებული ფორმისაა და ზედა კუთხეები მომრგვალებული აქვს.

გვიანგოთური ფარი (3) – ამ უძველეს ფართა საფუძველზე შეიქმნა და დღემდე გამოიყენება ჰერალდიკაში.

ესპანური ფარი (4) – კვადრატია, ზომელსაც ქვედა მხარე მომრგვალებული აქვს.

ფრანგული ფარი (5) – ოდნავ წაგრძელებული კვადრატია, ქვედა მხარეს გულისებრი წაწვეტებით. ჰერალდიკაში ამ ფორმის ფარი XVI საუკუნიდან გვხვდება და მას საერთო არაფერი აქვს საბრძოლო ფართან.


იტალიური ფარი (6) – ოვალურია, კვერცხისებრი ფორმის. იგი უფრო ხშირად ქალთა გერბებში გამოიყენება.

ადმოსავლური ფარი (7) – წრის ფორმისაა. შუა საუკუნეებიდან ადმოსავლეთის ყველა ქვეყანაში გვხვდება. XIII საუკუნიდან დამახასიათებელია რუსეთისთვისაც.


ფიგურული ანუ გერმანული ფარი (8) – წმინდა დეკორატიული ფორმისაა, ხასიათდება გვიანდელი რენესანსის პერიოდში გავრცელებული დვლარზნული ორნამენტული სახით. ჰერალდიკაში ძალზე იშვიათად გამოიყენება.

ამხონური (ბერძნული) ფარი (9) – ნახევარი წრის ფორმის ორი ღრმა ნაჭრევით ზედა მხარეს. ჰერალდიკაში ძალზე იშვიათად გამოიყენება, თუმცა ხშირად გვხვდება არქიტექტურაში დეკორატიული დეტალის სახით.

აფრეული (ზულუსური) ფარი (10) – ზომბის ფორმის ქვედა და ზედა წაწვეტებული ფორმით. თანამედროვე ჰერალდიკაში გვხვდება XX ს. მეორე ნახევრიდან.



აღსანიშნავია, რომ გერბებში ყველაზე ხშირად გამოიყენება ფრანგული ტიპის ფარი. რაც შეეხება ფარის პროპორციებს, ჰერალდიკოსთა შორის ახრთა სხვადასხვაობა შეიმჩნევა, მაგ. გერმანელი ჰერალდიკოსი გეტერბერი ფარის სიგანისა და სიმაღლის თანაფარდობას 6/7-ად მიიჩნევს, რუსი არსენიევი – 7/8-ად, თუმცა გვხვდება 8/9 პროპორციაც.



ფარის ღაყოფა



ერბის ფარის ზედაპირს ველი ეწოდება. იგი ერთი, ან რამდენიმე ფერის სწორი ტიხრებითაა შემოსაზღვრული. ძალზედ იშვიათია ცარიელი ფარი, ანუ რაიმე გამოსახულების გარეშე, მას მოძლოდინე ფარი ეწოდება. ჩვეულებრივ კი, ფარის ველზე დატანილია სხვადასხვა საგებზე ფიგურები.

საგებზე ფიგურებს წარმოადგენს ყველაფერი, რაც შესაძლოა დატანილი იყოს ფარზე გამოსახულების ან ფერის სახით. ჰერალდიური წესის თანახმად დაყოფილი ფარის სხვადასხვა ველზე დატანილი განსხვავებული ფერი საკმარისია დასრულებული გერბის ჩამოყალიბებისათვის.

ამგვარად შეფერილ საგებზე ფიგურებს ჰერალდიური ფიგურები ეწოდება, რადგანაც ისინი მხოლოდ ჰერალდიკოსათვისაა დამახასიათებელი და ჰეროლდების მიერ გამოგონილი და განმარტებული მნიშვნელობა აქვთ. მათ საპატიო ფიგურებს (*Pièces honorables*) უწოდებენ, ხოლო დანარჩენ ფიგურებს – ჩვეულებრივს, ანუ მარტივს (არაჰერალდიურს). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მნიშვნელობით არ არსებობს არავითარი უპირატესობა ჰერალდიურ ფიგურებსა და ფერებს შორის. უძველესი დროიდან ორივე კატეგორიის ფიგურები ერთდროულად გვხვდება ყოველგვარი განსხვავების გარეშე. ფარი შესაძლოა დაყოფილი იყოს გრძივი (შვეული), განივი (ჰორიზონტალური) და დახრილი (დიაგონალური) მიმართულების ტიხრებით, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა შეფერილობის ნაწილებს.


სავარაუდოა, რომ ფარის დამყოფი ხაზების წარმოშობა მასზე ბრძოლის დროს ხმლის დატყეპისაგან მიყენებულ ნაჭდეგებს უკავშირდება.

ფარს დამყოფი ხაზების გარეშე მარტივი ფარი (*écu simple*), ხოლო დამყოფი ხაზებით – რთული ფარი (*écu complexe*) ეწოდება.

ჰერალდიაში უძველესი დროიდან მიღებულია ძირითადი წესი, რომლის მიხედვითაც ფარის მარჯვენა და მარცხენა მხარე საზღვისებურია, ანუ გერბის ბლაზონირებისას (აღწერისას) თავი უნდა წარმოვიდგინოთ ფარის მფლობელის ადგილას¹. ნახ. 1-ზე გამოსახული ფარის AG მხარე ითვლება ჰერალდიურად მარჯვენა – დექსტრის, CI ჰერალდიურად მარცხენა – სენესტრის მხარედ.

ფარის AC მონაკვეთს თავი ეწოდება, GI მონაკვეთს – საფუძველი, AG მონაკვეთს – წინა გვერდითა, CI მონაკვეთს – უკანა გვერდითა.

ფარის A ნაწილს, ზედა კუთხე დექსტრისკენ, ან თავის დექსტრის მხარე (*Le canton dextre du chef*) ეწოდება, B ნაწილს – თავის ცენტრი, C ნაწილს – ზედა კუთხე სენესტრის მხარეს, ან თავის სენესტრის მხარე, G ნაწილს – ქვედა კუთხე დექსტრის მხარეს (*Le canton de la pointe dextre*), I ნაწილს – ქვედა კუთხე სენესტრის მხარეს (*Le canton de la pointe senestre*), E ნაწილს – ფარის გული (*Le coeur*), D ნაწილს – გულის დექსტრის მხარე (*Le flanc dextre*), F ნაწილს – გულის სენესტრის მხარე (*Le flanc sénestre*).



ნახ. 1


ფარის A, D, და G ნაწილები შეადგენენ ფარის დექსტრის ანუ წინა მხარეს; C, F, I ნაწილები – სენესტრის ანუ უკანა მხარეს; B, E, H ნაწილები – სვეტს (*pal*); D, E, F ნაწილები – ფარის შუალედს (*milieu*).

საგებზე ფარის გულში მოთავსებულ ფარს საშუალო ანუ გულისებრი ფარი (*L'écu sur le tout*) ეწოდება. როდესაც გულისებრი ფარი თავის შუაგულში შეიცავს კიდევ ერთ მცირე ფარს, პირველს – საშუალო, ხოლო მეორეს გულისებრი ფარი (*L'écu sur le tout du tout*) ეწოდება.

ფრანგულ და სხვა ქვეყნების ჰერალდიაში, გერმანულის გარდა, ყველა ჰერალდიური ფიგურა წინა მხრით მიბრუნებული უნდა იყოს დექსტრის მხარეს. ფიგურას, რომელიც საწინააღმდეგო მხარესაა მიმართული

¹ ამ წესმა შესაძლოა გარყვეული დაბნეულობა გამოიწვიოს, ამიტომ უპრინციპოა ფარის მხარეთა აღსანიშნავად გამოყენებული იქნას ფრანგული ენიდან ნასესხები ტერმინები: დექსტრე (*dextre*) - ჰერალდიურად მარჯვენა და სენესტრე (*senestre*) - ჰერალდიურად მარცხენა.

შებენებულ ფიგურას უწოდებენ. ფარის საფუძველიდან თავისუფან მიმართულ ფიგურას შვეიციურ მიმართული ეწოდება, ხოლო ქვემოთენ მიმართულს – დაყირავებული (*renversé*).



ნახ. 2

ფარის ზედა ნაწილი დექსტრის მხარეს ითვლება მთავარ საპატიო ადგილად. საერთოდ, გერბის ბლანონირებისას ჯერ საპატიო ადგილს აღწერენ და შემდეგ დანაწილებს. დასავლეთის ჰერალდიკაში ზოთული, ანუ დანაწევრებული ფარის ყველა დანაყოფი განპირობებულია განსაზღვრული ნორმებით, მათ მინიჭებული აქვთ შესაბამისი დასახელება, რაც დაფუძნებულია ხანგრძლივ თეორიასა და პრაქტიკაზე.

ახსებობს ფარის დაყოფის ოთხი ძირითადი სახე:



ნახ. 3

1) ფარის ზედა კიდის შუიდან დაშვებული ვერტიკალური ხაზისგან (ნახ.2) წარმოქმნილ დაყოფას გუვეთილი (*écu parti*) ეწოდება.

2) ფარის გვერდითა კიდეების შუა წერტილების შემაერთებელი ხაზით წარმოქმნილ დაყოფას (ნახ. 3) გადაგვეთილი (*écu coupé*) ეწოდება.



ნახ. 4

3) დექსტრის მხარის ზედა კუთხიდან სენესტრის მხარის ქვედა კუთხისაკენ გტარებული ხაზით (ნახ. 4) წარმოქმნება ჩამოგვეთილი დექსტრიდან (*écu tranché*).

4) სენესტრის მხარის ზედა კუთხიდან დექსტრის მხარის ქვედა კუთხისაკენ გტარებული ხაზით (ნახ. 5) წარმოქმნება ჩამოგვეთილი სენესტრიდან (*écu taillé*).

ფარის პირველი და მეორე დაყოფის შერწყმით ვღებულობთ ოთხ ნაწილად დაყოფილ ფარს (ნახ. 6), რომელსაც გუვეთილ-გადაგვეთილი (*écu écartelé*) ეწოდება. გაერთიანებული მესამე და მეოთხე დაყოფა (ნახ. 7) წარმოქმნის ორივე მხრიდან იზიზად წმ. ანდრიას ჯვრისებრად დაყოფილ ფარს, რომელსაც ორჯერ ჩამოგვეთილი (*écu écartelé en sautoir*) ეწოდება. და ბოლოს, ოთხივე დაყოფის გაერთიანებით (ნახ. 8), წარმოქმნება ზვავუთხივ დაყოფა (*écu gironné*).



ნახ. 5

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შესაძლოა შვერილებიანი, საფესურებიანი, დაბილული, წაწვეტებული, ტალღისებრი და სხვ. ხაზებით დაყოფა. ეს უკანასკნელი ქმნიან ფარის დაყოფის შემდეგ სახეებს:



ნახ. 6

საფესურისებრი (ნახ. 9); კბილოვანი (ნახ. 10); ორმაგად კბილოვანი (ნახ. 11); ჩამოგვეთილკბილოვანი (ნახ.12); ფართოკბილოვანი (ნახ.13); წაწვეტებულკბილოვანი (ნახ. 14); ჯვრისებრკბილოვანი (ნახ. 15); წაწვეტებული (ნახ. 16); ამოღუნულ-წაწვეტებული ან აღისებრი (ნახ. 17); კბილისებრი (ნახ. 18); დაბილული (ნახ. 19); ტალღისებრი (ნახ. 20); მოღრუბლული (ნახ.21); ღრუბლისებრი (ნახ. 22);



ნახ. 7

ფარის აღნიშნული დაყოფა შესაძლოა გამოყენებულ იქნას ნებისმიერი მიმართულებით, ანუ განივად, გრძივად და დახრილად, როგორც დექსტრის, ასევე სენესტრის მხრიდან. უფრო იშვიათ დაყოფას განეკუთვნება ე.წ. ფოთლისებრი (ნახ. 23), რომელიც ცაცხვის ფოთოლს, სამყურას ფოთოლს, ან ჰერალდიკურ შროშანს წაგავს; ლუიუნასებრი (ნახ. 24,25), რომელსაც ფარის კიდიდან ცენტრისაკენ გავლებული სპირალური წარმოქმნის, და ხაზისებური (ნახ. 26).



ნახ. 8

ზემოაღნიშნული ფიგურების გარდა გერბებში კიდევ გამოიყენება მომრგვალებულ-დაბილული დაყოფა (ნახ. 27), რომელსაც გველისებურსაც უწოდებენ, დაბილულ-კბილოვანი (ნახ. 28) და კაუჭისებრი (ნახ. 29). რაც შეეხება ტოტისებრ ანუ კუნძისებრ (ნახ. 30) დაყოფას, იგი უფრო ხშირად ჰერალდიკური ფიგურის სახით გვხვდება.

ერთი გამყოფი ხაზით წარმოქმნილი ფიგურები მარტივს, ხოლო რამდენიმე ხაზით წარმოქმნილი – შედგენილ ფიგურებს წარმოადგენენ. თუ ფარზე გამოყენებული სხვადასხვა

ფერით შეფერილი ველები თანაბარი სიდიდისაა, ადგილი აქვს ჭეშმარიტ დაყოფას. შესაბამისად, თუ ფაზი დაყოფილია ორი ფერის რამდენიმე ველად, მაშინ ერთფერიათი ველის ფართობის ჯამმა ფარის ნახევარი უნდა შეადგინოს, სამი ფერის შემთხვევაში – ფარის მესამედი, ოთხი ფერის შემთხვევაში – ფარის მეოთხედი და ა.შ. არაჭეშმარიტი დაყოფა ნიშნავს, როდესაც გამყოფი ხაზი გარკვეულწილად გადახრილია ერთ მხარეს და ამით არათანაბარ ველებს ქმნის. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს შემდეგი დაყოფისას:

ნივნივისებრი (ნახ. 31, 32); საფეხურიისებრი (ნახ. 33, 34); აღმაავალი და დაღმაავალი ზეალური საფეხურიისებრი (ნახ. 35); დიდი და მცირე ქერცლისებრი (ნახ. 36, 37).


უფრო იშვიათი და გერბებში თითქმის გამოუყენებელი ცობილისებური (ნახ. 38, 39), ზევით ან ქვევით მიმართული და ნამგლისებური (ნახ. 40), მიმართული დექსტრის, ან სენესტრის მხარეს.

არაჭეშმარიტ დაყოფას განეკუთვნება ასევე ნახ. 41-ზე გამოსახული დაყოფა, რომლის დროსაც ფაზი სამ თანაბარ განსხვავებული შეფერილობის ველადაა დაყოფილი. ე.წ. ჩანგლისებური დაყოფა ყალიბდება ფარის ცენტრიდან გამომავალი სამი ხაზით, რომელთაგან ორი დახრილი, ფარის ზედა კუთხეებს უკავშირდება, ხოლო მესამე, ვერტიკალური – ფარის ქვედა კიდის შუა წერტილს. არსებობს გადაყირავებული დაყოფაც, ანუ როდესაც დიაგონალური ხაზები ფარის ქვედა კუთხეებიდანაა გატარებული ცენტრისაკენ, ხოლო ვერტიკალური – ზემოდანაა დაშვებული. ეს დაყოფა ქმნის სამ არათანაბარ ველს, რომელთაგანაც თითოეულს განსხვავებული შეფერილობა აქვს (ნახ. 42, 43).

ფაზზე აღნიშნული ოთხი მიმართულების სწორი დამყოფი ხაზები შესაძლოა რამდენიმეჯერ მეორედოდეს და ქმნიდეს რამდენიმე ველს. განსხვავებულ შეფერილობის ველთა რაოდენობა თანაბარი უნდა იყოს, იმისდა მიუხედავად, ფაზი ორ ნაწილად იქნება დაყოფილი თუ უფრო მეტად, როგორც ეს ნახ. 44-57-ზე ჩანს. სხვადასხვა მიმართულების ხაზების შეერთებით მიღებული ფარის დაყოფა შეიძლება იყოს ორი სახის:

1) დაყოფა, რომლის დროსაც ფარის შუაში გატარებული პერპენდიკულარის ზედა წერტილიდან გავლებულია ფარის ქვედა კუთხეების შემაერთებელი ხაზები, და პირიქით, როდესაც პერპენდიკულარის ქვედა წერტილიდან გავლებულია ფარის ზედა კუთხეების შემაერთებელი ხაზები (ნახ. 58, 59); დაყოფის ამ ტიპს განეკუთვნება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ფარის მთავარი გამყოფი ხაზი ჰორიზონტალურია და დექსტრის მხარის კუთხეებიდან გავლებულია სენესტრის მხარეს ჰორიზონტალური ხაზის გადაკვეთის წერტილის შემაერთებელი ხაზები, და პირიქით, როდესაც სენესტრის მხარის კუთხეებიდან გავლებულია დექსტრის მხარეს ჰორიზონტალური ხაზის გადაკვეთის წერტილის შემაერთებელი ხაზები (ნახ. 60, 61). ამავე დაყოფას განეკუთვნება ფარის ისეთი დაყოფა, როდესაც ჰორიზონტალური ან ვერტიკალური მთავარი გამყოფი ხაზიდან გატარებულია რამდენიმე დახრილი ხაზი ფარის გვერდებისკენ (ნახ. 62). ფარის ვერტიკალურად დამყოფი რამდენიმე ხაზის არსებობის შემთხვევაში ვღებულობთ ნახ. 63-ზე გამოსახულ ფიგურას;

2) დაყოფა, რომლის დროსაც დამყოფი ხაზები გადაკვეთება ყველა შესაძლო წერხით. ამ უკანასკნელიდან აღსანიშნავია ოთხნაწილიანი, ე.წ. მარტივი (ნახ. 6, 64-66) დაყოფა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ფარის გადაკვეთი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების რაოდენობა მატულობს, ვღებულობთ ე.წ. ჭადრაკულ დაყოფას (ნახ. 67-71), რომლის დროსაც ცალკეული ველის სიგრძე და სიგანე ტოლია, ან თითქმის ტოლი, რაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური დამყოფი ხაზების თანაბარი რაოდენობით მიიღწევა. იმ შემთხვევაში, როდესაც ვერტიკალური დამყოფი ხაზების რაოდენობა აჭარბებს ჰორიზონტალურს, მიიღება ვერტიკალურად წაგრძელებული ველები (ნახ. 72) და პირიქით, როდესაც ვერტიკალური დამყოფი ხაზების რაოდენობა ნაკლებია ჰორიზონტალურზე, მიიღება ჰორიზონტალურად წაგრძელებული ველები (ნახ. 73). ასეთ დაყოფას სოლყავარისებური ეწოდება. ამ შემთხვევაში გერბის ბლანზონირებისას მიღებულია ფარის ვერტიკალური და ჰორიზონტალური დამყოფი ხაზების რაოდენობის აღნიშვნა. მაგ. ნახ. 74-ზე გამოსახული გერბი აღიწერება შემდეგნაირად: გუგვეთილი და ორჯერ გადაკვეთილი ფაზი, შავი და ვერცხლისფერი.



ნახ. 9



ნახ. 10



ნახ. 11



ნახ. 12



ნახ. 13



ნახ. 14



ნახ. 15




ԵՏԵ. 16




ԵՏԵ. 17




ԵՏԵ. 18



ԵՏԵ. 19



ԵՏԵ. 20



ԵՏԵ. 21



ԵՏԵ. 22



ԵՏԵ. 23




ԵՏԵ. 24




ԵՏԵ. 25




ԵՏԵ. 26



ԵՏԵ. 27



ԵՏԵ. 28



ԵՏԵ. 29




ԵՏԵ. 30




ԵՏԵ. 31




ԵՏԵ. 32



ԵՏԵ. 33



ԵՏԵ. 34




ԵՏԵ. 35




ԵՏԵ. 36




ԵՏԵ. 37




ԵՏԵ. 38



ԵՏԵ. 39




ԵՏԵ. 40



ԵՏԵ. 41



ԵՏԵ. 42



ԵՏԵ. 43



ԵՏԵ. 44



ԵՏԵ. 45



ԵՏԵ. 46



ԵՏԵ. 47



ԵՏԵ. 48



ԵՏԵ. 49



ԵՏԵ. 50



ԵՏԵ. 51



ԵՏԵ. 52



ԵՏԵ. 53



ԵՏԵ. 54



ԵՏԵ. 55



ԵՏԵ. 56



ԵՏԵ. 57



Бэб. 58



Бэб. 59



Бэб. 60



Бэб. 61



Бэб. 62



Бэб. 63



Бэб. 64



Бэб. 65



Бэб. 66



Бэб. 67



Бэб. 68



Бэб. 69



Бэб. 70



Бэб. 71



Бэб. 72



Бэб. 73



Бэб. 74



Бэб. 75



Бэб. 76



Бэб. 77



Бэб. 78



Бэб. 79



Бэб. 80



Бэб. 81



Бэб. 82



Бэб. 83



Бэб. 84



Бэб. 85



Бэб. 86



Бэб. 87



Бэб. 88



Бэб. 89



Бэб. 90



Бэб. 91



Бэб. 92



Бэб. 93



Бэб. 94



Бэб. 95



Бэб. 96



Бэб. 97



Бэб. 98



Бэб. 99



ԵՏԵ. 100



ԵՏԵ. 101



ԵՏԵ. 102



ԵՏԵ. 103



ԵՏԵ. 104




ԵՏԵ. 105




ԵՏԵ. 106



ԵՏԵ. 107



ԵՏԵ. 108



ԵՏԵ. 109



ԵՏԵ. 110



ԵՏԵ. 111



ԵՏԵ. 112



ԵՏԵ. 113



ԵՏԵ. 114



ԵՏԵ. 115



ԵՏԵ. 116




ԵՏԵ. 117




ԵՏԵ. 118



ԵՏԵ. 119




ԵՏԵ. 120



ԵՏԵ. 121



ԵՏԵ. 122



ԵՏԵ. 123



ԵՏԵ. 124



ԵՏԵ. 125



ԵՏԵ. 126



ԵՏԵ. 127



ԵՏԵ. 128



ԵՏԵ. 129



ԵՏԵ. 130



ԵՏԵ. 131



ԵՏԵ. 132



ԵՏԵ. 133



ԵՏԵ. 134



ԵՏԵ. 135




ԵՏԵ. 136



ԵՏԵ. 137



ԵՏԵ. 138



ԵՏԵ. 139



ԵՏԵ. 140



ԵՏԵ. 141



ნახ. 142



ნახ. 143



ნახ. 144



ნახ. 145



ნახ. 146



ნახ. 147



ნახ. 148



ნახ. 149



ნახ. 150



ნახ. 151



ნახ. 152



ნახ. 153



ნახ. 154



ნახ. 155



ნახ. 156



ნახ. 157



ნახ. 158



ნახ. 159



ნახ. 160



ნახ. 161



ნახ. 162



ნახ. 163



ნახ. 164

დიაგონალური დამყოფი ხაზების შემთხვევაში უფრო მეტი მრავალფეროვნება შეინიშნება. დექსტრიდან და სენესტრიდან გატარებული თანაბარი რაოდენობის დიაგონალურად დამყოფი ხაზები წარმოქმნიან ე.წ. რომბისებურ დაყოფას, რომელიც დამყოფი ხაზების რაოდენობიდან გამომდინარე განსხვავებულ ჭადრკუსებურ გამოსახულებას იძენს (ნახ. 75-77).

ამავე ტიპს განეკუთვნება დაყოფა, როდესაც დიაგონალური ხაზი მართობულად იკვეთება ფარის კიდეებიდან გავლებული რამოდენიმე ხაზით (ნახ. 78, 81).

ფარის დაყოფის განსაკუთრებული სახე მიიღება, როდესაც ვერტიკალური ხაზები იკვეთება დახრილი ხაზებით, ამასთანავე მიღებული ველები რომბებს წააგავს (ნახ. 83, 84).

დაბოლოს, ვერტიკალური და დიაგონალური ხაზების, ან ჰორიზონტალური და დიაგონალური ხაზების, ან ორივესი ერთად, გვაძლევს რიგ დაყოფას სამუთხა ველების სახით (ნახ. 8, 86-89). სშირად გვხვდება აგრეთვე დაყოფა მხოლოდ რუალისებური ხაზებით, რომლებიც ქმნიან სამ ან ოთხ ერთნაირი ფერის ველს (ნახ. 90, 91).

ამ მრავალგვარი დაყოფის მიმოხილვის დასასრულს მოხსენიებულ უნდა იქნეს ორი ტიპის დაყოფა. ერთი მათგანი (ნახ. 92-95), წარმოიქმნება რამდენიმე ჰორიზონტალური ხაზით, რომლებიც გადაიკვეთება დიაგონალებით დექსტრიდან და სენესტრიდან, მეორე კი – როდესაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები გადაიკვეთება დიაგონალებით დექსტრის ან სენესტრის მხრიდან (ნახ. 96).


ჰერალდიური ფიგურა, ამ ტერმინის ზუსტი მნიშვნელობით, წარმოადგენს ფარზე უფრო მცირე ზომის განსაზღვრული სივრცის ერთი ფერის ველს, რომელიც შემოსაზღვრულია ფარის დამყოფი ხაზებით. ამავდროულად, ასეთი ფიგურა ყოველთვის განსხვავდება ფარის ველისაგან, აქვს განსხვავებული შეფერილობა (ფერი ან ლითონი) და წარმოადგენს მისგან განსხვავებულ ელემენტს.

ასეთი ჰერალდიური ფიგურები, როდესაც ისინი მარტივი დამყოფი ხაზებითაა შემოსაზღვრული, დებულობენ დამყოფი ხაზების დასახელებას, მაგ.: გერტიალური ხაზების შემთხვევაში მას სვეტი ეწოდება (ნახ. 99-104, 109-116), ჰორიზონტალური ხაზების შემთხვევაში – სარტყელი (ნახ. 117-135), დექსტრიდან ჩამოკვეთილი ხაზების შემთხვევაში – სარტყელი დექსტრიდან (ნახ. 136-150) და სენესტრიდან ჩამოკვეთილი ხაზების შემთხვევაში – სარტყელი სენესტრიდან (ნახ. 151-161).

ფარის დამყოფი სხვადასხვა მარტივი ხაზების შეერთებით მიიღება ე.წ. ნივნივისებური, ჯვრისებური, ანდრიას ჯვრისებური და ჩანგლისებური დაყოფა. ყველა შემოაღნიშნული დაყოფით მიიღება ფიგურები, რომელთაც პირობითად პირველი თანრიგის ფიგურები (*pièces de premier ordre*) ეწოდება; ამ ტიპის ფიგურებს განეკუთვნება სვეტის მსგავსი ფიგურა, რომელიც ცალი მხარით ფარის გვერდითა კიდეს ებჯინება (ნახ. 162, 163), სარტყლის მსგავსი ფიგურა, რომელიც ცალი მხარით ფარის ზედა ან ქვედა კიდეს ებჯინება (პირველ შემთხვევაში მას შესაძლოა სათაო სარტყელი ვუწოდოთ, ხოლო მეორე შემთხვევაში – საფუძველი) და ბოლოს, ამ ფიგურებიდან აღსანიშნავია ე.წ. აზშია, როდესაც მისი ფორმირება სდება ფარის კიდეებზე მიბჯენილი ორი სვეტითა და ორი სარტყელით.

მეორე თანრიგის ჰერალდიურ ფიგურებს (*pièces de second ordre*) მიაკუთვნებენ შედარებით მცირე ზომის ფიგურებს, როგორცაა: პირამიდა, წაწვეტება, თავისუფალი ოთხუთხედი სოლი, ჩამოკვეთილი თავი და ჩამოკვეთილი საფუძველი.

პირველი თანრიგის ჰერალდიური ფიგურების სიგანე ფარის 2/7-ს ტოლია. ჰერალდიურ ფიგურათა შემომსაზღვრელი ხაზები შესაძლოა დაუბილული, წაწვეტებული და ტყეხილი და სხვა ფორმისა იყოს, ამისდა მიუხედავად, მათი სიგანე ფარის სიგანის 2/7-ს არ უნდა აჭარბებდეს.



ჰერალდიური შეფერილობა

ჰერალდიურად ფერებს ტინქტურა, ანუ შეფერილობა ეწოდება. იგი ლითონებად და მინანქრებად იყოფა, ვინაიდან ფარის მოსახატად სწორედ ამ მასალებს იყენებდნენ.

თავდაპირველად ჰერალდიაში მხოლოდ ოთხი ფერი გამოიყენებოდა: წითელი, ლურჯი, თეთრი და შავი. ამ ფერებს ე.წ. ჰერალდიურ ფერებად მიიჩნევენ, როგორც საფრანგეთის მეფე კარლოს V-ის დროინდელი ტრაქტატის „*L'arbre des batailles*“ ავტორი, ასევე XIV ს. სხვა ჰერალდიკოსებიც. მოგვიანებით ამ ფერებს შედგენილი ფერები, კერძოდ, მწვანე, ყვითელი (ოქრო) და მეწამული, ხოლო ინგლისურ გერბებში ამათ გარდა ნარინჯისფერი (*tanné*) დაემატა.

გერბების ძვირფასი ლითონებით მორთვის ჩვეულებამ გამოიწვია აღნიშნულ ფერებზე, ორი ლითონის, ოქროსა და ვერცხლის დამატება, რომლებმაც ყვითელი და თეთრი შეცვალეს. გერბის ამგვარი შეფერილობა თანდათან საყოველთაოდ მიღებულ იქნა, თუმცა ფრანგულ და ესპანურ ჰერალდიაში, ლითონებსა და ფერებს საერთო დასახელებით – მინანქრით (*les émaux*) მოიხსენიებენ.

უძველეს ჰერალდიაში ფართო შეფერილობას სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა, რასაც უფრო მოგვიანებით მოღვაწე ჰერალდიკოსები არ იზიარებდნენ, თუმცა თვლიდნენ, რომ ხანდახან რაინდის ტანსაცმლისა და ფარის შეფერილობა გარკვეული სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო.

როგორც ცნობილია, ლითონებს, ძვირფას ქვებსა და პლანეტებს შორის უხილავ კავშირს აღიარებდნენ და, აქედან გამომდინარე, მათ შესაბამის შეფერილობას განსაუთრებელი ტერმინებით აღნიშნავდნენ.

იმისდა მიხედვით თუ გერბის მფლობელი დიდგვაროვანი საზოგადოების რომელ ფენას მიეკუთვნება, ინგლისში ჰერალდიკურ ლითონებსა და ტინქტურას დღემდე განსხვავებულად განმარტავენ. ასე მაგ. პრინცთა გერბებში ოქროსფერს მზე (*soleil*) ეწოდება, პერთა გერბებში – ტოპაზი (*topaze*), სხვა დანარჩენთა გერბებში – ოქრო (*d'or*); შესაბამისად, ვერცხლისფერს ხან მოვარედ (*Lune*), ხან მარგალიტად (*la Perle*) და ხან ვერცხლად (*argent*) მოიხსენიებენ; წითელ ფერს – მარსად (*Mars*), ძოწად (*le Rubis*), წითლად (*gueules*); ლურჯს – იუპიტერად (*Jupiter*), საფირონად (*le Saphir*), ლურჯად (*azur*); მეწამულს – მერკურად (*Mercur*), ამეთვისტოდ (*l'Améthyste*), იასამნისფერად (*pourpre*); მწვანეს – ვენერად (*Vénus*), ზუზუმუსტად (*Émeraude*), მწვანედ (*sinople*); შავს – სატურნად (*Saturne*), ბრილიანტად (*Diamant*), შავად (*Sable*).

არსებობდა ჰერალდიკურ ფერთა სიმბოლური განმარტება, რომლის თანხმადაც ისინი გარკვეულ ზნეობრივ ხასიათთან ასოცირდებოდნენ. კოლომბიერის, ვარენის, ანსელმის და სხვა ავტორთა უძველეს ნაშრომებში ფერთა ასეთ განმარტებას მთელი თავები ეძღვნება. სუპარისია აღნიშნოს ჰერალდიკოს ანსელმის (*Le P. Anselme "Palais d'honneur", Paris, 1686*) განმარტება. ოქროსფერი აღნიშნავს ქრისტიანული ზნეობრიობიდან – ზწმენას, სამართლიანობას, მიმტევებლობას, თავმდაბლობას. საერო თვისებებიდან კი – ძლევამოსილებას, წარჩინებულობას, ერთგულებას, სიმდიდრეს. ვერცხლისფერი, ზნეობრიობიდან – სიწმინდეს, იმედს, სიმართლესა და უცოდველობას; საერო თვისებებიდან – კეთილშობილებასა და გულღიაობას. წითელი ფერი შეესაბამება – სიყვარულს, სიმამაცესა და დიდსულოვნებას; შავი – სიფრთხილეს, სიბრძნესა და გამოცდებისადმი მუდმივ მზადყოფნას; ლურჯი – უბიწობას, სიმართლეს, ერთგულებასა და უმწიველობას; მწვანე – იმედს, ბარაქას, თავისუფლებასა და სიხარულს; მეწამული – ღვთისმოსაობას, ზომიერებასა და ხელგამლილობას. დაბოლოს ყარყუმი, ჰერალდიკური ბეწვეულის სახით აღნიშნავს სიწმინდეს.

ამას გარდა, გერბებზე დატანილი ფერები განსაუთრებულ გადატანით მნიშვნელობას იძენდნენ, ასე მაგ. მეწამული გამოსახავდა ეკლესიისათვის ან ხელმწიფისათვის დაღვრილ სისხლს, ლაყვარლი – ცას, მწვანე – ბალახს, შავი – სიბნელეს (ღარღს).

ფრანგულ ჰერალდიკაში, რომელმაც გავლენა იქონია რუსულ და შემდგომ ქართულ ჰერალდიკაზე, გამოიყენება ორი ლითონი (ოქრო და ვერცხლი) და სულ ხუთი ფერი, ანუ მინანქარი (*d'émaux*), კერძოდ: 1) წითელი, ანუ მეწამული (*de gueules*), გამოსახება სურვიისა და კინოვარის ნარევით, 2) ლურჯი, ანუ ლაყვარდოვანი (*d'azur*) – კობალტისა და ულტრამარინის ნარევით, 3) მწვანე, ანუ ზუზუმუსტოვანი (*de sinople*) – ქრომისა და ბალახისფერი მწვანის ნარევით, 4) შავი, ანუ სევადი (*de sable*) – შავი ფერით, 5) პორფირი, ანუ ძოწეული (*de pourpre*) – იისფერი ან მოიისფრო-მოშინდისფრო. ამ უკანასკნელს ხმელთაშუა ზღვის მოლუსკების და ნიჟარებისაგან ამზადებდნენ, რაც ორ განსხვავებულ – მოიისფრო და მოყავისფრო შეფერილობას განაპირობებდა. ქართულ ჰერალდიკაში ორივე შეფერილობა გამოიყენება.

აღნიშნული ფერებით შესაძლოა ნებისმიერი გერბის წარმოდგენა. გერბების ქვაში, ხეში, ლითონში, გზავიურითა და ლითოგრაფიით გამოსახვამ განაპირობა ტინქტურათა ერთმანეთისაგან განსხვავების პირობითი გრაფიული სისტემის (დამტრინჯვის) შექმნის აუცილებლობა.

პირველად, 1623 წ. ბრიუსელში იჯობ ფრანკარტმა გამოსცა ერცჰერცოგ ალბერტ ავსტრიელის სპილენძზე გზავიურებულ გერბიანი სამარხის აღწერა, რომელსაც მან დაურთო დამტრინჯვის განმარტების ცხრილი. იგი ოქროს ჰორიზონტალური შტრინჯების რიგით აღნიშნავდა, ვერცხლს – ყოველგვარი შტრინჯების გრემე, მეწამულს – ვერტიკალურით, მწვანეს – დიაგონალურით მარცხნიდან, შავს – ურთიერთგადაკვეთი დიაგონალურით და ლაყვარდოვანს – წერტილებით. გერბთა შეფერილობის გრაფიული გამოსახვის ამ მეთოდმა საყოველთაო აღიარება და გავრცელება ჰპოვა, თუმცა გარკვეული კორექტირებაც განიცადა. ასე მაგ. დამტრინჯვის თავიანთ ვარნიანტებს გვთავაზობენ – ესპანელი ჰერალდიკოსი კარამუელ ლობოვიცი, ნიდერლანდელი თომა ფონ ზუკი, გერმანელი გელენიუსი და ბოლოს იენ-უიტი ბერი პეტრა სანქტა და ფრანგი ჰერალდიკოსი ვულსონ დე ლა კოლომბიერი (ნახ. 1).

საბოლოოდ, გერბთა შეფერილობის აღნიშვნის სისტემა შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: წითელი (მეწამული) გზაფუყულად გამოისახება ვერტიკალური შტრიხების რიგით; ლაჟვარღოვანი – ჰორიზონტალურით; მწვანე – ჰერალდიკური მარჯვენა მხრიდან (დექსტრიდან) მარჯვენა მხარისაკენ (სენესტრისაკენ) გატარებული დიაგონალური შტრიხებით; შავი – ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაკვეთი შტრიხებით; ოქრო – წერტილებით მოფენილი ველით; ვერცხლი – ყოველგვარი შტრიხებისა და წერტილების ვარჯე (ანუ თეთრი ფერით), პორფირი ანუ ძოწეული – ჰერალდიკური მარჯვენა მხრიდან (სენესტრიდან) მარჯვენა მხარისაკენ (დექსტრისაკენ) გატარებული დიაგონალური შტრიხებით. ნატურალური ფერი გზაფუყულად არანაირად არ გამოისახება. მას, ვერცხლისაგან განსხვავების მიზნით, ოდნავი შეფერილობით აღნიშნავენ.

ოქროსფერი <i>or</i>	ვერცხლისფერი <i>argent</i>	წითელი, მეწამული <i>gules</i>	ლურჯი, ლაჟვარღოვანი <i>azur</i>	შავი, სევადი <i>sable</i>	მწვანე, ზურმუხტოვანი <i>sinople</i>	პორფირი, ძოწეული <i>pourpre</i>
იაკობ ფრანკარტის დაშტრიხვა (1623წ.)						
						არ აღინიშნება
კარამუელ ლობკოვიცის დაშტრიხვა						
						არ აღინიშნება
თომა ფონ რუკის დაშტრიხვა						
						არ აღინიშნება
გელენიუსის დაშტრიხვა (1645წ.)						
						არ აღინიშნება
პეტრა სანქტასა (1638წ.) და ვულსონ დე ლა კოლომბიერის (1639წ.) დაშტრიხვა						

ნახ. 1

გერმანულ ჰერალდიკაში ძირითად ტინქტურად მხოლოდ ოთხი ფერი ითვლება, ესენია: მეწამული, ლაჟვარღოვანი, შავი და მწვანე, გარდა ამისა, მოგვიანებით სძარებაში შემოდის ისეთი ფერები, როგორცაა: რუხი, რუხი-წითელი, ფერფლისფერი გამოისახება ურთიერთგადამკვეთი ვერტიკალური და ჰორიზონტალური წყვეტილი ხაზებით; მიწისფერი – ვერტიკალური და ჰორიზონტალური შტრიხების რიგით, რომლებიც გადაკვეთილია დახრილი ხაზებით სენესტრის მხრიდან; ყავისფერი – ვერტიკალური და დექსტრის მხრიდან დახრილი ხაზებით; წყლისფერი ანუ ფოლადისფერი – ჰორიზონტალური წყვეტილი ხაზებით; დაბლოს, ინგლისური ჰერალდიკიდან ნასესხები ნარინჯისფერი – ვერტიკალური წერტილ-წყვეტილი დაშტრიხვით. ყველა შემთავალი შტრიხითაა გარდა გვსვდება ნატურალური (*couleur naturele*) ფერი, რომელიც საგერბე ფიგურათა დასაფერად გამოიყენება და გამოისახება ზიგზაგისებური წყვეტილი ხაზებით.

შუა საუკუნეებში განსაკუთრებით ფასობდა რაინდთა სამოსის ძვირფასი ბეწვეულით მოზოვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1190 წ. მეფეები ფილიპ II და რიჩარდ III იძულებულნი გახდნენ აეკრძალათ ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მათ თანმსლებ რაინდთა ჩაცმულობაში ძვირფასი ბეწვეულის გამოყენება.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბეწვეულის გამოჩენამ გრძელვადიანი გავლენა ჰერალდიკაზე იქონია. ფარის მოსართავად იყენებდნენ ქრცვინის, ანუ ყარყუმის (*hermine*) და ციყვის (*vair*) ბეწვეულს.

ყარყუმის ბეწვი ყოველთვის ძალაუფლების ნიშანი იყო, მას ფარის მოზოვის გარდა ხელმწიფეთა, ჰერცოგთა, თავადთა და სხვა გვლენიან პირთა მანტიის საჩუქრულადც იყენებდნენ.

ჰერალდიკურად ყარყუმის ბეწვი გამოისახება სამ ან ოთხ რიგად განლაგებული ჯვარის მსგავსი ელემენტებით, რომლებიც ქვედა მხარეს სამი წაწვეტებული ფორმის კუდიტ ბოლოვდება. ყარყუმის ბეწვის შეფერილობა შავია ვერცხლის ველზე (ნახ. 2). იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ელემენტი ვერცხლია შავ ველზე მას შებრუნებული ყარყუმის ბეწვი (*contre-hermine*) ეწოდება.




ნახ.2



ნახ.3

ზაც შეეხება ჰერალდიკაში გამოყენებულ ციყვის ბეწვს, იგი თეთრ და მოცისფრო-რუს ბეწვს წარმოადგენდა, რომლებიც ფარზე მონაცვლეობით იყო განლაგებული და სწორედ აქედანაა მისი ფრანგული დასახელება *vair*, ეს უკანასკნელი კი ლათინური *varius*-დან წარმოიქმნა და განსხვავებულს (მონაცვლეს) ნიშნავს. ჰერალდიკურად იგი ე.წ. ზეინის ჩაფხუტის სახით გამოისახება (ნახ. 3), რომლის დასახელებაც XIV ს. გავრცელებული საბრძოლო ზეინის ქუდებთან მსგავსებამ განაპირობა.



არაჰერალდიკური ფიგურები



რაჰერალდიკურ, ანუ ჩვეულებრივ ფიგურებად მიიჩნევა ბუნებაში არსებული საგნები, ადამიანის შრომით შექმნილი ნივთები, დაბოლოს, ფანტასტიკური არსებებიც.

ცალკეული საგანი (ან საგნის ნაწილი) გამოსახული განსხვავებული მდგომარეობითა და ფერით, მიმართულებითა და შეერთებებით ქმნიან მრავალ ამა თუ იმ გეგმს.

განხილვის გასაადვილებლად არაჰერალდიკურ (ჩვეულებრივ) ფიგურებს ყოფენ სამ ჯგუფად:

1. ბუნებრივი (*les figures naturelles*) – რომლებიც გამოხატავენ ცხოველთა და მცენარეული სამყაროს არსებებსა თუ ნივთებს და ციურ სხეულებს.
2. გამოგონილი (*les figures chimériques*) – სხვადასხვა ურჩხულები და ფანტასტიკური ცხოველები.
3. სელოვნური (*les figures artificielles*) – სელოვნების, მანუფაქტურისა და სელოსნობის საგნები.

ყველა ეს ფიგურა (განსაკუთრებით ბუნებრივი) მათი ბუნებრივი სახისა და ხასიათისაგან განსხვავებული, ე.წ. ჰერალდიკური წესების მიხედვით – ორნამენტულად გამოისახება, ზაც მათ განსაკუთრებულ იერსახეს განაპირობებს და ჰერალდიკურ სტილს წარმოადგენს. რთულია ამ სტილის აღწერა ან მისი მოქცევა რაიმე წესებში. იგი, შესაძლოა, გამომუშავდეს ჰერალდიკის საუკეთესო ეპოქისათვის დამახასიათებელი მრავალ საგერბე გამოსახულებათა დათვალიერებისა და შესწავლის საფუძველზე. ეს ჰერალდიკური სტილი, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და შეესაბამება იმ ეპოქის სელოვნების, კერძოდ სურთომომძღვრების სტილს და ამ უკანასკნელის ანაბეჭდის მატარებელია. ამიტომ, ჰერალდიკის თითოეული ეპოქა განსხვავდება საგერბე ფიგურათა სხვადასხვა მორთულობითა და თავისებურებებით. ასე მაგ. გერმანიაში XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში ჭარბობს მეტწილად უხეში, მომრგვალებული ფორმები, ხოლო XIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIV საუკუნეში (არტიტექტურაში გოთიკური სტილის გაფორმების ეპოქაში) მას ენაცვლება ვიწრო, წაწვეტილებული, დაუთხრელი ფორმები, რომლებიც XV საუკუნეში უფრო დვლარჭნილი სტილის სახეს ღებულობს. დროთა განმავლობაში ამას ემატება აგრეთვე გამოსახულების ჰერალდიკური სტილის დაახლოება მის ბუნებრივ

იერსასესთან. გერბებში უფრო და უფრო იყარება ჩვეულებრივი ფიგურების თავისებური ჰერალდიური სტილი. დღეისათვის სწორია გერბებზე ფიგურების ბუნებრივი სახით გამოსახვის შემთხვევები, რაც მათ სრულებით უკარგავს საგერბე ფიგურისათვის დამახასიათებელ იერსახეს. ყველაზე ნატიფი და სწორი ჰერალდიურ ფიგურათა ფორმები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ, მათი შესწავლის თვალსაზრისით განეკუთვნება XIV, XV სს. და XVI ს. დასაწყისს.

დასავლეთში გერბი ყოველთვის ატარებს რაინდის განმასხვავებელი ნიშნის მნიშვნელობას და თავისი აზრით, შუასაუკუნეების ეპოქას განეკუთვნება, ამიტომ უპრიანია მისი ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი სახით გამოსახვა. ამასთანავე გერბის შემადგენელი ფარისა და მუნარადის ფორმა დაცული უნდა იყოს მაქსიმალური სიმრესტით. აქედან ნათლად ჩანს, რომ შუასაუკუნეების რაინდის მუნარადს სახსებით არ შეესაბამება ფიგურების გამოსახვის თანამედროვე იერი. დასავლეთში ასეთი არქაიზმი, როგორც ცალკეული გვარების, ასევე მთელი ქვეყნებისა თუ ქალაქების გერბების გამოსახვაში, მოწმობს, რომ ეს გერბები მათ ერგოთ უძველესი წინაპრებისაგან და წარმოადგენენ ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს.

გერბების გამოსახვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ არ მოხდეს სხვადასხვა სტილის აღრევა, მაგ. XIV საუკუნის სამკუთხა ფარზე უნდა გამოისახოს იმავე პერიოდის ჰერალდიური ფიგურა და არა უფრო გვიანი ხანისა.

აზსებობს ჩვეულებრივ ფიგურათა გამოსახვის შემდეგი საერთო წესები:

1. ფიგურა ზომით უნდა შეესაბამებოდეს ფარის ველს, შეეფერებოდეს და შეძლებისდაგვარად ავსებდეს მას.

2. ყოველი ფიგურა, როგორც სრულად, ასევე მისი ცალკეული ნაწილის სახით შესაძლოა წარმოადგენდეს საგერბე გამოსახულებას და უნდა შეესაბამებოდეს სხვა საგერბე გამოსახულებებს.

განვიხილოთ პირველი ტიპის, ბუნებიდან ნასესხები ე.წ. ჩვეულებრივი ფიგურები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ადამიანის გამომსახველი ფიგურები. ჰერალდიური ხელოვნება ადამიანის ფიგურებს, როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს, სხვადასხვა შესაძლო მდგომარეობაში გამოსახავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რაინდები, მეფეები, ბერები, მავრები, მასხარები, ქალწულები, ველურები (ეს უკანასკნელი გამოსახებიან თმებით, შიშველნი, გრძელი კვერთხითა და მუხის ფოთლებით დაფარული სხეულის ზოგიერთი ნაწილით); შემდგომ – სხვადასხვა წმინდანები; უფრო მოგვიანებით – თურქები და წარმართული ღმერთები (XVI საუკუნიდან). ეს ფიგურები ჩვეულებრივად წინ მომზინალი გამოისახება.

სწორად გვხვდება ადამიანთა ფიგურების ცალკეული ნაწილები, მაგ. ნახევარფიგურა, ანუ მხოლოდ ტანი, თავი, ხელები, ან ხელის მტევნები, აგრეთვე ფეხები. თავი გამოისახება სხვადასხვაგვარი გვირგვინით, ქუდიო და სხვ. ხელი იწოდება მარჯვენად ან მარცხენად იმის მიხედვით, თუ ფარის რომელი მხრიდანაა ამოზიდული (იგულისხმება ჰერალდიური მხარეები). აღზინდელ ჰერალდიაში სწორად გვხვდება სამოსიანი ხელი, რომელსაც ბეჭედი უკავია. განსაკუთრებით გავრცელებულია შეჯავშნილი ხელი, რომელსაც გაშიშვლებული ხმალი ან სხვა საბრძოლო იარაღი უჭირა. გვხვდება ორი ხელი, რომელთაც ბეჭედი უკავიათ. გერმანულ ჰერალდიაში მარჯვენა ჰქვია მალა აღმართულ ხელს, ფრანგულ ჰერალდიაში მარჯვენა ხელს ეწოდება *dextrochère*, მარცხენას – *senestrochère*, საჩვენებელი და შუა თითებით გაშვებულ ხელს დამფიცებელი – იმავე მდგომარეობაში, ღრუბლებიდან ამოზიდულს და შარავანდელით მოსილს – დამლოცველი მარჯვენა, ერთმანეთში ჩადებულ ორ ხელს – ერთგულების ხელები (*foi*).

ფეხები გამოისახება ხან შიშველი და ხანაც ფეხსაცმლით ან ჯავშნით შემოსილი. ასევე გვხვდება სამი ფეხის გამოსახულება, რომლებიც ფარის ველზე განთავსებული სამკუთხედის სახით, ამავედროულად, ისინი თეძოებით ერთმანეთს ეხება. ამ ემბლემას ლათინურად (ასევე იტალიურ ჰერალდიაში) *triquetra* ქვია და სიცილიის უძველესი გერბის შემადგენელი ფიგურაა.

იშვიათად, მაგრამ ასევე გვხვდება ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილები – ძვლები, თავები და სხვ. (მაგ. ორი გადაჯვარედინებული თეძოს ძვალი იტალიურ საგვარეულოს *Gattinari* გერბში), უფრო სწორად გული, ზოგჯერ აალებული, ისრით განკმირული ან ფრთებით შემკული, ასევე თვალები (ღვთის თვალი). ეს უკანასკნელი ყოველთვის პირდაპირ იყურება და სამკუთხედშია მოთავსებული, გვხვდება როგორც ერთი, ასევე დიდი რაოდენობითაც, როგორც ფარის ველის ან ფიგურის შემავსებელი ფონის სახით.

გვხვდება სხვადასხვა ცხოველები, ფრინველები, ქვეწარმავლები და მწერები, ერთი ან რამდენიმე, ცალკეული მოკვეთილი ნაწილების სახით: თავის, ფეხის, თათის და ა.შ. ეს ნაწილები ან მოგლეჯილია (*arraché*), ან მოკვეთილი (*coupé*). გარდა ამისა, ცხოველები ზოგჯერ გამოისახება ენის, ნისყარტის, კლანჭების, ბზჭყალების, კბილების, რქების, ჩლიქების გარეშე. ასეთ არასრულ ფიგურებს უიარაღო ანუ აღჭურვილი (*morné*), ხოლო შემოადინებული შემადგენელი ნაწილებიან ფიგურებს – შეიარაღებული ანუ აღჭურვილი (*armées*) ფიგურები ეწოდება და სხეულისაგან განსხვავებული შეფერილობით გამოისახება. ფრანგი ჰერალდიკოსები ამ შემთხვევაში განსაუთრებულ ტერმინებს იყენებენ: *armé* – ბზჭყალებიანი (იშვიათად – *onglé*); *lampassé* (იშვიათად – *langué*) ენაანი; *becqué* – ნისყარტიანი; *denté* – კბილებიანი; *crété* – ბიბილოანი (მაგ. მამლის) და ა.შ. თუ ცხოველის ფიგურა უკუდოა მას ეწოდება *diffamé* (პირდაპირი მნიშვნელობით შერცხვენილი, სახელგატყენილი). ცხოველის თავის წინა ნაწილს ეწოდება ნილაბი, ხოლო მის ზედა ნაწილს შუბლი. ხშირად ცხოველები გამოისახება გვირგვინით თავზე (*couronné*), ასევე გვირგვინით კისერზე ან საყელურთან (*colleté*).

შინაური ცხოველები გამოისახება კისერზე შებმული, ფიგურის შეფერილობისაგან განსხვავებული ზანზალაუთ (ეჟენით) და ფრანგულად - *clarinés* ეწოდება.

საყურადღებოა ის მნიშვნელოვანი ფიგურები, რომლებიც გერბებზე უფრო ხშირად გვხვდება და თავისი ბუნებრივი იერსახისაგან განსხვავებით, თავისებურ ჰერალდიურ ტიპს ქმნიან. ამ ფიგურათა შეფერილობაში მრავალფეროვნება შეინიშნება. მაგამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადად მათი ბუნებრივი შეფერილობის შესატყვისი ჰერალდიური ფერი გამოიყენება. რაც შეეხება ამ ცხოველების მდგომარეობას, ოთხფეხა ცხოველები შესაძლოა იყვნენ ატოტებული ანუ ყალყზე დამდგარი (*rampant, saillant*), წინა თათებაწეული, ისე რომ ოთხივე თათი ჩანდეს; მოსიარულე (*passant*) – აწეული წინა ერთი თათით; მორბენალი (*caurant*) – ჩვეულებრივად, ერთნაირად გაჭიმული თათებით; მოხტუნავე (*sautant*); მცოცავი (*gravissant*); მდგომარე (*pose*), ამ უკანასკნელის დროს ცხოველის თათები არაა აწეული და ბოლოს, მჯდომარე (*assis*), როცა ცხოველი ზის უკანა თათებზე ან მწოლიარე (*couché*). ყოველთვის იგულისხმება, რომ ცხოველები (ჰერალდიურ) მარჯვენა მხარესაა მობრუნებული პროფილში, თუ განსაუთრებით არაა აღნიშნული მათი განსხვავებული მდგომარეობა. ფიგურის ამგვარი ნორმალური მდგომარეობა გერბის ბლანზონირებისას (აღწერისას) განსაუთრებით არ აღინიშნება, სავსებით სუამარისა გერბის შემდგომი სახით ბლანზონირება: მაგ. ოქროს ველზე შავი ლომი. ფრინველთა გამოსახვის ყველაზე გავრცელებული მდგომარეობაა გაშლილი ფრთებით, ასაფრენად მზადმყოფი ან მჯდომარე.

ჰერალდიური ფიგურებიდან ყველაზე ხშირად ლომი და არწივი გვხვდება.

ლომის ნორმალური მდგომარეობაა – ატოტებული (უკანა თათებზე მდგარი) თავდასხმისათვის მზადმყოფი (ნახ. 1), ანუ მძვინვარე (*furieux*). უძველესი დროიდან ლომის თავი გამოისახებოდა წაწვეტილებული ფორმით, მოგვიანებით იგი უფრო მომრგვალებულ და მის ბუნებრივ იერსახესთან მიახლოებულ ფორმას იღებს: მრისხანედ მომწირალი თვალები, ხახა – სანახევროდ ან მთლიანად დაღებულ, დაკლანხილი ენა მნიშვნელოვნადაა გამოყოფილი, ზემოთკენ აბრუნებული წვრილი ზოლის სახით, მოჩანს კბილები. ტანი წაგრძელებული, გამხდარი, განსაუთრებით დაწვრილებულია ქვედა ნაწილში. XIV ს. ლომი უფრო სწორ, ფარის ღერძის შესაბამის მდგომარეობაში გვხვდება, მოგვიანებით, XV საუკუნეში იგი უფრო დაგრესილ ფორმას იღებს. თავდაპირველად ლომი უფრო ბანჯგვლიანია, მოგვიანებით კი გამოისახება წელამდე ჩამოშლილი, გრძელი, დახტუჭებული ფაფართა და კლანჭებიანი, ბანჯგვლიანი თათებით. კუდი სხეულის მიმართულებითაა შურტისაყენ ზემოთ აბრუნული და ბოლოში მოგზენილია (*queue nouée*).

XV საუკუნიდან გვხვდება გაორებული კუდი (*queue double*) და ორმაგი კუდი (*queue fourchée*), ამასთანავე, ორივე ნაწილი დაგრესილია თუისებურად და ბოლოში ფუნჯით გვირგვინდება. ლომის ჰერალდიურ ფერად მიჩნეულია ოქრო და მეწამული, იშვიათად – შავი, და უფრო იშვიათად – ლაყვარდოვანი. მისი აღჭურვილობა (ენა, ბზჭყალები) ღებულობს მკვეთრად განსხვავებულ შეფერილობას. კერძოდ, თუ ლომი ლითონისფერია, მაშინ მისი აღჭურვილობა მეწამული ან ლაყვარდოვანია და პირიქით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა არსებობდეს განსხვავებული შეფერილობის ლომი, მაგ. ჰესენის გერბზე ლომი ვერცხლის და მეწამული ზოლებითაა გამოსახული, ხოლო საყენ-ალტენბურგის გერბზე გამოსახული ლომის სხეულის ზედა ნაწილი ოქროსია, ხოლო ქვედა – ვერცხლისა.

ლეოპარდი ანუ ლეოპარდისებრი ლომი (*Lion léopardé*) წარმოდგენილია როგორც ოთხ თათზე მდგარი, თუშცა შესაძლოა მას ერთი წინა თათი აწეული ჰქონდეს, ხოლო უკანა თათი ოდნავ წინ გამოწეული, თავი ყოველთვის ანფასში გამოისახება, კუდი ებჯინება შურვს.

ატოტებულ ლეოპარდს (სახით ანფასში), ზოგიერთი ჰერალდიკოსი ლომისებრ ლეოპარდსაც უწოდებს.

ჰერალდიკურ არწივს ცოტაოდენი აქვს საერთო ბუნებაში არსებულ არწივთან. იგი ორნამენტული სტილით გამოისახება – ასაფრენად და თავდასასხმელად მზადმყოფი, ნახევრად გაშლილი ფრთებით, პროფილში, როგორც წესი, მარჯვნივ მოტრიალებული თავით, მტაცებლური მხერით, გაღებული პირითა და გამოყოფილი ენით. ფეხები უმეტესად უფრო დიდი ზომისაა, მოკლეხეობიანი კლანჭებით (ნახ. 2).

ირემი (*cerf*) – მორბენალი, მოხტუნავე ან წყნარად მავალი, ყოველთვის გამოისახება პროფილში, ხანდახან დახრილი თავით, წინ მომზირალი, იშვიათად – მწოლიარე (ნახ. 3).

ტანი (*sanglier*) – ყოველთვის პროფილში თავდასხმისათვის მზადმყოფი, დაშვებული თავით, ეშვებითა და ჯაგრაყრილი. ჩვეულებრივად მისი შეფერვა შავია. ამასთანავე, ჯაგრა, ეშვები და ჩლიქები განსხვავებული ფერისაა (ნახ. 4).

დათვი (*ours*) – გამოისახება პროფილში, მოსიარულე, ატოტებული, ხანდახან მჯდომარე, ჩვეულებრივ შავი ფერის, აღჭურვილობა ოქროს ან მეწამული ფერისა.

გარეული თხა (*bouc*) გამოისახება მორბენალი, ზოგჯერ მოსიარულე, დიდი მასიური რქებით (ნახ. 5).

მელა (*renard*) და მგელი (*loup*) – პირველი, უმეტესად ატოტებული, დაშვებული კუდით და დახურული პირით, ძირითადად მეწამული ფერისაა, მეორე კი – ლომის მსგავსად თავდასხმისათვის მზადმყოფი, ღია პირით და ძალიან აწეული კუდი. ფერი – შავი, მეწამული ან ვერცხლი. ანალოგიურად გამოისახება თახვი (*castor*), რომელიც გამსხვილებული კუდითა და თავისებური მოხაზულობით აისახება. თახვის კუდი ჭადრავული შეფერვლილობით ხასიათდება და ზოგჯერ დამოუკიდებლადაც გვხვდება.

ძაღვი (*chien*) – მეტწილად შავი ან ვერცხლია, რგოლიანი საყელურით. გერმანულ ჰერალდიკაში გვხვდება სამი სახით: შინაური – ყურბეჩამოყრილი; მწევარი – წვრილი ტანითა და დიდი დაცქვეტილი, ოდნავ უკან გადაწეული ყურებით (ნახ. 6); სვადი ძაღვი – ყურმოჭრილი, მოსიარულე, მოხტუნავე, მორბენალი ან მჯდომარე – ამასთანავე ზოგჯერ მყეფარეც, ჩვეულებრივად მეწამული ფერის. სშირად გამოისახება მხოლოდ ძაღლის თავი.

ცხენი (*cheval*) – მორბენალი, აშლილი ფაფარით, პროფილში (ნახ. 7). როცა შეუკანმაგია, იწოდება თავისუფლად ან მოთამაშედ. იშვიათად გვხვდება აღვირითა და უნაგირით ატოტებული (ყალყნე დამდგარი), ამ შემთხვევაში ფრანგული ჰერალდიკის მიხედვით გამოიყენება შემდეგი ტერმინები – *acculé, cabré, effaré, effrayé*.

სარი (*taureau*), აგრეთვე გარეული სარი ან კამეჩი და შუბზი – გამოისახება პროფილში. პირველი – ნახევარი მთვარის მსგავსი რქებით (ნახ. 8), ხოლო მეორე – ორჯერ გადაგრეხილი რქებით. ორივე შემთხვევაში რქები დაშვებულია, თითქოს სარქენადაა მზად. გვხვდება მოსიარულე, მდგომარე ან ატოტებული. სშირად გამოისახება ცალკე სარის თავი გამოყოფილი ენითა და ცხვირში გაყრილი რგოლით. სარის რქები, როგორც გერბის მუწარადის შესამკობი, გერმანულ ჰერალდიკაში სამონადირეო საყვირებად მიიჩნევა, ფრანგულში – სპილოს სორთუმებადაც კი.

სპილო (*éléphant*) – როგორც წესი ვერცხლისფერია, გაშლილი მარათსებრი ყურებით, მომრგვალებული ან დაბლა დაშვებული სორთუმით, მდგომარე ან მოსიარულე, ეშვები ძირითადად განსხვავებული შეფერვლილობისაა (ნახ. 9). დანიურ გერბებში ატოტებული სპილო სშირად ფარისმტვირთველადაც გვევლინება.

ყანჩა (*grue*), წგრო (*cigogne*) და ყარყატი (*héron*) – ყანჩა გამოისახება ცალ ფეხზე მდგომი, მეორე ფეხში კი ქვა უჭირავს (ნახ. 10), აღიქმება როგორც სიფხინლის სიმბოლო (*vigilance*),



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7

წერო წაგბელებული კისრით, ყარყატი – ქოჩრით. სხვაგვარიც ერთმანეთს გვანან, თუ ისინი გამოისახება გვირგვინით, რომელიც მოთავსებულია კისერზე.

სირაქლემა (*autruche*) – ჩვეულებრივად ნისკარტში ნალით.

მამალი (*coq*) – ბრძოლისათვის მზადყოფილი, მკვეთრად გამოხატული ბიბილოთი და აწეული ფეხით, კუდი – მცირე ზაფხულის ძლიერ მოხრილი ბუმბულით (ნახ. 11).

ფარშეგანგი (*paon*) – გაშლილი კუდით.

პელეანი – ჩვეულებრივ ვერცხლისაა, ბუდეზე მჯდარი, რომელიც ნისკარტით მკერდს იჯიჯგინს, რათა თავისი სამი ბარტყი დააპუროს. ჭრილობიდან გამოხადენი სისხლი ფრანგულ ჰერალდიკაში მოიხსენიება ტერმინით *piété*.

გედი – ჩვეულებრივ მჯდომარე ან მოცურავე.

თევზები – როგორც ჰორიზონტალურად ასევე ვერტიკალურად მოცურავე, მოხრილ ან სწორ მდგომარეობაში. ფარფლები (*nageoires*) ორნამენტული სტილისაა, ანუ წაწვეტებული და ძლიერ დაკბილული. ისინი, როგორც წესი, სხვა შეფერილობისაა (*beflosst, lorré*). განსხვავებული ფერის კუდი ფრანგულ ჰერალდიკაში იწოდება – *allumé*. თევზები ძირითადად დასავლეთ ევროპის ჰერალდიკაში გვხვდება.

დელფინი (*dauphin*) – თავისებური ჰერალდიკური სახე აქვს, სავარცხელისებრი ზურვის ფარფლით, ჩვეულებრივ ვერტიკალურ მდგომარეობაში, მოღუნული ზურვით, ერთ მხარეს მიმართული თავითა და კუდით (ნახ. 12). პირდაპირი ლაჟვარდოვანი დელფინი, ე.წ. ცოცხალი დელფინი ოქროს ველზე წარმოადგენს საფრანგეთის პროვინციის *Dauphine*-ს მეტყველ გერბს. ფრანგ მეფეთა უფროსი ვაჟიშვილები დელფინის ტიტულს და აღნიშნულ გერბს ატარებდნენ.

კალმახი (*truite*) – გამოიხატება მოღუნული ზურვითა და მეწამული წინწკლებით (*marquetée*).

გველი (*serpent*) – ჩვეულებრივ გვხვდება ლურჯი, მწვანე ან ვერცხლისფერი, თავდასხმისათვის მზადყოფილი ანუ ატოტებული, დაუღანილი გერბის ფარის განივი მიმართულებით ან წრიულად დახვეული. გველი, რომელიც თავის კუდს კბენს, აღნიშნავს მარადიულობას. ხანდახან მას პირში აღამიანის ხელი უჭირავს (მაგ. ქ. მილანის ძველ გერბში).

ნიჟარა (*coquilles*) – გამოისახება გარეული თხის რქის მსგავსად დაგრეხილი ფორმით, ფერების მონაცვლეობით, ჩვეულებრივ ოქროს ან მეწამული. უფრო დამახასიათებელია პილიგრიმების ნიჟარა (მარათისებრი, ნახ. 13), როდესაც იგი დიდი ზომისაა იწოდება წმ. იაკობის ნიჟარად, ხოლო იგივე, ოღონდ მცირე ზომის – წმ. მიხეილის ნიჟარად. ნიჟარას, რომლის შიდა მხარეც ჩანს ფრანგულ ჰერალდიკაში ეწოდება *vannets*.

კიბო (*écrevisse*) – მეწამული ფერისაა, გამართული კუდითა და ფეხებით, ხშირად გვხვდება მარტო მისი მარწუხიც.

სეები – ჰერალდიკაში გამოისახება მიწიდან აღმოცენებული ან ამოგლეჯილი ფესვებიანად (*arraché*), წვრილი ტანითა და რამდენიმე სიმეტრიულად განლაგებული ტოტით, ყვავილებით და ნაყოფით, რომლებიც ამა თუ იმ სახეობის დამახასიათებელ განსხვავებას წარმოადგენს. ფოთლების ფერი უმეტესად მწვანეა (ნახ. 14).

ცაცხვი (*Linde*) – გულის ფორმის ფოთლებით (გერმ. ჰერალდიკაში).

მუხა (*chêne*) – ხშირად გვხვდება ამოგლეჯილი (ფესვებიანად), ნაყოფით ან უნაყოფოდ.

არყის ხე (*Birke*) – გერმანულ ჰერალდიკაში ვერცხლისფერი ტანით, ჩვეულებრივად მწვანე ან ოქროსფერი ბუჩქის სახისაა.

ნაძვი (*pin*) – კონუსურად განლაგებული ტოტებით.

ფიჭვი – გამოისახება სამი ტოტითა და ხუთი ფესვით. გვხვდება ძველ პოლონურ გერბზე *Godziemba* (XI ს.).

მსხმოიარე მცენარეებიდან გვხვდება ვაშლის ხე, რომლის ნაყოფიც თვალსაჩინოებისათვის გადიდებული ზომისაა.



ნახ. 8



ნახ. 9



ნახ. 10



ნახ. 11



ნახ. 12



ნახ. 13



ნახ. 14



ნახ. 15

გვხვდება აგრეთვე დაუნა, შეთისხილი, ვაზი, ვერხვი, ნეკერჩხალი და სხვ. ხის ტოტები და ბტოები გამოისახება გადაჭრილი სახით, გაფოთლილი ან ნაყოფებით. შოგ შემთხვევაში გვხვდება გამხმარი, ან ცეცხლისაგან შერუჯულიც. ცალკეულ გერბებზე საუმაოდ ხშირია მხოლოდ ფოთლები ან ნაყოფები.

ყვავილებიდან ყველაზე ხშირად ვარდი და შროშანი გვხვდება, რომელთაც ჰერალდიკოსათვის დამახასიათებელი სტილიზებული ფორმა გააჩნიათ.

ვარდი – გშლილი სახისაა, ხუთი გულისებრი ფურცლით (ნახ. 15). ხშირად მოხრილი ბოლოებით, ცენტრში თესლის პარკით და მტვრიანებით, ფურცლებს შორის წაწვეტებული მწვანე ყვავილის ჯამით. ვარდის ჰერალდიკური ფერი მეწამულია (არაბუნებრივი ვარდისფერი), შოგჯერ ოქროსფერი ან ვერცხლისფერიც. აღწერილი სახით (მაგრამ მხოლოდ ოთხი ფურცლით) ვარდი გვხვდება ბერძნული და რომაული ხელოვნების ძეგლებში ორნამენტის სახით. გერბებში გვხვდება აგრეთვე ბუთხუნა ვარდი ფურცლების ორი და მეტი რიგით, იშვიათად ღეროთი და ფოთლებით (*rose tigée et feuillée*).

ვარდი – შუა საუკუნეებში განსაკუთრებით გავრცელებული საგერბე სიმბოლოა და გვხვდება დასავლეთ ევროპის უძველეს საგვარეულო გერბებზე (მაგ. გვარები *Rosenberg, Rosenheim, Rosières* და სხვ.).



ნახ. 16

შროშანი – გერბებზე წარმოდგენილია თავისებური, ჰერალდიკური ორნამენტის სახით (ე.წ. *Francica an Francisca*). იგი სამი ფურცლისგან შედგება, რომელთაგან შუა ფურცელი თავსა და ბოლოში წაწვეტებულია, ხოლო გვერდითები მოხრილი (ნახ. 16). სამივე ფურცელი შეკრულია სარტყელით და ქვედა ნაწილში შემოადნისნულის მსგავს მცირე ზომის ფიგურას ქმნის. შროშანი, ქვედა ნაწილის გარეშე, გერმანულ ჰერალდიკაში იწოდება *Cleve*, ხოლო ფრანგულში – *fleur de lis au pied nourri*. შროშანი წარმოადგენს საუმაოდ ძველ ორნამენტს და გვხვდება აღმოსავლეთის ქვეყნების ტანსაცმელზე XI საუკუნიდან. სავარაუდოა, რომ სწორედ აქედან დაფუძნდა ჯერ ფრანგულ, ხოლო შემდგომ გერმანულ ჰერალდიკაში.

გერბებზე გამოისახება მცენარეთა ცალკეული ფოთლებიც.

სამყურა (ნახ. 17) შედგება სამი მომრგვალებული ფოთლისაგან (*trèfle*). ჩვეულებრივ მწვანე ფერისაა და პატარა ღერო აქვს (*gueue ondoyante*), ღეროს გარეშე კი იწოდება *tierce feuille*. ფრანგულ და ინგლისურ გერბებში გვხვდება ოთხფოთლიანი და ხუთფოთლიანი გამოსახულებებიც, მრგვალი ნახვრეტით ცენტრში. იშვიათია ექვსფოთლიანი და შვიდფოთლიანი გამოსახულებები.

ცაცხვის ფოთოლი – გვხვდება გერმანულ ჰერალდიკაში, შოგჯერ ფესვებითაც, წარმოადგენს გერბის მეტყველ ელემენტს.

წყალმცენარის ფოთოლი – გულის ფორმით, ძირითადად სამყურას ფორმის ამონაჭერით, ამავეროულად ღებულობს ირმის ზქების მსგავს მოხაზულობას. შოგიერთი ჰერალდიკოსი მიიჩნევს მას ცაცხვის ფოთლის ვარიანტად. ასევე გვხვდება გამოსახულება, სადაც მას წყალმცენარის ფოთლის ბუნებრივი მრგვალი ფორმა აქვს.

გერბებზე გამოისახება მცენარეთა ნაყოფებიც.

ვაზის მტევანი (*cap de vigne*) – გამოისახება მსხვილ მარცვლებიანი, დახუნძლული ნაყოფებითა და ფოთლებით.

ვაშლი, ხშირად ბროწეულისებრი (*Granatapfel, Margramapfel*) – ოქროსი, თავზე გვირგვინისებრი ფორმის ჯამით, იმგვარად დამსჯარბი, რომ ჩანს მეწამული მარცვლები. იგი ხშირია ესპანურ გერბებში, მაგ. გზენადის სამეფოს უძველეს გერბში.

მსხალი (*poire*) – ჩვეულებრივ ბუნებაში არსებულთან მიახლოებული ფორმისაა;

თაღამი (ნახ. 18) – გვხვდება გერმანულ ჰერალდიკაში თავზე ფოთლების კონით.

კუალი (*coquerelles*) – ერთი, ან სამი ერთ გარსში მოქცეული ნაყოფით, ისევე, როგორც ბუნებაში გვხვდება.



ნახ. 18

ჰერალდიკაში გამოყენებული ციური სხეულებისა და მიწიერი სამყაროს სხვა ფიგურებიდან აღსანიშნავია:

მზე (*soleil*) – გამოისახება, როგორც მრგვალი დისკო (ოქროსფერი, იშვიათად – მეწამული, ლურჯი ან ვერცხლისფერი), რომელსაც აქვს ადამიანის სახისათვის დამახასიათებელი ნიშნები – (თვალები, ცხვირი და პიჩი (ნახ. 19). ანფასში, იგი გაბრწყინებულია თექვსმეტი სხივით. სხივები მონაცვლეობით სწორი და ცეცხლის ალისებურად დაკლანძობილია. მზეს ამომავალი (*levant*) ეწოდება, როდესაც იგი გამოისახულია ფარის მარჯვენა (დექსტრის) ქვედა ნაწილიდან ამომავალი; ჩამავალი (*couchant*) – მარცხენა (სენესტრის) ქვედა ნაწილიდან ამომავალი; შუადღისა (*soil du midi*) – ფარის თავის შუაში; დაბოლოს, მიღევადი (*mourant*), როდესაც იგი წარმოდგენილია ფარის ერთ-ერთ ზედა კუთხეში.

ფრანგულ ჰერალდიკაში მზე ადამიანის სახის გარეშე, ან ოქროსფერისაგან განსხვავებული ფერით გამოისახული იწოდება მზის ჩრდილად (*ombre de soleil*).

მთვარე (*lune*) – ვერცხლისფერი ნამგალი, მიმართული როგორც მარჯვნივ, ასევე მარცხნივ, მწოლიარე (წაწვეტებული ბოლოებით ზევით), დაყირავებული (წაწვეტებული ბოლოებით ქვევით). სშირად გამოისახება პროფილში, ნამგლის შიდა მხარეს ადამიანის სახით (ნახ. 20).

ვარსკვლავები (*les astres*) – წარმოდგენილია ხუთი (ნახ. 21), ექვსი და რვა მახვილწახნაგისანი გაბრწყინებული სხივით. ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ გერბებში ვარსკვლავები ძირითადად სუთქიმიანია, გერმანულში – ექვსქიმიანი, იშვიათად – რვაქიმიანიც. კომეტების გამოსახვისას კომეტის კუდი სხვა შეფერილობისაა.

რუსულ ჰერალდიკაში მთვარე და ვარსკვლავები ცალ-ცალკე, ან ისეთ ფიგურებთან ერთად, როგორებიცაა – ვეჯარი, ნალი, საბრძოლო იარაღი და სხვ. წარმოდგენენ თათრული წარმოშობის წარჩინებულ გვართა განმასხვავებელ ნიშნებს, მაგ. არსენიეეების, დავიდოეების, მოსოლოეების და სხვ. გერბებზე.

დედამიწა – გამოისახება როგორც სფერო, მასზე ეკვატორის, განედებისა და გრძედების აღნიშვნით. თუმცა ძველ გერბებში იგი თითქმის არ გვხვდება, სამაგიეროდ გვხვდება ცისარტყელა, მეწამული, ოქროსფერი და ცისფერი სარტყელით, რომელიც საუბოდ ძველ საგერბე ფიგურას წარმოადგენს.

ღრუბლები (*nuages*) – მეტწილად გამოისახება ჰერალდიკურად სტილიზებული. უფრო მოგვიანებით კი გერბებზე ჩნდება ბუნებრივი სახის ღრუბლებიც (მხატვრული გამოსახულების), მათგან გამომავალი ხელით (დამლოცველი მარჯვენა ხელი, ერთგულების ხელი და ა.შ.). ისინი ძირითადად ლაყვარდოვანი ან ვერცხლისაა.

ელვა (*foudre*) – გამოისახება ზიგზაგისებურად, ოღონდ მზის სხივებივით ცეცხლოვანი, დახრილი მიმართულებით (ნახ. 22). ფრანგულ გერბებზე ზოგჯერ გვხვდება ფრთებიანი (*foudre ailé*, მამუაცის გვარის აღმნიშვნელი) სახითაც.

ცეცხლი (*feu*) – წარმოდგენილია ალის (*flamme*), ჩირაღდნის (*flambeau*) სახით, მოგზნებზე თავით ან ნაუვერჩხალით (*charbons*).

ძალზედ იშვიათია ქარის აღმნიშვნელი გამოსახულება, ძლიერად ლოყებდაბერილი ბავშვის თავის სახით, გვხვდება მხოლოდ ჩრდილოეთის ქარი (*Aquilon*).

მდინარე (*riviere*) – ლაყვარდოვანი ან ვერცხლის დაკლანძობილი ქამრის სახით (ნახ. 23) გამოისახება.

ზღვა (*Mer*) – მოყლე, რუალისებრი ტალღების აღმნიშვნელი ხაზებით გამოისახება.

წვეთები (*gouttes*) – ზოგჯერ გამოსახავს ცრემლებს (*larmes*), ვერცხლისფერი ან ლურჯი, ზოგჯერ სისხლის (მეწამული), ან კუპრის წვეთებს (შავი).


მთები – სამი მწვერვალის (*monts à 3 coupeaux*) სახით, ამასთანავე შუა მწვერვალი უფრო მაღალია. გვხვდება მთები ექვსი მწვერვალითაც, რომლებიც განლაგებულია პირამიდულად (სამი, ორი და ერთი), ეს უკანასკნელი უფრო სშირად იტალიურ ჰერალდიკაში გვხვდება.




ნახ. 19




ნახ. 20



ნახ. 21



ნახ. 22



ნახ. 23

დაბოლოს, კლდეები (*rochers*) დაკბილული წვეტიანი კონუსების სახით, რომლებიც, როგორც წესი, ზღვიდანაა ამოზიდული.

თავისი ტიპითა და ჰერალდიური ხასიათით ყველაზე ორიგინალურია ფანტასტიკური ფიგურები (*animaux fabuleux*) ანუ უჩინულები (*monstre*).

ფრთოსანი ლომი – ევანგელისტ მარკოსის სიმბოლოა და ამავედროულად ვენეციის უძველესი რესპუბლიკის მფარველია. ეს სიმბოლო ნასესხებია ბიბლიური წინასწარმეტყველ იესეკიელის სილვიდან. წმ. მარკოსის ლომი გამოისახება ოქროსფერად ცისფერ მინდორზე, მწოლიარე, ზოგჯერ მდგომარე, წინა თათებს შორის გადაშლილი წიგნითა და ხმლით მარჯვენა თათში. წიგნში წერია „მშვიდობა შენდა ევანგელისტო მარკო“ (ლათინურად „*Pax tibi Marce evangelista meus*“). ლომი მეწამულ მიწაზე დგას და თავი შარავანდელით აქვს მოსილი.

ორმაგი ანუ ორთავიანი არწივი (*aigle à deux têtes, ou employé*) – წარმოადგენს ორ შეერთებული არწივის ფიგურას, რომლის თავები ურთიერთსაპირისპირო მხარესაა მიმართული (ნახ. 24).

გრიფონი (*griffon*) – არწივის ზედა ტანით და ლომის ქვედა ტანით. გამოისახება პროფილში, ჩვეულებრივად მდგომარე (ნახ. 25), იშვიათად მოსიარულე, კუდი ხან წემოთაა აპრეხილი, ხან მუცლის ქვეშ ამოკეცილი. ზოგჯერ მისი ზედა მხარე განსხვავებული ფერით გამოისახება.

დრაკონი (*dragon*) – ერთდროულად ქვეწარმავალიცაა და ფრინველიც, დიდი წაწვეტებული თავითა და დაღებულ სახით (ნახ. 26). ხშირად გამოსახვენ პირიდან და ნესტოებიდან ცეცხლის მფრქვევლად. აქვს დიდი კბილები და პირიდან გამოშვებული ენა, ფრთები დამურისებრია, კლანჭებით დაბოლოებული. წინა ფეხები ლომის ან არწივის ფეხებს წააგვს, უკანა ფეხების ნაცვლად კი მსხვილი დახვეული კუდი აქვს. გამოისახება პროფილში სხვადასხვა ფერით, აღჭურვილობა განსხვავებული შეფერილობისაა. ზოგჯერ გვხვდება გვირგვინით ან ადამიანის თავით. თუ დრაკონს ლომის თავი აქვს მას ეწოდება დრაკონისებრი ლომი. გერბებში ხშირად გვხვდება დრაკონის გამოსახულება, რომელსაც წმ. გიორგი შუბით გმირავს.

ფრთოსანი გველი – დრაკონს წააგვს, ოღონდაც მისგან იმით განსხვავდება, რომ ლომის უკანა თათები აქვს.

პანტერა (*panthère*) – მას არავითარი საერთო არა აქვს ბუნებაში არსებულ პანტერასთან. იგი ლომის, არწივისა და დრაკონის ერთობლიობას წარმოადგენს. მას აქვს მდგომარე ჰერალდიური ლომის ტანი, ამავედროულად არწივის კლანჭები თათებზე და ცხენის ან დრაკონის თავი, ზოგჯერ რქებითაც. ხშირად პირიდან და ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევს. კუდი ჰერალდიური ლომისებრია.

მონოცეროსი (*Monoceros, licorne*) – მოზებნალი, მდგომი ან მჯდომარე ცხენი, გრძელი დაგრეხილი რქით შუბლზე (ნახ. 27), ორად გაყოფილი ჩლიქებით, ბალნიანი ფეხებით, ლომის კუდით, ზოგჯერ თხის წვერით. რქა და ჩლიქები ჩვეულებრივ განსხვავებული ფერისაა. უძველეს ქრისტიანებში მონოცეროსი ითვლებოდა სიმლიერის, სისუფთავისა და უმანუების სიმბოლოდ.

სირინოზი (*sirène*) – გამოისახება შიშველი ქალის ფიგურის სახით, რომელიც თევზის გაორებული კუდით ბოლოვდება (ნახ. 28). გერბებზე იგი ხშირად გამოისახება გვირგვინით, გაშლილი თმებით, ხელებით ან უხელებოდ. ჩვეულებრივ, ხელებში მას თავისივე წემოთ აპრეხილი კუდი უპყრია, ხშირად გამოსახვენ ცალ ხელში საჩუთ და მეორეში – სავარცხლით. შედარებით ძველ გამოსახულებას წარმოადგენს უხელო და უკუდო სირინოზი. უკვე XII საუკუნეში სირინოზი ქ. პალერმოს საგერბო ემბლემას წარმოადგენდა.

ჰარპია (*Harpie*) ანუ ქალისებრი არწივი – წარმოადგენს არწივს ქალის გვირგვინოსანი ბიუსტით, ანუ ქალის თავით, ყელითა და მკერდით (ნახ. 29). მისი შემადგენელი ნაწილები განსხვავებულ ფერში გამოისახება, არწივის ნაწილი ხშირად შავი ფერისაა (მაგ. ქ. ნიურნბერგის გერბზე).

კენტავრი (*centaure*) – ფიგურა მითოლოგიდანაა ნასესხები, გამოისახება სანახევროდ



ნახ. 24



ნახ. 25



ნახ. 26



ნახ. 27



ნახ. 28



ნახ. 29

ადამიანისა და ცხენის სახით (ნახ. 30). პოლონურ ჰერალდიკაში გვხვდება ჰიპოკენტავრის სახითაც, რომლის კუდი კენტავრისაგან განსხვავებით დრაკონის თავით ბოლოვდება, რომელსაც თვით კენტავრი ისრით ჰემიზავს.

ჰიდრა (*hydre*) – გამოისახება პროფილში, გველის კუდითა და შვიდი თავით, რომელთაგანაც ექვსი ზეაწეულია, ხოლო ერთი ქვევითაა დაშვებული. ჩვეულებრივად, მწვანე ფერისაა. ეს ფიგურაც ბერძნული მითოლოგიიდანაა ნასესხები (ლერნეის ჰიდრა).

ქიმერა (*Chimère*) – ფანტასტიკური არსება, რომელსაც ქალის თავი და ძვერდი აქვს, ტანი და თათები ლომის და კუდი გველის. გვხვდება ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ გერბებზე.

ბასილიკოსი (*Basilisk*) – მამლისთავიანი დრაკონისებრია (გერმანულ ჰერალდიკაში), ზოგჯერ არწივისმაგვარი ფრინველის სახით, რომელსაც გველის კუდი და დამურას ფრთები აქვს. ფრთები მრავალი თვალითაა შემოსილი.

სალამანდრა (*Salamandre*) – გამოისახება ცეცხლის ალის გარემოცვაში, რადგანაც თვლიდნენ, რომ იგი ცეცხლში აზ იწვის.

სამოთხის ჩიტი ანუ გამაიუნი – გვხვდება რუსულ ჰერალდიკაში, კერძოდ, სმოლენსკის გერბზე. გერბი წარმოადგენს დექსტრისკენ მოტრიალებულ, ლაფეცზე მდგომ ზარბაზანს, რომელზედაც სამოთხის ჩიტი ზის. თვით სამოთხის ჩიტი გამოსახულია უფეხებოდ, გრძელი ნისკარტით და თმებისებრი ბუმბულით (რაც მას ზღარბს ამსგავსებს), ქნარის ფორმის ორი გრძელი ბუმბულით კულზე. მოგვიანებით ზარბაზანზე მჯდარი სამოთხის ჩიტის გამოსახულება ჩნდება რუს წარჩინებულთა – ვიანქსეების, კონლოვსეების, კროპოტკინსეების, ტატიშჩევიების და სხვათა საგვარეულო გერბებზე.

ბერძნული მითოლოგიიდან ნასესხები ფიგურებიდან, აგრეთვე, გვხვდება ცერბერის, პეგასის, ფენიქსის, სფინქსის, მინოტავრისა და სხვა გამოსახულებებიც.

ხელოვნური ფიგურებიდან აღსანიშნავია: ნაგებობანი; ხელსაწყოები და ნივთები; ტანსაცმელი; იარაღი.

ეს ფიგურები შესაძლოა გამოისახოს მოლიანი, ან გარკვეული ნაწილის სახით. ყველაზე ხშირად გვხვდება:

კოშკი (*tour*) – ჩვეულებრივ მრგვალი ფორმის, ფილებით ნაგები, დაუბილული ქონგურებით, კარებითა და დიდი სათოფურებით (ნახ. 32), აგრეთვე ხშირად მაღალი სახურავებითა და კუთხეებში ჰატარა კოშკებით. ძირითადად ვერცხლისფერი, ხოლო კარები და სათოფურები შავი.

ეკლესია (*église*) – იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ზოგადი ეკლესიის სახისაა, რომელ ქვეყანასაც განეკუთვნება ესა თუ ის საგვარეულო გერბი.

კარები (*porte*) – გამოისახება ფრონტალურად, სანახევროდ გაღებული, ალათებით; ხშირად დაშვებული ცხაურით (ნახ. 33).

გარდა ამისა, გვხვდება მესერი, ზემოთ წაწვეტილებული მორების ან ფიცრების სახით, ხიდი (*pont*), ჭა (*puits*) – ჯალამბაზით ან ტუმბოთი, ცალკეული სახურავები (*toit*), ზოგჯერ დამაგრებული ბოძებზე, დაბოლოს ცალკეული ფილა ე.წ. გონტი, რომელიც ვიწრო კიდეზე დგას.

გვხვდება, აგრეთვე, ხომალდები (*navire* ნახ. 34), მაგ. ქ. პარიზის გერბზე. გერბებზე შესაძლოა ცალკე ანძების, აფრების, ღუზებისა და სხვ. გამოსახვაც.


გერბებზე გამოსახული საგნებიდან განსაკუთრებით ხშირად გვხვდება რაინდთა ყოფაცხოვრებისათვის დამახასიათებელი ხელსაწყოები და ნივთები, ანუ ის საგნები, რომლებიც ნადირობაზე, მუსიკაზე, თამაშობებზე, დროსტარებაზე მიანიშნებენ. მაგ. მონადირის საყვირი (*cor de chasse*) ნახ. 35, ისრები (*flèche*) ნახ. 36, მგლის ხაფანგი, სათამაშო კოჭები, შაში (*pièces de jeu*) და ჭადრაკის ფიგურები, კერძოდ მხედარი და ეტლი (*roc d'échiquier*), ეს უკანასკნელი გამოისახება ჰერალდიკური შროშანის სახით, მხოლოდ შუა ფურცლის გარეშე და მცირე ზომის საყრდენზე. მუსიკალური ინსტრუმენტებიდან გვხვდება: არფა, ბარბითი, დოლი, ლირა, გიტარა და სხვ. გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ჭურჭელი: ქვაბი, თასი, ტოლჩა. ხელოსნობის ხელსაწყოებიდან: ურო, ნავახი, დანა (მჭრელი მხარე ჩვეულებრივად მიმართულია




ნახ. 30



ნახ. 31




ნახ. 32



ნახ. 33




ნახ. 34




ნახ. 35



ნახ. 36




ნახ. 37



ნახ. 38



ნახ. 39



ნახ. 40



ნახ. 41

დექსტრის მხარეს), ცხვრის საურეჭი მაკრატელი და სხვა მიწათმოქმედების იარაღები. გერბებზე საყოფაცხოვრებო ნივთებიც გვხვდება: გასაღები, კვეცი, მაგიდები და სუამები, რომაული და პილიგრიმების კვერთხები. დაბოლოს, ქვაბის ჩამოსაყიდებელი კაუჭი, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით სშირია გერმანულ გერბებზე.

გერბებზე გამოსახული დროშები იყოფიან:

1. საეკლესიო დროშები, ოთხუთხა ფორმის, ქვემოთ სამ გრძელ ნაწილად გაყოფილი და ზედა ნაწილში თოვის გასაყრელი რგოლებით გამოისახება .

2. სამხედრო დროშები ანუ პრაპორები (*bannière*), ერთი ან ორი მოფრიალე ვიწრო ნაწილით გვერდითა მხარეს.

აქვე აღსანიშნავია, რომ დროშებზე გამოსახული ფიგურები სახით ტარისუენ უნდა იყოს მიმართული.

საგერბე ფიგურათა ამ ვჯუფს მიეკუთვნება ფიგურები, რომლებიც განსაკუთრებით სშირია დასავლეთ ევროპის და კერძოდ ფრანგულ გერბებზე (ისინი II რანგის ჰერალდიურ ფიგურებად ითვლება), ასეთებია: რომბი (*losange*), გამჭოლი რომბი (*macle* და *rustre*), – პირველი რომბისებრი, ხოლო მეორე მრგვალი ნახვრეტით), ბიეტე (*billetes*), დატანებული გერბის მინდორზე პატარა მოგრძო მარტუთხედების სახით, რომლებიც რიგ შემთხვევაში გამჭოლია. ეს უკანასკნელი არ შეიძლება აგვერიოს კვადრატებში (*Quadrate, carreaux*), რომლებიც გაცილებით იშვიათია. ფრანგულ და ინგლისურ ჰერალდიაში განსაკუთრებით სშირად გვხვდება ე.წ. ბეზანტები (*besant*), ოქროს ან ვერცხლის პატარა მონეტები, რომლებსაც ჭედურობის კვალი ატყვია. გვხვდება, აგრეთვე, რგოლები (*annulets*), ბურთები და ე.წ. ძელაკები ანუ ჰამეიდები (*hameides, hamen*).

ფარების დამზადებამ ცალკეული ნაჭრებისაგან, რომლებიც ერთმანეთს კავებით უკავშირდებოდა, ძვირფასი ქვებით ირთვებოდა და ბოლოს უზრთიერთგადაწყვეთი ვაჭვებით მაგრდებოდა, სშირ შემთხვევაში განაპირობა ზოგიერთი ჰერალდიური ფიგურის წარმოშობა. მათ განეკუთვნება შროშანის ბორბალი. ძველი ჰერალდიოსები მას კლევის ბორბალს ან კარბუნეულებიან ბორბალსაც უწოდებენ, რადგანაც იგი კლევის საჰერცოგოს გერბზე იყო დატანილი და კარბუნეულებით იყო მორთული.

სამოსელიდან და სამაულებიდან გვხვდება სხვადასხვა სახის თავსაბურავები, ჩექმები, ხმლის დასაყიდებელი ქამრები და სხვ.

გერბებზე გვხვდება, აგრეთვე, რაინდთა საბრძოლო აღჭურვილობა: ხმალი, მუნარაღი, კომბალი, მახვილი, ჯავშანურტაყი, ფარი, ისრები, მშვილდი, ბოლტი¹. გარდა ამისა, სამხედრო ფურტონი, კარვები და სხვ.

გვხვდება სხვადასხვა ფორმის ჯვრებიც (*les croix*):

ლათინური ჯვარი ანუ ჯვარცმა, რომლის განივი ნაწილი უფრო მოკლეა ვიდრე ვერტიკალი იგი ვერტიკალი ნაწილს არათანაბარ ნაწილებად ჰყოფს.

ჯვარს, რომელსაც ზედა ნაწილი არ გააჩნია, წმ. ანტონის ჯვარი (*Taf*) ეწოდება (ნახ. 37).

შვერილებიან ჯვარს (*croix potencée*) დაბოლოებებზე წმ. ანტონის ჯვრისებური შვერილები გააჩნია (ნახ. 38). თუ ამ უკანასკნელს კუთხეებში იმავე ფორმის პატარა ოთხი ჯვარი დაემატა – მას იერუსალიმის ჯვარი ეწოდება.

თუ ჯვარი ბოლოვდება წაწვეტებული ორმაგი ზუალებით, მას ღუწისებრი ჯვარი (*croix ancrée*) ეწოდება (ნახ. 39), თუ შროშანის ფორმით ბოლოვდება – შროშანისებრი ჯვარი (*croix florencée*), ხოლო თუ ჯვარს სამყურასებრი დაბოლოება აქვს – სამყურასებრი (*croix tréflée*). როდესაც ჯვრის ძელაკები ისრის წვერის ფორმისაა მას ისრისებრი ეწოდება, რომლის ფორმის დაბოლოებიანს – რომბისებრი, სფეროს დაბოლოებიანს – სფეროსებრი (*croix pommetée*).

ამას გარდა, გვხვდება ე.წ. აღმართული ჯვარი, რომელსაც ქვედა დაბოლოება წაწვეტებული

¹ ბოლტი - არხალეტის ისარი, რომით ჩვეულებრივ ისარზე მოკლე და მსხვილია

აქვს. ასევე პატრიარქის ჯვარი, რომელიც ორი განივი ძელით იგვეთება (ნახ. 40). აქვე უნდა აღინიშნოს მალტური ჯვარი (ნახ. 41), თანაბარი ზომის სამკუთხა მკლავებით.


ჯვაროსნული ომებიდან გამომდინარე, ჯვარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და დროთა განმავლობაში ხდება მისი სასტრუქტურული ლათინური ჯვრისაგან განსხვავებით, ტოლმკლავა ჯვარს ჰერალდიკოსები ბერძნულ ჯვარს, ე.წ. ამაღლებულს (მართლმადიდებულს) უწოდებენ.

ხშირად ერთ გერბზე განთავსებულია რამდენიმე სრულიად ერთნაირი ფიგურა, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა არა მარტო ეხებოდეს ფარის კიდეს, არამედ ამ ფიგურების მხოლოდ ნაწილი იყოს დატანილი, გერბის ასეთ ველს მოფენილი ან მოჭედილი ველი ეწოდება. მაგ. ველი შესაძლოა მოფენილი იყოს ჯვრებით, შროშანებით, ლომებით და ა.შ., ამავე დროს ყველა ეს ფიგურა ერთი ზომის უნდა იყოს.

ერთეული ფიგურა, როგორც წესი, ფარის ცენტრში თავსდება. თუ ორი ფიგურა ერთმანეთის გვერდით არის გამოსახული, მათი განსაკუთრებული აღნიშვნა არაა აუცილებელი, ხოლო თუ ერთი ფიგურა მეორის თავზეა გამოსახული, მაშინ გერბის აღწერის დროს უნდა მიეთითოს.

სამი ფიგურის განთავსების შემთხვევაში ორი ზემოთ და ერთი ქვემოთ, აღინიშნება როგორც – 2.1; იშვიათია ფიგურათა 1.2 მდგომარეობა, ან სამივე ერთ მწკრივში, ან სამივე ერთმანეთის თავზე. ოთხი ფიგურის შემთხვევაში – 2.2, ხუთის – 2.2.1, 1.3.1 (როცა ფიგურები ჯვრისებურადაა განლაგებული) და 2.1.2 (ე.წ. ანდრიას ჯვრისებურად განლაგებული). ექვსი ფიგურის დროს მათი განლაგებაა – 3.2.1, ხოლო შვიდის დროს – 3.3.1.

თუ ფიგურები განლაგებულია რომელიმე ჰერალდიკური ფიგურის მიმართულებით იმ ფიგურისებრად აღიწერება, მაგ. – სვეტისებურად (*en pal*), სარტყლისებურად (*en fasce*), სარტყლისებურად სენესტრიდან (*en bande*), სარტყლისებურად დექსტრიდან (*en barre*) და ა.შ.



ჰერალდიკური მუხარადი



გერბის ნიშანს XII საუკუნიდან მხოლოდ ფარი ატარებდა, მაგრამ მოგვიანებით, ჰერალდიკის აყვავების ეპოქაში, რაინდულმა მუხარადმა თავისი ჰერალდიკური სამკაულებით თითქმის იგივე მნიშვნელობა შეიძინა. შუა საუკუნეების ბეჭდებში მუხარადი ფარის გარეშე, დამოუკიდებლადაც გვხვდება.

ტურნირებში მონაწილეობის მსურველი რაინდი ჰერალდთა საბჭოს თავისი წარმომავლობის დასასაბუთებლად გერბის ფართან ერთად მუხარადსაც წარუდგენდა.

მუხარადი (*le casque*), როგორც რაინდული ატრიბუტის ნაწილი, მხოლოდ დიდებული საგვარეულოს მამაკაცთა გერბის ელემენტია. ქალაქების, კორპორაციების, სასულიერო წოდების პირთა, ქალების გერბებში ის არ ფიგურირებს, თუმცა, დასავლეთ ევროპაში ზოგიერთ ქალაქს ან კორპორაციას, განსაკუთრებული დამსახურების ნიშნად ხელმწიფის მიერ ჰქონდა ნაწყალობევი გერბზე მუხარადის განთავსების უფლება.

ჰერალდიკური მნიშვნელობა ამ რაინდული თავსაბურავებიდან მხოლოდ დამახასიათებელი სამკაულებითა და ქიმიტ გაფორმებულ სატურნირო მუხარადებს აქვთ.

უძველესი დროიდან ჯვაროსნულ ომებამდე ზეინის აბზინდიანი ტყავის ან სპილენძის მუზარადები გამოიყენებოდა, რომელნიც თავის მხოლოდ ნაწილს – კეფას და შუბლს ფარავდნენ. აღმოსავლეთში საზეინოებთან ბრძოლისას ზაინდები თავდაცვის ასეთი საშუალების არაეფექტურობაში ძალიან დაზრწმუნდნენ. დაიწყო ახალი ფორმების ძიება.



ნახ. 1

თავიდან შეიქმნა ზეინის მუზარადი, თვალებისთვის ჭრილებითა და ჰაერის მისაღებად გვერდებზე უამრავი ნახვრეტით, რომელიც თავს მთლიანად ფარავდა. ამ მუზარადს ცილინდრის ან ნახევარსფეროს ფორმა ჰქონდა, ქოთანს ჰგავდა და ასეც ეწოდა – ქოთნისებური მუზარადი (*Tapfhelm pot*). ის სატურნირო ბრძოლებში XIII ს. მეორე ნახევრიდან შევიდა (ნახ. 1).

XIV ს. ეს მუზარადი ისე გაიზარდა, რომ ზაინდებს მხრებზე ებჯინებოდა. გაჩნდა „კასრისებური“ მუზარადი (ნახ. 2).



ნახ. 2

XIV-XV სს. საბრძოლო და სატურნირო მუზარადი ე.წ. ბასინეტი (*bacinet*) გამოჩნდა – წაწვეტებული ფორმით და ცხვირის დამცავი შევრბილით (*nasal*). მოგვიანებით მას მნიშვნელოვნად წინ წამოწეული სახის დამცავი ფირფიტა დაემატა (ნახ. 3). მუზარადი ძაღლის თავის ფორმას დაემსგავსა, საიდანაც მისი გერმანული დასახელება – *Hundsgugel* წარმოიშვა. XIV ს. ბოლოდან ბაცინეტმა ბურთის მსგავსი ფორმა მიიღო. ასე შეიქმნა ახალი სახეობა ე.წ. სალადი (*salade*).

თითქმის ერთდროულად შეიქმნა მუზარადის ორი ტიპი: გერმანული და იტალიური. XVI ს. დასაწყისში პირველი გაქრნენ, ხოლო მეორეებმა უფრო დიდხანს გაძლეს. კარტუზი და გვერდითა ნაწილები დაემატათ და ამგვარად შეიქმნა ახალი ფორმა – ბურგინიონი (ნახ. 4).



ნახ. 3

XVI ს. დასაწყისში ესპანეთიდან ევროპაში კიდევ ერთი მუზარადი შემოვიდა, რომელიც, სავარაუდოდ, მავრიტანიული წარმოშობის უნდა ყოფილიყო. ეს იყო ე.წ. მორიონი (*Morion*, ესპანურად *morrion*) – მაღალი, ოდნავ წაწვეტებული ქუდი, რომელსაც დაბოლოებაზე ნახევარ წრიული სავარცხელი, ქვემოთ კი, წინა და უკანა, მხარეს ოდნავ აწეული ფართო ფარფლები ჰქონდა (ნახ. 5). დაბოლოს, აღმოსავლეთიდან ევროპაში აღმოსავლური მუზარადის უფრო ძველი ფორმა შემოვიდა, რომელიც განსაკუთრებით გავრცელდა რუსეთში, პოლონეთსა და უნგრეთში. მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იყო კუთხოვანი ფორმები და წინ წამოწეული ცხვირის დამცავი შევრბილი.



ნახ. 4

ზოგორც უკვე აღინიშნა, ჰერალდიკურ მუზარადებად მხოლოდ სატურნირზე, ანუ ის მუზარადები ითვლება, რომელნიც მთლიანად ფარავდნენ თავს. ყველა დანარჩენი ნახსენები ფორმა – ჰერალდიკური არ არის და მათი გამოყენება ფარში მხოლოდ საგებზე ფიგურად შეიძლება. გერმანულ, შედარებით მეცნიერულად დამუშავებულ ჰერალდიკაში გერბებზე მუზარადის მხოლოდ სამ ფორმას ვხვდებით:

1. ქოთნისმაგვარს და კასრისებრს (XIII-XIV სს.) ნახ. 1, 2.
2. შუბისებრს (XIV ს.) ნახ. 6, 7.
3. ბადისებრს (XIII-XIV სს.) ნახ. 8.



ნახ. 5

შეგვიჩვენეთ მუზარადის ამ ფორმების უფრო დაწვრილებით განხილვას.

კასრისებრი მუწარადი შედგებოდა თავიდან ორი, შემდეგ კი ოთხი შეერთებული ბრინჯაოს ფურცლისაგან, რომლებიც შექმნილი იყო ერთი ფურცელით იყო დასურული. მისი უძველესი ფორმა პატარა ზომის იყო, ბრტყელი, სწორი გადახურვა ჰქონდა და თავს მჭიდროდ ესურებოდა. გვიანდელი – მხრებად ეშვებოდა, ამოხურული საბრტყელი ჰქონდა. თვალებისთვის სპილენძის ჩარჩოიანი ორი ან ერთი გრძელი ჭრილით, გვერდებზე რამდენიმე ნახვრეტი ჰქონდათ და ჯვრის ფორმის დიობები მუწარადის ჯაჭვის პერანგზე დასამაგრებლად.

შუბისებრი მუწარადი კასრისებრის ნაირსახეობაა, მას უფრო დახვეწილი, მომრგვალებული ფორმა აქვს და თავს უფრო მჭიდროდ ეკვრის. თვალებისთვის ღია ნაპრალები აქვს გაკეთებული ცხაურის გარეშე. მუწარადის ქვედა ნაწილი შესამჩნევადაა წინ წამოწეული და წაწვეტებას ქმნის. მუწარადის ქვედა ნაწილები მკერდსა და ზურგს სწვდება, სადაც ჯაჭვის პერანგზე იხრახნება ან მარყუჟებით მაგრდება.



ნახ. 6

ცხაურიანი მუწარადი, რომელიც თავისი უპირატესობის გამო სატურნირედ ითვლებოდა, ზოგადი იერით შუბისებურს ჰგავს, თუმცა წვეტიანი ცხვირი არა აქვს, თანაც მისი ზედა ნაწილი ნახევარსფეროს ფორმისაა და უფრო მეტად იღებს თავისა და კისრის მოხაზულობას. ამ მუწარადის სამწებო სვრელები ფართო, წაგბელებული ფორმისაა და მათში ცხაურია ჩასმული. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მოხრილ, გარეთა მხარეს გამოხურულ ლითონის წკირებს (5-დან 7-მდე), რომელთაც ხანდახან, ემატება კიდევ ერთი განივი ზოლი და ნამდვილ ბადეს (*Rost*, აქედან წარმოადგება დასახელება *Rosthelm*) ემსგავსება.

ჰერალდიკაში ქოთნისებრი მუწარადები გვხვდება XIII საუკუნეში, კასრისებრი – XIV-ში, ხოლო შუბისებრი – XV და XVI სს., რაც შეეხება ბადეებიანს, ის გერბებზე 1420 წლიდან გვხვდება და მას შემდეგ ყველანაირ სმირად გამოიყენება ჰერალდიკაში.




ნახ. 7

ამა თუ იმ მუწარადის კონკრეტულ გერბზე განთავსების აუცილებელი პირობაა, არ დაიზღვეს გერბის ერთიანობა და სტილი. ამიტომ, დაუშვებელია გერბში ფარი და მუწარადი სხვადასხვა ეპოქის იყოს. მუწარადმა შეიძლება დაიფაროს ფარის 2/3-დან 1/2-მდე ნაწილი.

როგორც წესი, რაინდთა მუწარადი ფოლადის ფერით იხატება, ოქროს ან ვერცხლის მონათულობებით, ყველანაირ სმირად ეს ფერი ცხაურებზე გვხვდება.

მუწარადი ჩვეულებრივ, გერბის შუა, ზედა ნაწილზეა განთავსებული. საერთოდ, მიღებული წესის თანახმად, ფარზე მხოლოდ ერთი მუწარადი გამოისახება, რადგან რაინდი ბრძოლაში ერთი ფარით და მუწარადით სარგებლობს.

გერბში ამა თუ იმ მუწარადის განთავსება ევროპაში გარკვეულ წესებს ექვემდებარებოდა. მეფის ან იმპერატორის მუწარადი ზოგიერთ ქვეყანაში ბადით, ზოგან კი ღია (ბადის გარეშე), ოქროს ფერით სრულდებოდა და ანფასში იყო გამოხატული, დიდებულთა გერბებში კი ვერცხლისფერი მუწარადი ოქროთი ირთვებოდა. იერარქიული რანგის მიხედვით განისაზღვრებოდა მდგომარეობა – პროფილი ან ანფასი. ძველ გერმანიაში ზოგიერთ ფეოდალს გერბზე იმდენი მუწარადი ჰქონდა, რამდენ სამთავროსაც ფლობდა და რამდენი ხმის უფლებაც ჰქონდა დიდებულთა შეკრებებზე.



ნახ. 8

მუზარადი ქიმი



მუზარადის ქიმი მუზარადზე მოთავსებული ფიგურაა, რომელიც მას საგერბე ნიშნის თვისებას ანიჭებს და მუზარადსა და ფარის ჰერალდიკურ ფიგურას შორის კავშირის ახსნას ემსახურება. მებრძოლები უძველესი დროიდან მუზარადზე რაიმე ფანტასტიკურ ფიგურას ამაგრებდნენ, საბრძოლო იერიისა და მტერზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

გადმოცემით, ჰერკულესი ასეთ სამკაულად ლომის ფიგურას იყენებდა. ასეთივეს ატარებდა ალექსანდრე მაკედონელი (იუპიტერის შვილს რომ უწოდებდა თავს), ეპირის მეფეს თხის ორი ზეა უმშვენებდა მუზარადს, ხოლო ეგვიპტელი მეფეები ლომის, ხარის ან დრაკონის ფიგურებს ირჩევდნენ.

ასეთი ჩვეულება შუა საუკუნეებშიც არსებობდა, სატურნირე მუზარადები ირთვებოდა ბუმბულებით, ფრინველთა ფრთებით, ცხოველთა და უზჩსულთა ჰერალდიკური ფიგურებით.

სწორად მუზარადის თავი პირობითი ნიშანი იყო, რომ ტურნირებზე რაინდი მის სატრფოს ადვილად ეცნო. იმ დროისთვის ფიგურის შეცვლა შესაძლებელი იყო რაინდის სურვილის მიხედვით და ჯერ კიდევ არ გადაიცემოდა შთამომავლობით. თუმცა უკვე არსებობდა საგვარეულო მუზარადის ქიმი, მაგ. ბრეტანის ჰერცოგთა მუზარადზე რქების სახით.

მუზარადის მორთულობა, მუზარადის ქიმი ყველაზე მეტად გერმანიაში იყო გავრცელებული, იგი აუცილებლად გადადიოდა შემდგომი თაობების გერბებში და ამიტომ ჰერალდიკურადაც ყველაზე მეტადაა დამუშავებული.

მუზარადის მორთულობები, ანუ ქიმი ჰერალდიკურ მუზარადთან ერთად XIII ს. გაჩნდა. თავიდან მუზარადი მხოლოდ გერბზე ირთვებოდა საგერბე ფიგურით, რაც ქიმის საწყის ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ. შემდგომ დაიწყო მუზარადზე დასამაგრებელი პლასტიკური ფიგურების შექმნა. ამიტომ, ქიმები ყველაზე სწორად ის ნამდვილი ფიგურებია რომელნიც ფარშია მოცემული. გერბში არსებული ფიგურები ქიმში მეორდება მუზარადზე განთავსებულ პატარა დაფებზე ან ფრთებზე – ე.წ. დამხმარე ქიმებზე. სწორად მუზარადზე ფიგურები ნახევრად, თითქოს მუზარადიდან ამოზრდილი ფორმით გვხვდება. ეს დამოუკიდებელი არ არის იმას, თუ როგორია ფიგურა მოცემულ გერბზე. რაც შეეხება ფიგურის ფერს, მდებარეობას, კუთვნილებას – ფარზე და ქიმზე ისინი აბსოლუტურად ერთნაირი უნდა იყოს (იშვიათად მაგრამ, არსებობს დამოუკიდებელი ქიმებიც, რომელნიც ფარის ფიგურას არ იმეორებენ.).

ქიმები, როგორც წესი, ფარის მთავარი ფერებითაა შესრულებული. რაც შეეხება მდგომარეობას – ისე უნდა იყოს გამოსახული, როგორც იქნებოდა მუზარადზე, როცა მას რაინდები ატარებდნენ.

დამოუკიდებელ და დამხმარე ქიმებში ყველაზე სწორად გამოიყენებოდა შემდეგი ფიგურები: რქები, ფრთები, ფარის დაფები, შლაპები, ბუმბული, ბუმბულთა შეკვრა და ალმები, ადამიანის ან ცხოველის ფიგურები.

ამ ჩამონათვალის გარდა, რა თქმა უნდა, არსებობს უამრავი მუზარადის ქიმი როგორც რეალური, ისე ხელოვნური საგერბო ფიგურებით. მაგ. ნიუნბერგის პატრიცის ზებალდა გეირის მუზარადის ქიმზე გამოსახულია ქვებზე შემოდგომული როდინის ტიპის ფიგურა.

როგორც უკვე ვთქვით, ქიმი, ყოველთვის არ არის საგერბე ფიგურა, სწორად შინაარსობრივად სულაც არ უკავშირდება ამ უკანასკნელს. და მაინც, ჰერალდიკური წესების მიხედვით ქიმი საგერბე ფიგურის მთავარი ელფერისა და მოხაზულობის განმეორებაა.

გერმანიაში არც თუ იშვიათად ერთი გვარის გერბის ფარზე სხვა გერბის ქიმიან მუზარადს განათავსებდნენ ხოლმე, თუ იგი საქორწინო კავშირით, მემკვიდრეობით, ან ახალი მიწების შემოერთებით მიიღებოდა.

ყოფილა შემთხვევა, როცა გვარს საგვარეულო გერბი შეუცვლია, ქიმი კი, ძველი დაუტოვებია. ერთი გვარის განშტოებებს, რომელთაც ერთი გერბი აქვთ, ქიმიან განასხვავებდნენ.

სწორად ქიმიტ გამოინატებოდა წოდება ან თანამდებობა. მაგ. ფარშევანგი ტურნირის მეფეს ნიშნავდა, ეპისკოპოსის მიტრა – მონასტერთა და სასულიერო დაწესებულებათა მეურვეს. ასე, რომ უმეტესად, მფლობელის სახელი კლდინოდშია საძიებელი და აზა გეზბის ფარში.

მუნარადის ქიმი მზადდებოდა ტყავის, ხის, მუყაოს, ლითონის და სხვა მასალისაგან. ისინი მუნარადზე ან უშუალოდ მაგრდებოდნენ – ეზნახნებოდნენ, თასმებით ებმებოდნენ, ან აზაუშუალოდ – სპეციალური გვირგვინის, რგოლის, გრესილის დანმარებით, რომელიც მჭიდროდ ეკვროდა მუნარადის ქიმს.

მუნარადზე ქიმის ამ ფორმით დასამაგრებლად ძირითადად გამოიყენება:

1. მცირე გვირგვინი არ უნდა ავუროთო სხვადასხვა დიდებულთა გვირგვინებში, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. მუნარადის გვირგვინი პატარაა და მარტივი. როგორც წესი, ფოთლების, სამყურას ან ჰერალდიური შროშანის ფორმის ოთხი კბილანით. ის თითქოს ქვემოთა კანცია, საიდანაც ქიმი ამოდის. გვირგვინი თავიდან მხოლოდ დიდებულთა მუნარადის ნაწილი იყო, მაგრამ შემდეგ უბრალოდ მართულობად იქცა და მუნარადისთვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს.


2. ბურლეტი (*bourrelet*) – ზედალად დახვეული ქსოვილი ან დაგრესილი მთლიანი თავსაფარია, რომელზეც ფერადი ბოლოებგამლილი ლენტია გადახვეული.

3. ბალიშები ოთხუთხა ფორმისაა და კუთხეებიდან ფუნჯები ეშვება.

4. მუნარადის საბურველი – მუნარადის ქიმთან დამაკავშირებელი ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა. ამიტომ, უფრო დაწვრილებით შევჩერდებით მასზე.

მუნარადის საბურველი XIV საუკუნიდან გამოჩნდა და თავიდან მისი დანიშნულება მხოლოდ ჯვაროსნული ლაშქრობების დროს მუნარადიანი რაინდის მნიშავან დაცვა იყო. მუნარადის წვერიდან პატარა ლაბადის (*mantelet*) მსგავსად დაშვებული ქსოვილის თავსაფარი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მონახულობას იღებდა, და ნელ-ნელა სამშვენიისადაც იქცა. სიმეტრიულად განლაგებული ნაკეცებით ფართოდ ეშვებოდა მუნარადიდან და ხვერდის ფუნჯებითა და პომპონებით იყო გაფორმებული.

XVI ს. იგი სრულიად შეიცვალა და ფოთლისებური ფორმა მიიღო. ორნამენტებში ეპოქის მხატვრული გემოვნება და სტილი აისახებოდა. ოსტატები ამ ჰერალდიურ ორნამენტზე მუშაობისას ისეთ მრავალფეროვნებას ავლენდნენ, რომ უამრავ გერბს შორის თითქმის შეუძლებელია ორი მსგავსი ორნამენტის მოძებნა. XV-XVI სს. მუნარადის საბურველი ქსოვილის გარდა ტყავისგან, მაგარი ტილოსგან ან ლითონის ფირფიტისგან მზადდებოდა. ჰერალდიური წესის მიხედვით მისი შიდა და გარე მხარე სხვადასხვა ფერის უნდა იყოს, როცა ფარში ფიგურა რომელიმე ნატურალური ფერისაა, რისი გადმოტანაც თავსაფარზე შეუძლებელია, ირჩევა მეტნაკლებად შესაფერისი ჰერალდიური ფერი. როცა ქიმი უშუალოდ უკავშირდება მუნარადის საბურველს, ისინი ერთი ფერისაა გერბზე გამოსახვისას, თავსაფარის სტილი მუნარადით განიხილება.



წარჩინების ჰერალდიკური ნიშნები



ვირგინი (*couronne*) უწინაესი ხელისუფლებისა და ძალაუფლების სიმბოლოა. იგი ძვირფასი ლითონისგანაა დამზადებული და რგოლის ან დიადემის ფორმა აქვს. უძველეს დროში მას უმაღლესი სასულიერო წოდების მქონე პირები ატარებდნენ. მათი მიზანმიმართულად ეს თავსამაყული მეფეებმაც მოიხრეს, როგორც საერთო და სასულიერო ხელისუფლების ერთიანი სიმბოლო.

ბიბლიის მიხედვით ებრაელთა პირველი მეფე საული და მისი შთამომავლებიც დიადემას ატარებდნენ. ასეთი წესი იყო სხვა ქვეყნებშიც. სპარსეთის მეფეებიც და დედოფლებიც გვირგვინისებრი იყვნენ, ჰომეროსი „ილიადაში“ ტროას ბრძოლაში მონაწილე მეფეთა გვირგვინებზე საუბრობს, ვირგილიუსი – „ენეიდაში“ აღწერს ამ სიმბოლოს. არსებობს მოსაზრებაც, რომ ალექსანდრე მაკედონელის მუწარადს ოქროს გვირგვინი ამშვენებდა. რომაული ეპოქის მონეტებზე იმპერატორთა გვირგვინების რამდენიმე ტიპს ვხვდებით, – დაუნის გვირგვინის, ძვირფასი ქვებით და მარგალიტებით შემკულს, ან უბრალოდ რუალს, წვრილი კბილანებით. ბიზანტიელები უფრო აღმოსავლური გვირგვინის, დახურული დიადემის ფორმას ირჩევდნენ. ასეთივე გვხვდება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. გერმანიაში კარლ დიდი მიტრის ფორმის დახურულ გვირგვინს ატარებდა თვითმპყრობელობის ვაშლითა და ჯვრით. საფრანგეთში ღია გვირგვინს ატარებდნენ – ოქროს რუალს ძვირფასი ქვებით, რომელსაც ფილიპ ვალუას შემდეგ შრომანის ფორმის ელემენტები დაემატა.

ფეოდალურ ხანაში, მეფეთა წაბადვით ჰერცოგები, თავადები და სხვა ტიტულოვანი პირები დღეისაწესებზე გვირგვინებით ცხადდებოდნენ. ღირსების ამ გამოხატულებას დიდგვაროვნებმა მოგვიანებით, XVII საუკუნიდან მიმართეს, როცა სხვადასხვა მორთულობებით შემოება მოდური გახდა. სიახლის მიზანი იყო დიდებულთა რანგების, ან გამორჩეულობის გამოხატვა ჰერალდიკური ნიშნებით. ასე შევიდა ჰერალდიკაში ღირსებისა და რანგების აღმნიშვნელი გვირგვინები, შლაპები, სხვადასხვა თავსამაყულები, ემბლემები და ორდენის ნიშნები.

ე.წ. ღირსების გვირგვინმა საგერბე ფაშზე მუწარადის ადგილი დაიკავა, შესაბამისად იმ ფორმითა და მორთულობით გამოისახებოდა თუ რომელი რანგის გვარს ეკუთვნოდა. გვირგვინი უწინაესი ხელისუფლების სიმბოლოა, იგი მხოლოდ უმაღლესი რანგის დიდებულთა გერბისთვის იყო მისაღები. თუმცა შემდგომ პერიოდში თავადები თავიანთ გერბებში მუწარადის ნაცვლად ყველგან გვირგვინს ათავსებდნენ. ღირსების გვირგვინებიდან ჰერალდიკურად მნიშვნელოვანია ის გვირგვინები, რომელთაც სინამდვილეში მეფეები და იმპერატორები ატარებდნენ.

რუსეთის საიმპერატორო გვირგვინი ბრილიანტებით მოჭედილი (მათ შორის 58 საკმაოდ მსხვილი ბრილიანტით) ოქროს სალტეა, რომელზედაც ამაღლებულია ორად გაყოფილი, სფეროსებრი ოქროსავე ქუდი. წიბოებზე მარგალიტების ორი რიგი გასდევს. შუბლიდან კეფამდე გვირგვინზე კამარისებურად საკმაოდ განიერი რუალია დაყრდნობილი, რომელზეც თვითმპყრობელობის სიმბოლოა, სფეროს ნაცვლად ბრილიანტებით გარშემოსილი დიდი ზომის მოწია ჩასმული და იგი ბრილიანტის ჯვრით სრულდება (ნახ. 1). გვირგვინის სალტეზე ბრილიანტებით შემკული ფოთლებიანი პალმისა და დაუნის რტოებია განთავსებული. იგი ეკატერინე II-სთვის იუველიერ პოზიე-ს დაუზადებია, მოგვიანებით გვირგვინის ზომები იმპერატორ პავლე I-სთვის უფრო გაზარდეს და მას შემდეგ ყველა იმპერატორის კურთხევა ამ გვირგვინით ხდებოდა.

ქართული გვირგვინი – ოქროსია, ძვირფასი ქვებითაა მოჭედილი. შედგება 8 რუალისგან, რომლებიც ერთდებიან თვითმპყრობელობის ვაშლის ქვეშ და ზევიდან ჯვრით ბოლოვდება. იმპერატორ პავლე I-ის დროიდან ეს გვირგვინი წარმოადგენს საქართველოს სამეფოს და მის გერბზე გამოისახება.

საინტერესოა გერმანული საიმპერატორო ახალი გვირგვინი, რომელიც უძველეს გერმანულ ჰერალდიკაში ე.წ. ფოთლისებრი გვირგვინის სახელითაა ცნობილი. ის ერთი ან რამდენიმე მაღალი რუალისაგან შედგება, რომელთაც სხვადასხვაგვარად გამოსახავდნენ. საყურადღებოა, რომ უძველეს ჰერალდიკაში გერმანულ იმპერატორთა გვირგვინის რეალური ფორმა არ გვხვდება. გერბებზე ფოთლისებრი გვირგვინი გამოისახებოდა, ხოლო მოგვიანებით კი, ე.წ. საგვარეულო გვირგვინი, ეს უკანასკნელი შემდგომში ავსტრიის იმპერიის გვირგვინი გახდა (ნახ. 2). რომაულ-გერმანული იმპერიის გვირგვინი სინამდვილეში სულ სხვა ფორმისაა. ის შედგება 8

მომრგვალებული მომინანქრებული ფარისგან, მარგალიტებიანი 8 ზუალი ზემოდან ჯვრითაა შეკრული. თუმცა ამ გვირგვინის შემოღებას კარლოს დიდს მიაწერენ, მაგრამ, სავარაუდოდ, ის სიცილიურია და შესაძლოა XI ს. ბერძნული ნამუშევარი იყოს. ზუალი ამ გვირგვინზე მოგვიანებით, XIII საუკუნეში, იმპერატორ კონრად IV-ს დროს დაემატა. ეს გვირგვინი რომაულ-გერმანული იმპერიის სხვა რეგალიებთან ერთად ვენის საიმპერატორო საგანძურში ინახება.

ერთიანი გერმანული იმპერიის ეპოქის გვირგვინი, რომელსაც გოგენცოლლერების სახლის ხელმწიფეები ატარებდნენ, თუმცა მოლიანობაში ძველს ჰგავს, დეტალებით მაინც არის განსხვავებული (ნახ. 3).

სამეფო გვირგვინებს XV საუკუნემდე ძვირფასი ქვებით მორთული სალტის ფორმა ჰქონდათ, რომლის ზედა ნაწიბუზსაც ფოთლის ფორმის, შროშანის ან მარგალიტის კბილანები გასდევდა. მოგვიანებით მას დაემატა ზამდენიმე გადაჯვარედინებული ზუალი, ცენტრში კი თვითმპყრობელობის ვაშლი ჯვრით. ასეთ გვირგვინებს დასურული, ანუ ზუალისებრი გვირგვინები ეწოდება.

დასურულ გვირგვინებს შორის ორიგინალური ფორმით გამოირჩევა ინგლისის (ნახ. 4), უნგრეთის (ნახ. 5), ბოჰემიის (ჩეხური, ნახ. 6) და აბსოლუტურად განსხვავებული ლომბარდიის ე.წ. ზუინის სამეფო გვირგვინი. სამეფო გვირგვინის ჩვეულებრივი ფორმა, რომელსაც გერმანელი ჰერცოგები და ზოგჯერ თავადებიც ატარებდნენ, შვიდი ან რვა ზუალიან გვირგვინს წარმოადგენს, რომელთაგანაც სუთი მოსჩანს.

დიდი ბრიტანეთის გვირგვინის რგოლზე 4 ზუალია გადაჯვარედინებული. ზუალთან მიერთების ადგილას თითოეულ მათგანზე ფართო ჯვრები, ზუალზე კი ჯვრებს შორის შროშანები განთავსებული.

უნგრეთის წმინდა სტეფანეს გვირგვინი ერთ-ერთი უძველესია, იგი X-XI საუკუნეებით თარიღდება და წარმოადგენს დიადემას, რომლის რგოლს ამშვენებს დაუშუშავებელი ძვირფასი თვლები და ძველი მინანქრის გამოსახულებები. რგოლიდან ზევითაა მიმართული ცხრა ნახევარწრიული, წვეტიანი ფარი და ორი ბრტყელი ასევე მინანქრით მორთული ზუალი.

XIV ს. განეკუთვნება ჩეხური, ე.წ. წმინდა ვაცლავის გვირგვინი, რომლის ოთხი მსხვილი შროშანით შემკული სალტიდან ამოსული ზუალები ზევით ჯვრით ივრება.

ტოსკანური გვირგვინი წაწვეტებულ კბილანებით შროშანებითაა შეკრული, წინა და უკანა მხარეს თითო დიდი, გაშლილი დუმიფართით, მას ზუალები არა აქვს და ამიტომ, ღია გვირგვინად ითვლება.

ლომბარდიის, ანუ ე.წ. ზუინის გვირგვინი ოქროს თხელი რგოლია, რომელიც მინანქრითა და ძვირფასი ქვებითაა მორთული. ოქროს რგოლს შიგნიდან, ზუინის მეორე რგოლი გასდევს, რომელიც გადმოცემით ძველი ცხოველის ერთ-ერთი ლუწმინისგანაა გაკეთებული. იგი VIII ს. განეკუთვნება და იტალიაში, ქალაქ მონციის ეკლესიაში ინახება. შუასაუკუნეებში ამ გვირგვინით არაერთი გერმანელი და ავსტრიელი იმპერატორი აყურთხეს, როცა იტალიის მეფის ტიტულს იღებდნენ.

საფრანგეთში სამეფო გვირგვინმა ფორმა არაერთხელ შეიცვალა. კარლოს VIII¹-ის მეფობამდე გვირგვინი შროშანის ფორმის კბილანებიან ზუალს წარმოადგენდა. მან გვირგვინი დასურულით შეცვალა, თუმცა ეს ფორმა მხოლოდ ჰენრიხ II-ის² დროს დამტკიცდა. რგოლზე



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

¹ კარლოს VIII (1470 -1498) - საფრანგეთის მეფე 1483 წლიდან.

² ჰენრიხ II (1519 -1559) - საფრანგეთის მეფე 1547 წლიდან.

მოთავსებული შრომანების რაოდენობის მიხედვით დაემატა რვა რუალი და გაიზარდა დიდი, ორმაგი შრომანით. დოფინის (მეშვიდრე პრინცი) გვირგვინზე ოთხ რუალს დელფინის ფორმა ჰქონდათ, რომლებიც ბოლოში კუდებით ერთდებოდნენ. სხვა პრინციების გვირგვინებს კი, რუალები საერთოდ არა აქვს.

ნაპოლეონის საიმპერატორო გვირგვინის რგოლზე რუალებს შორის ერთთავიანი არწივები იყო გამოსახული, რომელთაც ფრთები შეეკრებოდათ ადამართული. გვირგვინი, ცხადია, თვითმპყრობელობის გაშლითა და ჯვრით მთავრდებოდა.

ე.წ. ღიზების გვირგვინი, რომელიც ჰერალდიკაში ტიტულოვანი და უბრალო თავადების განსასხვავებლად გამოიყენებოდა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჰერალდიკური იყო და სინამდვილეში არ არსებობდა. ღიზების გვირგვინი წარმოადგენდა რგოლს ძვირფასი ქვებით (კვადრატულ ჩაჩხოიანი ძოწი და ზუზმუხტი), ფოთლისებური მარგალიტის კბილანებით. ევროპის სახელმწიფოებში მათი ფორმები ყველგან განსხვავებული იყო და არ არსებობს ერთიანი, საერთო ფორმა.



ნახ. 5

გერმანიაში მიღებულია ასეთი სისტემა:

1. გრაფის გვირგვინი რვა ბურთულის ან მსხვილი მარგალიტისგან შედგება, ასევეა ფრანგულ და რუსულ ჰერალდიკაშიც.

2. ფრაიჰერი (მეშვიდრე ბარონი) – შვიდმარგალიტიანი გვირგვინი. ფრანგულ და რუსულ ჰერალდიკაში ეს ოქროს სალტეა, რომელსაც ექვს ხაზად ევლება მარგალიტის ძაფი.

3. რაინდები და თავადები – ხუთი მარგალიტი ან სამი ფოთლისმაგვარი კბილანა, მათ შორის ორი მარგალიტიანი კბილანით.

ფრანგულ ჰერალდიკაში არსებობს, აგრეთვე, სპეციალური გვირგვინები მარკიზებისთვის, ვიკონტებისა და ვიდეამებისთვის.



ნახ. 6

მარკიზის გვირგვინი შეიცავს სამ ფოთლისებურ კბილანას და მათ შორის თითო კბილანას სამი მარგალიტით, სამყურა მცენარის მსგავსად. ვიკონტის – სამ დიდ მარგალიტს, დაბოლოს, ვიდეამებს კბილანების ნაცვლად გვირგვინზე სამი ჯვრით.

ინგლისელ დიდებულთა ღიზების გვირგვინებს თავისებური ფორმები აქვთ. არა აქვთ რუალები, მაგრამ განსხვავდებიან გვირგვინის რგოლიდან ამოშვებული, ფუნჯით დაბოლოებული, ქუდით. ასეთ გვირგვინებს უმაღლესი დიდებულები (პერები) ატარებდნენ, განსაკუთრებულად სამეფო კარის სწრაფი ცერემონიებზე.



ნახ. 7

აღსანიშნავია, აგრეთვე კოშკისებური ანუ საქალაქო გვირგვინები, რომლებიც ტერიტორიულ გერბებში გამოიყენებოდა. ის ქალაქის რანგის, ისტორიული მნიშვნელობისა და მოსახლეობის რაოდენობის აღმნიშვნელი იყო. საქალაქო გერბები რუსულ ჰერალდიკაში 1857 წლიდან გვხვდება და იგი ვუბერნიის ქალაქებისათვის ოქროსფერია, მანრის ქალაქებისათვის – ვერცხლისფერი. გვირგვინებს აქვთ სამი ხილული კბილანა, დასავლეთ ჰერალდიკაში კი, კბილანების რაოდენობა ოთხს და ხუთს აღწევს, ამასთანავე ეს კბილანები მცირე კოშკების სახითაც გამოიხატება.

გვირგვინების გარდა გვხვდება სხვადასხვა სახის თავსაბურავები.

ჰერცოგთა და გრაფთა ქუდები თავდაპირველად მეწამული ფერის იყო, რომელსაც ყაჩყუმის ბეწვის სარჩული ჰქონდა. მისი ამოკეცილი ბოლოები, რომელიც მომრგვალებული ან წაწვეტილი კუწუბებით ბოლოვდებოდა, ბეწვის ქობას ქმნიდა. მოგვიანებით ქობებს შემოდან


სხვადასხვა რაოდენობის მარგალიტებით მოზოული ზვალების მოთავსება დაიწყო, რომლებიც შეერთების ადგილას თვითმპყრობელობის სფეროთი ბოლოვდებოდა.

ვენეციელი დოჟის თავსაბუთავი ფრიგიული ჩანის ფორმისაა. დამზადებულია ოქროსფერი ფარჩისაგან, რომელიც ოქროს მოკლე რგოლზეა დამაგრებული და შემოვლებულია ერთი მარგალიტებით გაწყობილი ბანდით.

ამას გარდა, რუსულ ჰერალდიკაში გვხვდება:

ქულები, რომელსაც ბოიარები ატარებდნენ, კვერნის ან წავის ბეწვისგან მზადდებოდა, თავისი სიმაღლით ხასიათდებოდა და ზემოთ ფარჩით ან ხავერდით ბოლოვდებოდა.

ლეიბ-კამპანის ქუდი, ამ კამპანიაში მონაწილეთა გერბებზე თავსდებოდა და ქენის სამკუთხა ფორმის ფარფლებიანი შლაპას წარმოადგენდა, რომლის წინა მხარეს ორთავიანი არწივი იყო მოთავსებული.



გერბის ფარსგარე შესამკობლები

ფარის გარეგნული მორთულობების გარდა, რომლებიც როგორც დავინახეთ, გერბის მფლობელის წოდებრივ ხარისხს, რანგს, განსაუთრებულ დამსახურებას და მასთან დაკავშირებულ უფლებებს აღნიშნავს, ჰერალდიკაში არსებობს სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი ე.წ. მეორე ხარისხის ნიშნებიც, რომელთა დანიშნულება გერბისათვის მეტი სილამაზისა და ბრწყინვალეების მინიჭებაა:

1. ფარისმტვირთველი (*les tenants, les supports, les soutiens*);
2. გერბის მანტია (*le mantille*);
3. დევიზები (*le devise*).

ფარისმტვირთველი გერბზე ფარის დექსტრის და სენესტრის მხარეს გამოისახება ადამიანების, ცხოველების ან ფანტასტიური ფიგურების სახით (*tenants* - ადამიანები, ანგელოზები; *supports* - ცხოველები: ლომი, არწივი, ცხენი და სხვ.; *soutiens* - მცენარეები: ხე, ბუჩქი, ხის კუნძი და სხვ.). მათ ფარი თითქოს უჭირავთ ან მოაქვთ. სავარაუდოდ, ასეთი ტრადიცია ჰერალდიკაში ნამდვილი ფარისმტვირთველების მიხედვით დამკვიდრდა. ისინი ვალდებულნი იყვნენ ტურნირებზე რაინდების უკან ევლოთ და მათი კუთვნილი ფარ-მუხარადი ეტარებინათ. ტრადიცია სათავეს XIV ს. იღებს და იმ დროიდან მოყოლებული მათი გამოსახულებები სშირად გვხვდება ბეჭდებსა თუ გერბებზე.

ფიგურების შეჩვენების რაიმე საერთო წესი არ არსებობს. ერთი და იგივე საგვარეულოს გერბზე ფარისმტვირთველი ფიგურების გამოსახულებები არც თუ იშვიათად იცვლებოდა. მაგალითად XVII ს. ფრანგი ადმირალის, *de Graville*-ს გერბზე ფარისმტვირთველად ხან ორი ლომი, ან გზიფონი, ხან კი ორი არწივი, ან ანგელოზი გამოისახებოდა. ზოგ შემთხვევაში ორივე ფარისმტვირთველი ერთნაირია, როგორც ჰენრი II-ის დროინდელ საფრანგეთის გერბზე (ფარი ორ ანგელოზს უკავრია), ზოგჯერ კი სხვადასხვა, როგორც დიდი

ბრიტანეთის გერბზე, რომელის დექსტრის მხარეს ფარისმტვირთველად შეიარაღებული სამეფო ლომი დგას, სენესტრის მხარეს კი – ოქროს გვირგვინით და ოქროსივე ჯაჭვით შემკული მონოცვროსი.

ფარისმტვირთველებად ლომები ყველაზე ხშირად სახელმწიფო გერბებზე გვხვდება (შვედეთის, ნორვეგიის, ნიდერლანდების, ბავარიის, ჰესენის, საქსონიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვ.).

კერძო პირთა გერბებზე, ფარისმტვირთველებად ხშირად გერბისავე ფიგურებია გამოსახული, რომელნიც თავის მხრივ ან საგვარეულოს პიზს უკავშირდებიან და მიუთითებენ მის წარმომავლობას, წოდებას, რანგს, ან განსაკუთრებულ დამსახურებას, რისთვისაც გერბის ფლობის უფლება ებოძათ. XV საუკუნის ჰერალდიკაში ყველაზე გავრცელებულ ფარისმტვირთველებად მუხლმოდრეკილი ან მფრინავი ანგელოზები გვევლინებიან. გვხვდება ასევე ადამიანთა, რაინდთა, მავრთა და ქაღალთა, ზოგჯერ გერბის მფლობელთა ცოლების გამოსახულება. ხშირია ე.წ. ველური, ანუ თმით დაფარული ტყის კაცის, თავზე გვირგვინითა და ფოთლების სარტყლით შემკული შიშველი ფიგურა, რომელსაც თავისუფალ ხელში კომბალი უჭირავს, როგორც პრუსიისა და დანიის სამეფოთა გერბებზე.

ფარისმტვირთველი ცხოველების ფიგურათა შორის გვხვდება ლომების, გრიფონების, ძაღლების, ღრჯონებისა და გველების გამოსახულებები. გერბზე ისინი პირდაპირ დგანან და ხელებით (ცხოველებს წინა თათებით) გერბი უჭირავთ, ან ერთი ხელით ფარი, მეორე ხელით კი – მანტია, მუნარაღი, ხმალი, ან სხვა იარაღი. ფარდამჭერები ზოგჯერ გამოსახულია როგორც ფარის მცველები – ასეთები ფარს გვერდით უდგანან და მას არ ეხებიან.

გვხვდება ასევე მუხლმოყრილი ან მფრინავი ანგელოზები. იშვიათად მწოლიარე ცხოველთა ფიგურები. როდესაც ფარისმტვირთველი ფიგურა ერთია, მას ფარი ორივე ხელით უჭირავს.

ფარისმტვირთველები ნიადაგზე დგანან, რასაც ბალახი ან სხვა მცენარე წარმოადგენს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მფრინავი, ჰაერში მოლივლივე ფიგურები. უძრავლეს შემთხვევაში ფარისმტვირთველების გამოსახულება სრულიად არ არის დამოკიდებული გერბის მფლობელის წოდებასა და ღირსებაზე. გერმანიაში მათი აზრევა თავისუფალია, რაც სრულ თანხმობაშია ძველ ტრადიციებთან.

გერბის მანტია უახლესი ჰერალდიკური ატრიბუტია, თუმცა არსებობს მოსაზრება, თითქოს იგი ძველი დროის სარაინდო ტურნირებზე დამკვიდრებული ჩვეულებიდან მოდის, რომლის მიხედვით რაინდთა ფარებს ძვირფას ხალიჩებზე გამოფენდნენ.

მანტია თავსდება გერბის უკან, ფართო ფარდის სახით და მხოლოდ გერბის შელამაშებას ემსახურება. დამკვიდრებული წესის თანახმად, მანტია კუთხეებსა და შუაში ზეაწეულია, დაბლა დაშვებული ფორმით შეკრული, რომელნიც პომპონებით ბოლოვდება. პიეს ჰქმნის ღირსების გვირგვინი, რომლიდანაც მანტია მძიმე ნაკეცებად ეშვება და გერბის თავზე ბალდახინის მსგავს მომრგვალებული ფორმა აქვს.

მანტია როგორც წესი, ლაყვარდოვანი ან მეწამული ფერისაა, ჰერალდიკაში იგი ფრანგმა ფილიპ მორომ XVII ს. შემოიღო, ფრანგმა მეფეებმა კი მისი გამოყენება 1680 წლიდან დაიწყეს.

შუა საუკუნეების ბალდახინებს ფილიპ V-სა და ფილიპ VI-ის, XV საუკუნის დასაწყისში და XVI საუკუნეში კარლოს VIII-ის, ფრანცისკ I-ის და ლუდოვიკო XII-ის სამეფო ბეჭდებზეც აღმოაჩნეთ.


ერთი რამ ცხადია – მანტია ყოველთვის უმაღლესი სიმბოლო იყო და სახელმწიფოთა გერბებზეც ამ ნიშნით გამოისახებოდა, მისი გამოყენება გვირგვინოსანთა გარდა მხოლოდ პრინცებს და სათავადოთა მფლობელებს შეეძლოთ.

აუცილებელია, რამდენიმე სიტყვა ითქვას ისეთ განსაკუთრებულ სიმბოლოზე, როგორცაა დევიზი (*devise*). ჰერალდიკაში დევიზები ორნაირია. ერთი გამოისახება განსაკუთრებული მნიშვნელობის ფიგურებით, რომლებიც თავსდება გერბთან, მეორენარისსნოვან ადგილზე (ინგლისურად მას *badges* ეწოდება), ხოლო მეორე – სიტყვიერი დევიზები ფრაზებით ან ცალკეული სიტყვებით.

დევნთა პირველი კატეგორია ძალზე იშვიათია და უმეტესად ინგლისურ ჰერალდიკაში გვხვდება. ისინი გადმოცემულია უკვე ცნობილ ცხოველთა და მცენარეთა გამოსახულებებში, გერბზე მეორეხარისხოვანი ადგილი უკავიათ – როგორც წესი, ფარის გვერდებზე ან ქვეშ, გვხვდება თვით ფარზეც მორთულობის სახით.

სიტყვიერი დევნები მოლე, ლაუნური და რაც შეიძლება მრავლისმთქმელი უნდა იყოს, ამასთან, მისი არსი აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს თვით გერბს, ან ცნობილ მოვლენას, მამულს, რელიგიას და ა.შ. დევნები ჩვეულებრივ ფარის ქვემოთ, წვრილ იარლიყზე ან ლენცზეა განთავსებული, ზოგჯერ მუხარადზე შემოსვრულ ლენცზე ან მუხარადის დამახოლოებელ - კლეინოდის ფიგურას უჭირავს.

ჰერალდიური ნიშნები, როგორებიც არის დროშები და სხვადასხვა ფორმის ალმები, მხოლოდ გერბის ესთეტიკურ მხარეს წარმოადგენენ და მის გარეგნულ სილამაშეს ემსახურებიან. ჩვეულებრივ, მათ ფარის უკან გამოსახვენ, უფრო იშვიათად კი ფარისმტვირთველებს უპყრიათ. ზოგჯერ ისინი ნამდვილად ბრძოლაშია მოპოვებული და მისი მფლობელის სიმამაცეზე მოგვითხრობს, მაგრამ XVII-XVIII სს. მსგავსმა ტრადიციამ დრო მოჭამა და ამ დროიდან მოყოლებული ფარის ირგვლივ ან მის ქვეშ ყოველად ულამაზოდ, გაუმართლებლად, ბრძოლაში მოპოვებული ნადავლის გროვის - ზარბაზნების, ჭურვების, საბრძოლო დოღების გამოსახვა დაიწყო. მათი ერთადერთი დანიშნულება გერბის მფლობელის სამხედრო ჩინის დაფიქსირება იყო, არა და სინამდვილეში სწორედ ამ უკანასკნელის დაზინებაზე მიუთითებდა.



სსვა სახის განმასხვავებელი ნიშნები

რასავლეთ ევროპულ ჰერალდიკაში ძველი დროიდან არსებობს სხვადასხვა სახის განმასხვავებელი ნიშნები, ე.წ. დამატებები, რომლებიც ოჯახის ცალკეული წევრის, ან ერთი გერბის მქონე გვარის განმტკიცებათა ერთმანეთისგან გარჩევას ემსახურება.

XII-XIII სს. დასავლეთში, ფეოდალი მამა-შვილი ან ძმები როგორც წესი, თავისი ციხე-სიმაგრის ან სამფლობელოს სახელით განსხვავდებოდნენ, რაც გერბში არ აისახებოდა. ერთმანეთისგან გარჩევის მიზნით ისინი გერბში მორთულობას ან საგერბე ფიგურების მდებარეობას ცვლიდნენ. თუმცა ოჯახის წევრთა და განმტკიცებათა სიმრავლის გამო ამ მეთოდმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

საჭირო გახდა განსაკუთრებული, დამატებითი ნიშნები, რომლებიც საერთო საგვარეულო გერბში განსხვავებას შეიტანდა და კონკრეტული გვარის ან პირის გერბის გამოჩვენებდა. მსგავსი ჰერალდიური ნიშნები პირველად საფრანგეთში ჯერ კიდევ ლუდოვიკო IX-მდე გაჩნდა. დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით გერმანიაში ასეთი რამ ნაკლებადაა გავრცელებული, პოლონურ და რუსულ ჰერალდიკაში კი საერთოდ არ არსებობს.

გერბში ცვლილებათა შეტანის ორი წესი არსებობს – ერთი დაიტანება ფარზე, მეორე კი ფარის გარეთ, განსაკუთრებულ შემთხვევაში – მუხარადსა და მის მორთულობაზე.

გერბში ცვლილებების შეტანა შემდეგნაირად ხდება:

1. ელფერის შეცვლით – მაგ. თუ საგვარეულო გერბში ლომის ფიგურაა გამოსახული, იგი სხვადასხვა განმტკიცებების გერბებში სხვადასხვა ფერით გამოისახება, რაც განმასხვავებელი ნიშანია.

2. საგერბე ფიგურის მდგომარეობის შეცვლით – მაგ. თუ გერბზე გაჭენებული ცხენია, იცვლება მოსიარულეთი, ან სახით მოცემული ფიგურა იცვლება გვერდზე მიმართულით.

3. საგერბე ფიგურის რაოდენობათა გზრდით ან შემცირებით – მაგ. მედიჩების სხვადასხვა შტოებს გერბზე წრეების (სფეროების) სხვადასხვა რაოდენობით განასხვავებენ.

4. გერბიდან რომელიმე ცნობილი ფიგურის ან მისი ნაწილის გამოტოვებით ან მოკვეთით.

5. გვარის სურვილის მიხედვით რაიმე ფიგურის (მაგ. სიმინდის ტარო, ნახევარმთვარე, ვარსკვლავი, სხვადასხვა ჰერალდიური საძაულები, ვარაყები და სხვ.) დამატებით.

განმასხვავებელ ნიშნებად, ანუ ნამდვილ დამატებად თავისი აზრით, მხოლოდ ეს უკანასკნელი უნდა ჩაითვალოს, რადგან სრულად ამართლებს თავის დანიშნულებას და გუგუბობას გამოიხატავს. ყველა დანარჩენი ცვლილება არცთუ ეფექტურია და რამდენადაც შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე გერბში აღმოჩნდეს, მეორეც – გერბში შეტანილი ცნობილი ცვლილება ყოველთვის არ იეთხება განმასხვავებელ ნიშნად და შეიძლება მველევარი შეცდომაში შეიყვანოს.

დამატება საგერბე ფაზზე ისე თავსდება, რომ ფაზს და მის ფიგურებს კვეთს ან ნაწილობრივ ფარავს. მთავარი დამატებებია:

1. სატურნინე საყელო (*lampeau, le lambel*) – ზოლი, რომელიც, როგორც წესი, ფარის ზედა ნაწილზეა მოთავსებული და ხშირად ესება ფარის ზედა ზღვარს. იგი მთელს ფაზზე და გერბის ფიგურაზე გადის, ან მის ზემოდანა გადმოშვებული ერთმანეთისგან დაშორებული ქვემოთ მიმართული თათებით. როგორც წესი, სატურნინე საყელოს სამი თათი აქვს, უფრო იშვიათად კი ხუთი.

მისი და ფარის ფერები განსხვავებულია. ისევე, როგორც ყველა სხვა განმასხვავებელი ნიშანი, არ ექვემდებარება ფერთა შესახებ რაიმე კანონს.

დამატების ეს სახე საფრანგეთში ჩვეულებრივ უმცროსი ვაჟიშვილების გერბებში გამოიყენება, განასხვავებს რა მამისა და უფროსი ძმების გერბებისაგან.

2. ძაფი (*traverse*) – წვრილი, მთელს ფაზზე გამავალი ზოლია. დექსტრის ზედა კუთხიდან სენესტრის ქვედა კუთხემდე გვარის უმცროსი შტოს აღმნიშვნელია, ხოლო სენესტრიდან დექსტრისაკენ – უკანონო შვილის, ან გვერდითი შტოს მიმანიშნებელი. ხშირად ფაზზე ზოლის ნაწილი გამოიხატება, რომელსაც ნატესს (*bâton pri*) უწოდებენ, ის განლაგებულია ფარის ცენტრში და დახრილობის მიხედვით იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ძაფს.

ეს განმასხვავებელი ნიშნები უმეტესად საფრანგეთსა და ინგლისშია გავრცელებული. ძალიან იშვიათად გვხვდება ქვემო რაინზე და დანარჩენ გერმანიაში. საფრანგეთსა და ინგლისში დამატება კარგად იყო დამუშავებული და დადგენილი, რადგან ამ ქვეყნებში ტანტის მემკვიდრედ მხოლოდ უფროსი ვაჟიშვილი განიხილებოდა.

ვარაყი, როგორც განმასხვავებელი ნიშანი ყველაზე ხშირად ესპანურ ჰერალდიკაში გვხვდება.

ინგლისში ერთი გვარის შვილთა გერბების გასარჩევად უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სპეციალური მნიშვნელობის საგერბე ფიგურები, კონკრეტულად: უფროსი შვილი – სატურნინე საყელო (*label*), მეორე – ნახევარმთვარე (*crescent*), მესამე – ხუთქიმიანი ვარსკვლავი ან დუნის ბორბალი (*mullet*), მეოთხე – ნამგალა (*martlet*), მეხუთე – რგოლისებრი (*annulet*), მეექვსე – შროშანი (*fleurs de lis*), მეშვიდე – ხუთფურცლიანი ვარდი (*rose*), მერვე – ღუზიანი ჯვარი (*cross moline*), მეცხრე – ორმაგი ოთხყურა (*double quatrefeuille*).

შემდეგი თაობის ვაჟებზე ასეთივე მიმდევრობა ვრცელდებოდა. მაგ. მეორე ვაჟის უფროსი შვილის გერბზე სატურნინო საყელო იხატებოდა ნახევარმთვარის ფონზე, მეხუთე ვაჟის მესამე შვილის გერბზე – რგოლს ზემოთ ვარსკვლავი და ა.შ.

შედგენილი პერსონები



ერალდიკის თეორიული ნაწილის მიმოხილვის შემდეგ, შევჩერდეთ გერბების შეერთებისთვის არსებულ მთავარ წესებზე და მათი აღწერის, ე.წ. ბლანზონირების თანმიმდევრობასზე.

მცირე ფაზი, რომელიც შუა ფაზის სახელითაა ცნობილი, მთავარ ფაზზეა განთავსებული, თუ პატარა ფაზში კიდევ ერთი ფაზია, მას გულის ფაზს უწოდებენ. მრავალფონიან გერბში შუა ფაზი ისე თავსდება, რომ მან მინდვრის რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაუფაროს.

შუა ფაზი ჩვეულებრივ, მთავარი, ან საგვარეულო გერბის ნაწილია. სახელმწიფო გერბებში მასზე სამეფო სახლის ან იმ ქვეყნის გერბია წარმოდგენილი, საიდანაც სამეფო დინასტია წარმოიშვა.

გერბების შეერთებისას, ფაზი სწორი სწავებით ნაწევრდება იმდენ ნაწილად, რამდენსაც ითხოვს შეერთებულ გერბთა რაოდენობა და თავისებურებები. ორი გერბის შეერთებისას ფაზი იყოფა შუაზე შემოდან ქვემოთ, ან სიგანეზე, თუ ამას ფიგურის თავისებურება მოითხოვს. ყველაზე ხშირად ფაზი ოთხნაწილიანია. ასეთ შემთხვევაში პირველ და მეოთხე მეოთხედზე თავსდება ერთი, უფრო საპატიო გერბი. რამდენიმე გერბი ერთ ფაზზე განთავსდება ან გვერდიგვერდ, ან სვეტის ფორმით.

მთავარია, რომ არცერთი ფიგურა არ დაიფაროს სხვა ფიგურით, ან არ შეიცვალოს მდებარეობა. ყველა ფიგურა ნათლად და შეუზღუდავად უნდა ჩანდეს. არ უნდა დაირღვეს წესი ფერის განაწილებისას. როცა ერთი ფიგურა სხვა ფიგურაზე შემოდან დაიტანება, მათი ფერები აუცილებლად უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მაგ. თუ წითლად და ოქროსფერად გაყოფილ ფაზზე, ე.წ. ანტონის ჯვრის ფორმით სამი შროშანის განლაგებაა საჭირო, ორივე შროშანი, რომლებიც წითელ ფონზე თავსდება, ინარჩუნებს თავის ტინქტურას, ოქროსფერ ფონზე კი იგი ზედა ფონის ფერს – წითელს იღებს ამგვარი ფერის მონაცვლეობითი შეერთება ხშირად გვხვდება. ხშირად ფიგურა ფერის მიხედვით ორ ნაწილად კი არ იყოფა, მას უბრალოდ ფაზის ორივე ფონზე მთლიანად დაიტანენ. მაგ. როცა ფაზის ზედა ფონი წითელია, ქვედა კი ვერცხლისფერი, მთლიანი ჯვრის ფიგურა წითელ ფონზე ვერცხლისფერით იხატება, ვერცხლისფერზე კი – წითლით.

გერბების შეერთებისას, მუხარადი თავსდება მთავარი ფაზის შემოთ, ხშირად შეერთებულ გერბზე მხოლოდ უმაღლესის, მაგალითად საიმპერატორო, სახელმწიფო ან რამდენიმე რჩეული გერბის მუხარადი დაიტანება.

დასავლეთ ევროპაში ცოლ-ქმრის საგვარეულო გერბების შეერთების წესის თანახმად უპირატესობა ქმრის გერბს ენიჭება. ამიტომ, იგი გაყოფილ ფაზზე ან შემოთა ფონზე თავსდება, ან მარჯვენა მხარეს. როცა მეუღლეთა გერბების შეერთება შერევის წესით ხდება, მაშინ ქალის გვარის გერბი მთავარ ფაზზე ქვემოთ თავსდება, ქმრის კი – შუა ფაზზე.

მშობელთა გერბების შვილთა გერბებთან შეერთებისას – პირველები იგივე წესით თავსდებიან შუა ფაზზე - მამის გერბი მარჯვენა ზედა ნაწილში ხდება. თუ გერბზე რამდენიმე წინაპრის გერბია, გვარის მამაკაცთა გერბები უპირატესად გამოიხატება სხვებს შორის.

ცოლ-ქმრის გერბების შეერთება მათი გვერდიგვერდ განლაგებითაც შეიძლება. მაგ. ავსტრიის ჰერცოგის ალბერტ III-ის ფაზზე მიბმულია პატარა ფაზი მისი მეორე ცოლის, ბეატრისე გოგენცოლლერნის გერბით, გერბის მუხარადზე კი ასევე – გოგენცოლლერნთა სახლის უძველესი ორდენის ნიშანი – გედი.

და ბოლოს, არსებობს წესები, როგორ წავიკითხოთ გერბი ჰერალდიკური მნიშვნელობის მიხედვით.

აღწერა უნდა იყოს მოკლე, ჰერალდიკური ტერმინთა გამოყენებით, იმდენად ნათლად, რომ მის მიხედვით შეიძლებოდეს გერბის ზუსტად აგება. ამისთვის, უნდა აღიწეროს გერბის მთავარი ნაწილები, მაგ. სამად გაყოფილი გერბის შესახებ სუპარისია ამ სამი ნაწილის ფერების მითითება რადგან მარჯვნივ მდგომი ფერი მთავარი ფერია და ამასვე ცალკე საუბარი საჭირო აღაჩაა. ჩვეულებრივი ფიგურების აღწერისას საერთოდ არ მოიხსენიება მათი ის თვისებები, რომელთაც ჰერალდიკური ტერმინოლოგია არ განსაზღვრავს.

შეერთებულ გერმანიაში პირველ რიგში აუცილებელია გაიზიაროს მისი ნაწილების განლაგება, ანუ შესასწავლი გერმანიის საერთო ხელი. იწყებენ უმთავრესი გერმანიით. საერთო წესის მიხედვით, პირველად ითვლება შუა ფარი, რომელიც მთავარი ფარის შუაშია.

მთავარ ფარში განლაგებული გერმანიის აღიწერება რიგების, სვეტების, ან ხაზისხის მიხედვით. პირველ შემთხვევაში ვიწყებთ დექსტრიდან სენესტრისკენ და ასე გრძელდება შემდეგ რიგშიც. სვეტების შემთხვევაში ჯერ შუა გერმანიის აღიწერება, შემდეგ დექსტრისკენ და ბოლოს სენესტრისკენ მდგომი.

ერთ ჯგუფში ან კლასში რამდენიმე გერმანიის გაერთიანება, თანრიგებად იწოდება. ეს თანრიგები ნაწილდება მთავარ ფარზე ოთხად გაყოფილ ქვენაწილებში, ყველა ამ ნაწილს თავისი შუა ფარი აქვს, არსებობს უფრო რთული დაყოფა, როგორცაა მაგ. ავსტრიის გერმანიის, ცხრა ერთი ზომის ნაწილში განაწილებული 62 სხვადასხვა გერმანიით. ან ჩეხური და უნგრული, რომელიც ოთხ თანრიგს იტევს.

ოთხად გაყოფილი გერმანიის აღწერას იწყებენ პირველი ველიდან, ანუ ზემოთა დექსტრის კუთხიდან. სიგანეზე გაყოფილი ფარის შემთხვევაში – დექსტრიდან.

საერთოდ აღწერისას პირველ რიგში აღნიშნავენ ფარის დაყოფას (სიგანეზე გაყოფილი ერთი, ან რამდენიმე ხაზით, სიგანეზე გაყოფა, ოთხად დაყოფა და ა.შ.), ამის შემდეგ სახელდება შუა და გულის ფარები, თავები, საყრდენები, ფარის გვერდითა ნაწილები და ბოლოს ჩამატებები.


ცალკეული ჰერალდიკური ფიგურების აღწერისას იწყებენ ფიგურით, რომელიც შვეულად გაყოფილ ფარზე მარჯვნივ დგას, სიგანეზე გაყოფილში კი – ზევით. თუ ფარში რამდენიმე საგერმანო ფიგურაა, იწყებენ მთავარით.

ფარის აღწერის შემდეგ გადადიან გერმანიის ზედა ნაწილზე. მუხარადი თავისი დაბოლოებით, მუხარადის თავით, ღიბების გვირგვინით და ა.შ. მხოლოდ ზოგად შტრისებში აღიწერება.



გარბის უმადგენელი ელემენტები


ELEMENTS DES ARMOIRIES



თ ა ვ ა რ ი

ა ბ ა შ ე ლ ი შ ი

ზუსეთის იმპერიაში „უმადლესად დამტკიცებული“




ასალი ზედაქცია
ვ. ცინსის მისეღვით



გუგუთილ-გდუგუთილი ფაზი, მკიბე ფაზით. მკიბე ფაზზე ღვთისმშობლის სატება; მთაფარი ფაზის ზედა ოქროს დექსტრის ველზე სძლით აღჭურვილი, მეწამული, შებრუნებული ლომი; ზედა მეწამულ სენესტრის ველზე გდუგუთინებული სძალი და ოქროს სუბტრა; ქვედა ლაყვარლის დექსტრის ველზე ვაშემოხვეული ვერცხლის ბოძი; ქვედა ოქროს სენესტრის ველზე შავი ვერძი. მანტია და სათავადო გვირგვინი.

თ ა ვ ა რ ი

ა ბ ა შ ი შ ი




ასალი ზედაქცია
მ. ვაღბოლსის მისეღვით

გდუგუთილი ფაზის ზედა ლაყვარლის ველზე აღმოსავლური დაწვენილი სძალი, მის თავზე გვირგვინი; ქვედა მეწამულ ველზე გაჭენებული ცხენი, ზევით გდუგუთინებული ორი სძალი. მანტიითა და სათავადო გვირგვინით.

თ ა ვ ა ლ ი

ა ვ ი ა შ ვ ი ლ ი

მარტივი ფაზის ლაყვარლოვან ველზე ცენტრში თარაშულად ოქროს ისარი წვერით დექსტრისკენ; ზევით ვერცხლის ექვსქიმიანი ვარსკვლავი; ქვევით ვერცხლის დაწვინილი მთვარე. მანტია და სათავადო გვირგვინი.



ასალი ზედაქცია
ვ. ცინისკის მიხედვით

თ ა ვ ა ლ ი

ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი



ავტ. მიხეილ ვაღბოლსკი
საქართველოს
ლიტერატურის მუზეუმის
არქივიდან


მარტივ ფაზზე დაუნის გადაჯვარედინებულ ტოტეზზე შემოდგარი ფრთებგაშლილი არწივი. მანტია და სათავადო გვირგვინი.



ასალი ზედაქცია
ვ. ცინისკის მიხედვით

თავადი

აგატუნო




ახალი რედაქცია

გუგეთილ-გადუგეთილი ფარი, მცირე ფარით. მცირე ფარის ვერცხლის ველზე მწოლიარე ლომი. მთავარი ფარის ზედა ლაყვარდის ველზე დექსტრისკენ გადაჯვარდინებული ლახვარი და სმალი; ზედა მეწამულ ველზე სენესტრისკენ მსხმოიარე ფინიკის ხე; ქვედა მეწამულ ველზე დექსტრისკენ თეთრი სვეტი; ქვედა ლაყვარდის ველზე სენესტრისკენ გადაჯვარდინებული ორი ოქროს ისარი წვერით ზემოთ. ფარისმტვირთველი ორი ვეფხვი. მანტია და სათავადო გვირგვინი.

აზნაური

აგბერსაჰე



ახალი რედაქცია
მ. ვაღბოლსის მიხედვით


ავტ. მიხეილ ვაღბოლსის
საქართველოს
ლიტერატურის მუზეუმის
არქივიდან




გუგეთილი ფარი გადაუგეთილი დექსტრისკენ. ზედა შავ ველზე დექსტრისკენ ტოლმელავა სამყურა ჯვრით დამძიმებული სვეტი, თავზე არწივი; ქვედა მეწამულ ველზე დექსტრისკენ ისრებიანი საისზრე; სენესტრისკენ ტოლმელავა სამყურა ჯვარზე გადაჯვარდინებული სმალი ტარით ზევით და მშვილდი. მანტიითა და სათავადო გვირგვინით.

თ ა ვ ა რ ი

აპილანსვარი



ავტ. მისეელ ვაღბოლსვი
საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის არქივიდან




ასალი ზედაქცია
არნო შაფანყონის „გოთას მტერე ალბომის“ მიხედვით

ქონგურისებზად გადკვეთილი ფარის ზედა
ოქროს ველზე მიქეელ შთავარანგელოში სმლით;
ქვედა მეწამულ ველზე ოქროს საწმისი.
მანტია და სათავადო გვირგვინი.

თ ა ვ ა რ ი

აპირეჯიბი


გუგვეთილ-გადკვეთილი ფარის ზედა ველზე
